# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 16 ნოემბერი, № 46 (2774) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.

## 14 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია

### სესიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია







## „მრავალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ბლოკს

ბატონებო!

საქართველოს მწერალთა კავშირი გილოცავთ გამარჯვებას მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში.

თქვენი გამარჯვება ქართველი ხალხის არჩევანია, მისი უზენაესი ნების გამომხატველია. თქვენი გამარჯვება იმ ოცნების აღსრულების დასაწყისია, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე ელოლიავებოდა ქართველობა. ამ ოცნებას თავისუფალი, დემოკრატიული, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის საფუძვლებზე აგებული საქართველო ჰქვია.

მტკიცედ გვწამს, რომ მთელ თქვენს ძალასა და უნარს, თქვენს გამოცდილებასა და გამჭრიახ პოლიტიკურ ალღოს სწორედ ასეთი საქართველოს შექმნას მოახმართ.

კარგად გვესმის, თუ რაოდენ დიდ ტვირთს იდებთ მხრებზე, რა ბეწვის ხიდზე მოგიწევთ გავლა, რამდენი ობიექტური თუ სუბიექტური დაბრკოლება გადაგეღობებათ წინ, რამდენი „მოყვარე" მტერი მოინდომებს თქვენი წმინდათაწმინდა სურვილის ჩაშლას. გვჯერა, რომ სამშობლოს სიყვარული, „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვანი" ქვეყნისათვის თავდადების სურვილი ყველა წინაღობას გადაგალახვინებთ და აღთქმულ მიზნამდე მიგაღწევინებთ.

ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ ამ სანუკვარი ოცნების მიღწევის გზაზე მხარში ამოგიდგებიან იმ პარტიებისა თუ ბლოკების წარმომადგენლებიც, რომლებიც თქვენთან ერთად იქნენ არჩეულნი უზენაეს საბჭოში.

ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ გამოინახება გზები და საშუალებები უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის პოზიციების დასაახლოვებლად, რადგანაც როგორც თქვენ, ისე კონგრესის ლიდერებმა შესანიშნავად უწყით, როდესაც სამშობლოზე, მის ხსნაზე, მის ბედსა თუ უბედობაზეა ლაპარაკი, ყოველგვარი პარტიული ინტერესები უკან უნდა დავაყენოთ. ხელები დავიკაპიწოთ და ერთად, მხარდამხარ ვაშენოთ თავისუფალი საქართველო.

რაც შეეხება ქართველ მწერლებს, არც ისინი დარჩებიან ვალში და საქმით, ჭეშმარიტი საქმით დაამტკიცებენ, რომ ღირსეული შვილები არიან ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დიდ გამარჯვებას, გისურვებთ მთელი მსოფლიოსათვის დაგვენახვებინოთ, რომ ჯერ კიდევ არ ჩამკვდარა ქართველი კაცის სული, გონიერება, შორსმჭვრეტელობა, სიფხიზლე, სიფრთხილე, გამბედაობა, ვაჟკაცობა, შემწყნარებლობა, მოყვასის სიყვარული...

ახლა, როცა მთელი საქართველო სასოებით შემოგყურებთ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ახლად არჩეული პარლამენტი ყველა ამ თვისებას გამოავლენს და ღირსეულად იმოღვაწებს სამშობლოს სასიკეთოდ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# ინტელიგენცია თუ განათლებული საზოგადოება

შეურყეველი ერთგულება სხვისი სარწმუნოებისა, საკუთარი სარწმუნოების შერყევაა, უარყოფაა.

ილია ჭავჭავაძე

სამოცდაათი წელია ინტელიგენცია ოფიციალურ ფენად გამოცხადდა მუშათა და გლეხთა კლასის გვერდით. ინტელიგენტებად მონათლულმა ქართველებმა შევისისხლხორცეთ, შევიყვარეთ ეს სახელი და ყოველივე საუკეთესოს სინონიმად ვაქციეთ.

ეს წერილი იწერება ერთი სურვილით — ჩვენმა საზოგადოებამ გააცნობიეროს, რას ნიშნავს „ინტელიგენცია“, ხოლო ჩვენ, ვისაც ინტელიგენცია გვქვია, ბოლოსდაბოლოს, გავიგოთ, ვინ დაგვარქვა ეს სახელი და რა მიზნით. სახელს დიდი ძალა აქვს, ის გავლენას ახდენს ადამიანზე. ბევრს საერო სახელს ახლით უცვლიან. ეს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის აქტი არ გახლავთ. სახელის შეცვლა პრაქტიკულად ეხმარება ადამიანს ძველი ცხოვრების დავიწყებასა და ახლის დაწყებაში. რის დავიწყებაში უნდა დახმარებოდა ქართველ განათლებულ საზოგადოებას ახალი სახელი „ინტელიგენცია“?

მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე ეს სიტყვა საერთოდ არ იხმარებოდა, უფრო მეტიც, საერთოდ არ არსებობდა. პირველად ეს სიტყვა თავის რომანში უხმარია ვინმე ბობორიკინს და ამ სიტყვას, როგორც აღნიშნავს ერთი ძველი ენციკლოპედიური ლექსიკონი[1], თავისი „ლოგიკური და გრამატიკული გაუმართაობის მიუხედავად“ მტკიცედ მოუკიდებია ფეხი რუსთა მეტყველებაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამფლობელოების ფარგლებს გარეთ, მთელს დანარჩენ მსოფლიოში, დღემდე ამ სიტყვით არ აღინიშნება საზოგადოების არც ერთ ფენა. რუსული სულისა და აზრის ისეთი დიდი მკვლევარები, როგორებიც ნიკოლოზ ბერდიაევი და სერგეი ბულგაკოვია, აღნიშნავენ ინტელიგენციის წმინდა რუსულ ბუნებას და თვლიან, რომ ის არის ისეთი ისტორიული მოვლენის პირმშო, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება არსად — პეტრე პირველის რეფორმებისა. ამ რეფორმებმა რუსი მემამულეების, ბოიარების ფენას აუკრძალა ტრადიციული რუსული წესით ცხოვრება და აიძულა, ერთი ხელის დაკვრით ევროპულ ყაიდაზე გადასულიყო. ახალი თაობები უკვე ევროპულ ყაიდაზე აღიზარდა და მათ შექმნეს საკუთარ ნიადაგს მოწყვეტილი, უცხო ენაზე მოლაპარაკე და მოაზროვნე, უცხო კულტურით ნასაზრდოები ადამიანების საზოგადოება. ეს ახალი ტიპის რუსული საზოგადოება გახლდათ — ინტელიგენცია. აი, რამდენიმე საგულისხმო დასკვნა ამ მოაზროვნეებისა:

„მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში (რუსეთში — ავტ.) ფენა, რომელიც ითვლებოდა კულტურულ ფენად, ახალი ტიპის ფენად ჩამოყალიბდა — მას ეწოდა ინტელიგენცია. ინტელიგენციისათვის დამახასიათებელია ტიპიური რუსული ხასიათი და თვისებები“. (ნ. ბერდიაევი).

„ინტელიგენციის სული პეტრეს შექმნილია. ცუდია თუ კარგია, მას აბარია პეტრეს რუსეთის ბედი. თუ მან ვერ შეძლო ამაღლება... ის დაღუპავს რუსეთს“. (ს. ბულგაკოვი).

„რუსეთის რევოლუციის განსაკუთრებულობა, ერთადერთობა გამოწვეულია რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებით და რუსეთის ინტელიგენციის ერთად ერთობით“. (ნ. ბერდიაევი).

თუ სულიერად და ისტორიულად ასე წმინდად რუსული მოვლენა ყოფილა ინტელიგენცია, მაშ რა აუცილებლობამ გამოიწვია ის, რომ დღეს ქართული საზოგადოების განსწავლულ ნაწილს ამ სახელით იხსენიებენ და უფრო მეტიც, თავად ჩვენც ინტელიგენტებად ვაცნობიერებთ თავს? იმიტომ ხომ არა, რომ რუსეთის ისტორიის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განუყოფელ ნაწილად ვგრძნობთ თავს?

იქნებ ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „ინტელიგენციისათვის“ დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ახლობელია ქართველი კაცის ბუნებისათვის, ეგებ ესადაგება ჩვენს სულიერ წყობას, ხასიათს? ვნახოთ, ისევ რუს მოაზროვნეებს მოვუსმინოთ — მათ კარგად აღუნუსხავთ ყველაფერი, რაც ინტელიგენციას ეხება:

„ინტელიგენციის სარწმუნოება ათეიზმია (ღვთისმგმობელობა — ავტ.) ამ რწმენით ისინი ინათლებიან თავიანთ ინტელიგენტურ-ჰუმანისტური ეკლესიის წიაღში. ასე დაკანონდა ჯერ კიდევ რუსული ინტელიგენციის მამის ბელინსკის დროიდან“. (ს. ბულგაკოვი).

„ინტელიგენცია იყო უპიროვნო მასა, ყველა ნიშნით ჯოგისა, ჩლუნგი სიბეცით თავისი რადიკალიზმისა და ფანატიკური შეუწყნარებლობით... (მათი პოლიტიკური რწმენა — ავტ.) ათავისუფლებდა კაცს ყოველგვარი ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან“. (მ. გერშენზონი).

„ინტელექტუალები არიან ადამიანები, რომელნიც ინტელექტუალურ შრომას ეწევიან. სულ სხვაა რუსული ინტელიგენცია. შეგიძლია იყო რუსი ინტელიგენტი და ინტელექტუალურ შრომას არ ეწეოდე. უფრო მეტიც, შეგიძლია იყო რუსი ინტელიგენტი და მაინცდამაინც ინტელექტით არ გამოირჩეოდე, ინტელიგენცია იყო იდეოლოგიური და არა პროფესიული დაჯგუფება, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა სოციალური კლასებისაგან, რომლებსაც აერთიანებდათ მხოლოდ იდეები სოციალური ხასიათისა... მან წარმოშვა ადამიანის ტიპი, რომლის ერთადერთი პროფესია იყო რევოლუცია (იგულისხმება — სოციალისტური რევოლუცია — ავტ.).

ინტელიგენციისათვის დამახასიათებელია თვითგაღმერთება, ღმერთის, განგების ადგილზე თავისი თავის დაყენება. ამ თვითგაღმერთების ბუნებრივი შედეგი გახლდათ ამორალიზმი ანუ ნიჰილიზმი“ (ს. ბულგაკოვი).

„მათთვის დამახასიათებელი იყო კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულება მეცნიერებისადმი“. „იწყებდა თუ არა აზროვნებას, ინტელიგენტი, მაშინვე ხდებოდა პოლიტიკის ყურმოჭრილი მონა“. (მ. გერშენზონი).

„პიროვნების დარღვევამ (მათთვის დამახასიათებელმა—ავტ.) აქცია ინტელიგენტი შინაგან ხეიბრად. გარეთ — მოსწყვიტა ერს და გახადა უსუსური ხელისუფალთა წინაშე“ (მ. გერშენზონი).

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ქართულ ეროვნულ ხასიათს და სულიერ წყობას ახლოს არ ეკარება ინტელიგენტის ზემოთნათქვამი თვისებები: აქტიური ღვთისმგმობელობა, ფანატიკური შეუწყნარებლობა, ინდივიდუალობის უქონლობა — ჯოგური სული, ნიჰილიზმი ანუ ღვთის, სულის, ნორმებისა, ტრადიციების და მაღალი ფასეულობების უარყოფა. გარდა იმისა, რომ ინტელიგენცია წმინდა რუსული მოვლენა ყოფილა და ამდენად, უცხო — ქართული ბუნებისათვის, იდეალები და თვისებები, რომელიც მას აერთიანებდა, კიდევ უფრო უცხო აღმოჩნდა ჩვენი სულიერი წყობისათვის.

იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო ინტელიგენტურ მსოფლმხედველობას, რევოლუციური (სოციალისტური) გახლდათ. ის იდგა ორ მთავარ საყრდენზე — ნიჰილიზმზე (ღვთისა და სულის უარყოფა) და ინტერნაციონალიზმზე (ეროვნების უარყოფა).

ამ იდეოლოგიას ცრუ მოძღვრება უწოდა გაბრიელ ეპისკოპოსმა 1877 წელს: „ახალნი ცრუწინასწარმეტყველნი მოდიან სამოსელითა ცხოვართა, ისინიცა შეაგონებენ, რომ მათ სურთ თქვენი წარმატება, სიკეთე, ბედნიერება: ტკბილად გელაპარაკებიან, მაგრამ შინაგანად არიან მგელ-მტაცებელ. იმათ სურთ მოგტაცონ შენ ის, რაც არის უძვირფასესი კაცთათვის — ღმერთი და სჯული. ანუ... შენი სული გააშორონ და მოსტაცონ ღმერთსა და ჩააბარონ ეშმაკსა და ჯოჯოხეთსა. ილია კი ამბობდა: „მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნებას და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ათასხუთასი წლის მანძილზე ქართველებს ბინაც შეუნახა და ქართველობაც“.

ჩვენს სულითგანათლებულ მოღვაწეებს ცრუ-მოძღვრება უწოდებიათ ინტელიგენციის სოციალისტურ-რევოლუციური მოძღვრებისათვის და მისი მთავარი დებულებების საპირისპიროდ, ჩვენი არსებობის საფუძვლად რჯული და ეროვნული იდეალები უთქვამთ. თუ ღვთისა და მამულის სიყვარულმა ათასხუთასი წლის მანძილზე ჩვენ „ბინაც შემოგვინახა და ქართველობაც“, ინტელიგენტურმა მოძღვრებამ, სულ რაღაც ასორმოცდაათ წელიწადში, კინაღამ ერთიც დაგვაკარგვინა და მეორეც.

აი, რას წერს გენერალი გ. კვინიტაძე 1922 წელს თავის მოგონებებში:

„საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში... ნელნელა აღორძინება იწყო პატრიოტულმა მიმდინარეობამ... ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, აკ. წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და მთელი პლეადა ჩვენი პოეტებისა, მსახიობებისა და მხატვრებისა იყვნენ მანათობელნი ჩვენი ეროვნული გამოღვიძებისა. მაგრამ, ამასთან ერთად, გაჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის დამღუპველი მიმდინარეობა — იმჟა ახალი ინტელიგენცია. ისინი იყვნენ რუსულ უნივერსიტეტებში ნასწავლი სტუდენტები. რომელთა დიდმა ნაწილმა შეისისხლხორცა ის იდეები და მოძღვრება, რაც რუსეთის ინტელიგენციას ასულდგმულებდა... სოციალისტური, მხოლოდ წმინდა რუსული ხასიათისა — ინტერნაციონალიზმით და ნიჰილიზმით გაჯერებული“.

ასე განასხვავებს გენერალი დ. კვინიტაძე ორ მიმდინარეობას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში: წმინდად ქართულს, ვისი სალოცავი სჯული და ეროვნებაა, ხოლო სათაყვანებელი წინაპრები — თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი, და ახალს, რუსული ინტელიგენციის ფეხისხმასაყოლილთა, ვისი სალოცავიც და საფიცარიც ათეიზმი, სოციალიზმი, ბელინსკი და მარქსი გახლავთ.

საკვირველია და მეორე მიმდინარეობამ მრავალი მომხრე და ამყოლი მოიპოვა საქართველოში. მათ ამ იდეოლოგიასთან ერთად, საქართველოს განათლებულ საზოგადოებაში შემოჰქონდათ უცხო, ინტელიგენტური აზროვნება, სულიერი წყობა და ნელ-ნელა ამკვიდრებდნენ. ინტელიგენცია, ეს წმინდად რუსული ტიპი საზოგადოებისა, ამოზრდილი წმინდად რუსული რეალობიდან, ამ რეალობის პრობლემებითა და მისით ნასაზრდოები მიზნებით ცხოვრობდა. ის ვერასოდეს გაითვალისწინებდა, რა სჭირდებოდა ქართველ ერს, ამაზედ თავად ქართველებს უნდა ეზრუნათ. ქართველებს კი მამა დავიწყებოდათ და მამინაცვალს იფიცებდნენ; ილია ჭავჭავაძეს გადაგომოდნენ და ინტელიგენციის სოციალ-დემოკრატიულ რუსულ საქმეს ამარჯვებინებდნენ ქართულ მიწაზე. სოციალ-დემოკრატიული პარტია ინტელიგენტური იყო. ის გახდა თავისუფალი საქართველოს პირველი ხელისუფალი. „როცა საქართველოში შეიტყვეს რევოლუციის ამბავი ტელეგრაფით, ხელისუფლება სოციალ-დემოკრატებმა აიღეს ხელში. მათი ლიდერები კი (ლაპარაკია ქართველ ლიდერებზე —ავტ.) რჩებოდნენ პეტროგრადში და ხელმძღვანელობდნენ რევოლუციას. მათი პრინციპი იყო ერთიანი რუსული ფრონტი და იბრძოდნენ მხოლოდ კლასობრივი მოსაზრებებით... ხოლო, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მათ ხელი მოჰკიდეს სახელმწიფოს მოწყობას, სოციალიზმის აქ დამკვიდრების მიზნით. ამაზე იტყვიან: „მამის სული გაუშვია, ფიცავს მამინაცვლის მზესა“ (აკაკი).

როგორც ვხედავთ, თავისუფალი საქართველოს სოციალ-დემოკრატი ინტელიგენტი მმართველები რუსეთს ვერ ელეოდნენ, მათი პრინციპი „რუსეთის ერთიანი ფრონტი იყო“, იბრძოდნენ რუსული რევოლუციის, პროლეტარიატის გამარჯვებისთვის და ისევ რუსულ საქმეს ემსახურებოდნენ — ქმნიდნენ საქართველოში სოციალისტურ, ათეისტურ, ინტერნაციონალურ სახელმწიფოს.

და ამათი შთამომავლობა გვეამაყება? ამ სახელს მაღალი ღირსების გამოსახატავად ვხმარობთ? ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომების დაშვება, უშეცდომო არავინაა, ამიტომ ნუ განვსჯით წარსულს, მაგრამ ნურც მის შეცდომებს ჩავიკრავთ გულში და გავიმეორებთ.

1921 წ. 25 თებერვლიდან დაპყრობილ ქვეყანაში ქართველ ერს არავინ ეკითხებოდა რა სახელით მონათლავდნენ მის საზოგადოებას, ინსტიტუტს, ქალაქს, ქუჩას. გაჩნდა ახალი სახელები: ინტელიგენციის ფენა, (გავიხსენოთ საშვიდნოემბრო, სამაისო პარადები: „მოდის ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია“) კოლმეურნე-გლეხობა, ლენინის მოედანი, პუშკინის ინსტიტუტი, კალინინის რაიონი. საქართველოში ისეთი რეპრესიები, ისეთი ტერორი მძვინვარებდა, რომ ვერავინ გაბედავდა ეკითხა ეს რა სახელებია, საიდან გაჩნდა.

მაინც რატომ დაამკვიდრეს ბოლშევიკებმა მუშათა და გლეხთა კლასის გვერდით ახალი ფენა — ინტელიგენცია? რატომ გვიწოდეს ახალი სახელი? იმიტომ, რომ ჩვენი ვინაობა დაგვვიწყებოდა, ღმერთი დაგვვიწყებოდა, ინტელიგენტური მსოფლხედვა ხომ რწმენას სიბნელედ აცხადებდა, პატრიოტიზმს კი — უკულტურობის ნიშნად მიიჩნევდა. ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ მსოფლხედვის შემოტანა დააკარგვინებდა საზოგადოებას საკუთარი მეობის შენარჩუნების უნარს, მოსწყვეტდა ეროვნულ ნიადაგს. ეს მსოფლმხედველობა დაუდო საფუძვლად რუსულ რევოლუციას ინტელიგენციამ. მან შეიმუშავა და მოამზადა რევოლუცია თეორიულად, რომელიც უკვე განახორციელა ბოლშევიკურმა პარტიამ. „რევოლუცია ინტელიგენციის ქმნილებაა. ინტელიგენტები ამას არასოდეს არ აღიარებენ, იმიტომაც არიან ინტელიგენტები — ამბობს ს. ბულგაკოვი. და აგრძელებს „ის მწარე იმედგაცრუება, რაც რევოლუციამ გამოიწვია მათში (ინტელიგენციაში—ავტ.) ის წარუშლელი სურათი თვითნებობისა, ექსპროპრიატორობისა, მასობრივი ტერორისა, იყო სწორედ განხორციელება იმ სულიერი პოტენციისა, რაც იმალება (ინტელიგენციისათვის დამახასიათებელ) თვითგაღმერთების ფსიქოლოგიაში „თუ რატომ არ მიიღო ძველმა ინტელიგენციამ თავისი პირმშო რევოლუცია, ამას ნ. ბერდიაევი შესანიშნავად განმარტავს: „ძველმა ინტელიგენციამ ველარ იცნო თავისი თავი ბოლშევიკებში, ეს იყო აბერაცია—ემოციური შოკის შედეგად მეხსიერების დაკარგვა“.

მაგრამ ბოლშევიკებს არ დავიწყებიათ, ვისი დამსახურება იყო სოციალისტური რევოლუცია, ამიტომ მისი იდეოლოგიის დამკვიდრება და დანერგვა ახალ სახელმწიფოში ისევ მათ დაავალეს და ოფიციალურ ფენადაც გამოაცხადეს. არც რუსეთისთვის მოუტანია კარგი ამ იდეოლოგიას, მაგრამ საქართველოსთვის ასმაგად სახიფათო გახლდათ. აზროვნების ინტელიგენტური კომპლექსის მიღების შემთხვევაში ქართული განათლებული საზოგადოება დაკარგავდა ქართულ თვისებებს, გარუსდებოდა და გაარუსებდა ერს. ამის გარანტიას იძლეოდა ღვთისმგმობელური ბუნება ინტელიგენციისა. საქართველო ღმერთთან ისეა დაკავშირებული, რომ, თუ რწმენას დაკარგავს, ის იწყებს საშინელ გადაგვარებას, მას ეროვნული გრძნობაც უსუსტდება, ღირსების გრძნობაც და სინდისიც.

რევოლუციის შემდეგ ინტელიგენცია გახდა მეცნიერებისა და კულტურის ყველა სფეროში ათეისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებელი მძლავრი იარაღი. დიდი ლაშქარი ათეისტ-მატერიალისტი ინტელიგენციისა შეუდგა ახალი ცრუ-მოძღვრების დანერგვას. დავუკვირდეთ ერთ ამბავს — მთელს მსოფლიოში მეცნიერს მეცნიერი ჰქვია, მწერალს —მწერალი, ექიმს — ექიმი, ჩვენში კი —ინტელიგენტიც. ეს შემთხვევითი არაა: საბჭოთა მეცნიერს უფრო დიდი მიზანი აქვს შესასრულებელი, ვიდრე უბრალოდ მეცნიერს: მან უნდა თავისი ინტელიგენტური მისია აღასრულოს — დანერგოს ათეისტურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა კულტურისა და მეცნიერების იმ სფეროში რომელშიც მოღვაწეობს. სტალინმა საბჭოთა პოეტებს „ადამიანის სულის ინჟინრები“ უწოდა — მათ ადამიანის სულის ახალი შენობა უნდა აეგოთ. ძველი ფასეულობები ახლით უნდა შეცვლილიყო: ღმერთის, მამულის მოყვარული, „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი ერი უნდა ქცეულიყო უღმერთო, ურწმუნო, მატერიალისტ, ეროვნულგრძნობამიძინებულ, პირადი კეთილდღეობისათვის დაფაცურებულ ერად, ინტერნაციონალიზმის ლაბორატორიად.

თავიდან ქართულმა საზოგადოებამ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებას. აღმოჩნდა, რომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალები ძლიერად ყოფილა ჩვენს სულსა და გულში გამჯდარი. ერი აღსდგა მათ დასაცავად 1924 წ. დამარცხებისა და მასობრივი ტერორის შემდეგ თითო-ოროლა კაციღა იბრძოდა.

მაგრამ ღვთის სიყვარულის ამოძირკვა ქართველი ერის გულიდან, შეუძლებელი აღმოჩნდა. ყველგან ქრისტიანული სული ხვდებოდა მტერს — ჩვენს პოეზიაში, სიმღერებში, ოჯახში, მეგობრობაში და მეზობლობაში, იმ დაუწერელ მორალურ კანონებში, რომელნიც საფუძვლად ედო ჩვენს ყოფას, ჩვენს ურთიერთობებს, კაცის თუ ქალის ღირსებას. — „საქართველოს ერმა გადიხსნა გული და შიგ განიბნევა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე და მთელი ეს თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრითა და ხელში ხმლით იბრძოდა, იღწვოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა“. (ილია ჭავჭავაძე). ქართველის ასეთმა განსაკუთრებულმა კავშირმა სარწმუნოებასთან, მრავალსაუკუნოვანმა ქრისტიანულმა ყოფამ და კულტურამ ქართველ კაცში პიროვნული თვისებები აღზარდა, ქართველი კაცი პიროვნებად აქცია. პიროვნება კი ვერ მიიღებდა ღვთის უარმყოფელ იდეოლოგიას და ვერ გახდებოდა ცრუ-მოძღვარი. ამიტომაც იყო საქართველოში ასე ბევრი რეპრესირებული, რომ ჩვენში პიროვნებები ბე-

* Энциклопедический словарь, 7-е издание библиографического института «Гранат».

ვრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ინტელიგენტები.

სამწუხაროდ, ვერაგული განზრახვით, ორივე მხარე ერთი სახელით გააერთიანეს „ინტელიგენცია“. მონათლეს რა ერთი სახელით, ხელისუფლებამ იწყო ინტელიგენციად წოდებული ჭრელი ფენის გამოხშირვა — ვინც პიროვნება გახლდათ, ეროვნული იერსახით და საინტელიგენტოდ არ გამოდგებოდა, მას სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ. ხელისუფლება ყოველთვის პიროვნებებს სდევნიდა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი — მწერლები, გლეხები თუ ინჟინრები. მაგრამ, რადგან რეპრესირებულ მოღვაწეებსაც ინტელიგენცია ერქვა, ამ სახელმა კეთილშობილური ჟღერადობა შეიძინა და დაუმსახურებლად დაიდგა წამებულის გვირგვინი. აი, დღემდე გრძელდება ეს შეცდომა. განა მიხეილ ჯავახიშვილი ინტელიგენტობისთვის დახაჯეს? არა, ის იყო პიროვნება, ქართველი მოღვაწე, ქართული ბუნებითა და სულიერი წყობით — ეს გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. ჩვენ შემთხვევით არ მოგვიყვანია მაგალითად მიხეილ ჯავახიშვილი: მან ყველაზე უკეთ დაინახა და დახატა ქართველი ინტელიგენტის ტიპი თეიმურაზ ხევისთავის სახით.

სჩანს მიხეილ ჯავახიშვილი კარგად ხედავდა, რა სავალალო როლი ითამაშა რუსული ინტელიგენციის ფეხისხმახაყოლილმა ჩვენმა სწავლულებმა საქართველოს ბედის გადაწყვეტაში. ამიტომაც ასე დაუნდობლად, ვერდაფარული სიმწარით, ამხელს იგი თეიმურაზის უსუსურობას, სიბეცეს და უზნეობას. ჯავახიშვილი თანამიმდევრულად გვიხატავს თეიმურაზის არაქართული ხასიათიდან გამომდინარე თვისებებს — ურწმუნოებას, ერისაგან მოწყვეტილობა, ინდივიდუალობის უქონლობა, ნების არქონა, ქალაჩუნობა, თავის მამობილის რუსეთის ინტელიგენციის გაღმერთება: „რა ბედნიერია რუსი ერი, რომელსაც ასეთი ინტელიგენცია ჰყავსო“, — იძახის ხევისთავი და წითელი დროშის ფრიალით ხვდება რევოლუციას. მხოლოდ მაშინ, როდესაც რევოლუციის ნამდვილ სახეს დაინახავს, თეიმურაზი მიხვდება, რას მისალმებია და ყვრის დავილუპეთო, წიგნის ჩრჩილმა თეიმურაზმა იცის, რა ხდება ზანზიბარში, თავის თვალწინ საქართველოში რა ხდება, ვერ დაუნახავს, ვერ გაუგია.

შეურაცხყოფილი, გაქელილი, მათხოვრადქცეული ნაკაცარი მხოლოდ მაშინ იბრუნებს ღირსებას, იქცევა პიროვნებად, როცა ის ღმერთს შეიცნობს და იწამებს.

[illegible]ნამოპოვებული თეიმურაზი დგ[illegible] პირველ პიროვნულ ნაბიჯს: ის არ თანხმდება იმუშაოს სკოლაში მასწავლებლად და ასწავლოს, რაც არ სწამს თავად — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება. ის უკვე მორწმუნეა, პიროვნებაა. ის უარს ამბობს ინტელიგენტობაზე — ის მიდის სოფლის მაღაზიაში გამყიდველად. ხევისთავი ძველი, არასაბჭოთა ინტელიგენტი გახლავთ. მან ორივენაირ ინტელიგენტობაზე სთქვა უარი: „აღარ მიხსენო ინტელიგენცია, რაცა გვჭირს, სულ მაგისაგან გვჭირს“. რა ნიშანდობლივია, რომ რევოლუციისაგან გაქელილი, ახალი წესწყობილების მოძულე, უარმყოფელი თეიმურაზი იძახის, აჰა ჩემზე, აჰაო. ის გრძნობს, როგორც ძველი ინტელიგენტი, თავს დამნაშავედ ყველაფერში, რაც რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენ მოგვიტანა. ინტელიგენტიდან ქართველ კაცად, პიროვნებად ქცეული თეიმურაზის შემდგომი ბედი ძნელი გამოსაცნობი არაა — ის ალბათ გაიზიარებდა დევნილთა და რეპრესირებულთა ხვედრს.

საბედნიეროდ, თეიმურაზის გზას ცოტა არ დასდგომია (ვგულისხმობთ მის მიერ სიცრუის სწავლებაზე უარის თქმას). მათ უარი თქვეს სიცრუით ცხოვრებაზე, არ დაკარგეს ღირსების გრძნობა, პატიოსნება, სამშობლოს სიყვარული, ვაჟ[illegible]ობა, ღვთის რიდი, მხნეობა, ზრდ[illegible]ბა, განათლების წყურვილი, აზროვნების უნარი, — ყველაფერი ის, რაც მხოლოდ პიროვნებისთვისაა ჭეშმარიტად ძვირფასი და აუცილებელი. სწორედ ამ ხალხმა აიღო თავის თავზე მისია ნამდვილი მეცნიერებისა და მწერლობის გადარჩენისა და თუ ახალ თაობებს რაიმე ფასეული დაგვხვედრია მეცნიერებაში თუ მწერლობაში, სულ მათ გმირულ და ჩუმ მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ. ზოგი ცნობილი იყო, ზოგს ცოტა იცნობდა, მაგრამ მათი გამორჩევა არ იყო ძნელი — ისინი თავისი სიმართლით გამოირჩეოდნენ ცრუთა ქვეყანაში. რაც შეეხება მათ, ვინც პირისპირ, ხმალდახმალ ებრძოდა ბნელ ძალას, მათი დამსახურებაა, რომ ერი არ გადაგვარდა საბოლოოდ, რომ ისე სწრაფად დაიწყო დაკარგული სარწმუნოებრივი და ეროვნული იდეალების აღდგენა.

ინტელიგენციის ჩასახვისა და წარმოშობის ისტორიის აქ მოტანა, დახასიათება მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეთქვა „ინტელიგენციას“ ჰქონდა სრულიად კონკრეტული შინაარსი. ჩვენ კი, ქართველები, დღეს ამ სიტყვაში მის საწინააღმდეგო შინაარსსა ვდებთ. — ეს ჩვენ სიკეთეს არ მოგვიტანს. ჩვენ ჯერ კიდევ, რუსეთის სამფლობელოში ვართ და ასეთი ცნებათა აღრევა არ შეიძლება ჩვენს საზიანოდ არ შემოატრიალოს ავის მოსურნემ. უცხო ბუნებისა და მიზნების შემომტანი და დამამკვიდრებელი ცნება — ჩვენი სისხლი და ხორცი გვგონია. განა შეჰფერის ქართველ ვაჟკაცს, პატრიოტს, მორწმუნეს სახელად — ინტელიგენტი? ენა ვერ მოგიტრიალდება. განა ილია ჭავჭავაძე — ინტელიგენტია? ინტელიგენტები ხომ სწორედ ის სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ილიას რომ ებრძოდნენ, საშინელი საზოგადოებრივი აზრი შეუქმნეს და ფაქტიურად შეამზადეს მისი მკვლელობა? არ შეიძლება ამ აღრევის დაშვება!

აი, გაისმა უკვე ხმები — „ინტელიგენციამ უნდა მართოს მომავალი საქართველო“, თუ საზოგადოება ამაში არაფერ ცუდს არ დაინახავს, ეს სავალალო შედეგს მოიტანს. საით წაუძღვება ინტელიგენცია ხალხს? თავისუფლებისა და ღვთის რწმენისაკენ? არა, — ინტერნაციონალური ლაბორატორიისაკენ, სადაც ერების, ენების და რელიგიების აღრევას ექნება ადგილი. ჩვენ კი, უნდა შევნიშნოთ, ინტელიგენციამ კი არა, ჭეშმარიტმა ინტელექტუალებმა უნდა მართონ, ვისაც არ დავიწყებია სარწმუნოებრივი და ეროვნული იდეალები.

აუცილებელია, ყველამ გავაცნობიეროთ ვინ ვართ — ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, განუყოფელი ნაწილი, სისხლი და ხორცი ქართველი ერისა თუ ბობორიკინის ნათლული ინტელიგენტები.

თუ ჩვენ ქართული საზოგადოების წევრები ვართ, მაშინ ჩვენ უნდა უარი ვთქვათ ინტელიგენტურ აზროვნებაზე და აღვიდგინოთ მრავალსაუკუნოვანი კულტურის შემომქმედი, ქრისტიანული რწმენით ნასაზრდოები ქართული სული და აზროვნება. ერის ნასწავლი ნაწილი ვალდებულია ჭეშმარიტებისაკენ უკვალავდეს გზას ერს და არა სიცრუისაკენ.

დღეს აღმოჩნდა, რომ ინტელიგენტი „მისიონერების“ მიერ დანერგილი მოძღვრება ძნელი მოსაცილებელი აღმოჩნდა. ძნელი დასაძლევი ყოფილა აზროვნების ინტელიგენტური კომპლექსი, ის დაბრკოლებად აღიმართა „ეროვნული მოძრაობის“ გზაზე.

ეს ერთი წელია, პრესაში გაისმის შეშფოთებული ხმა თავის ფენის ბედზე და როლზე დაფიქრებული ინტელიგენციისა. იწერება წერილები ინტელიგენციის წამყვანი როლის შესახებ (ჩვენ წერილებს არ ვუთითებთ არც აქ და არც ქვემოთ, რადგან ჩვენს მიზანს არ შეადგენს პაექრობა ავტორებთან), რადგან ყველა დიპლომიანს „ინტელიგენციის“ წარმომადგენელი ჰქვია, ამიტომ შეიძლება გვეგონოს, ეს შფოთვა ჩვენც გვეხება. არ უნდა ვიფიქროთ, რადგან არ გვეხება. ინტელიგენცია არის, სტალინის უზუსტესი განმარტებით, საზოგადოების ნასწავლი ფენა, რომლის საქმიანობასაც „მიმართულებას აძლევს და განსაზღვრავს მმართველი კლასის ინტერესები, რომელსაც იგი ემსახურება“.

ემსახურება კიდეც, თავისი შფოთვითაც ემსახურება: ინტელიგენცია თავის თავს ფენად აცნობიერებს და ერისგან განკერძოებით იჭერს თავს, ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში კი ერი ფენებად არ იყოფა, — ერს საერთო მიზანი ამთლიანებს. სოციალურ ფენებად ერის დაყოფა რევოლუციისთვის არის დამახასიათებელი. ამიტომ, შიგადაშიგ, ინტელიგენტური ლოგიკით, ეროვნულ მოძრაობას რევოლუციადაც იხსენიებენ ხოლმე. ეს ყველაფერი ხალხს აბნევს და მრავალი აბსურდული მსჯელობისა და აღმოჩენის მიზეზი ხდება. მაგ.: თუ იგივეობის ნიშანს დავსვამთ, როცა გვინდა, რევოლუციის ანალოგიით, ზოგს ნეობოლშევიკს დავარქმევთ, ზოგს ტერორისტს, საკუთარ თავს კი ბოლშევიკებისგან დაჩაგრულ ნეომენშევიკ-ინტელიგენტად წარმოვიდგენთ და ხალხსაც შეცდომაში შევიყვანთ.

სოციალური ფენის ავტორიტეტს თავს შეაფარებს მხოლოდ კლასობრივი თეორიებით გაზრდილი კაცი, რომელიც ჯერ პიროვნება ვერ გამხდარა, ვისაც არ შეუძლია ერთი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმაც კი.

თუ ინტელიგენტი გამოფხიზლდა, დაუბრუნდა ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეალებს და ერის სამსახურში ჩადგა, ის სწყვეტს არსებობას, როგორც ინტელიგენციის წარმომადგენელი. ის ხდება რიგითი ქართველი, თავისი გვარით, სახელით, პროფესიით. ამიტომაც მოხდა, რომ გუშინდელ ინტელიგენტს, თუ ის ეროვნულ მოძრაობაში მივიდა, დღეს ინტელიგენტად აღარ სთვლის ინტელიგენცია, მას ჩამორთმეული აქვს ეს წოდება. ამიტომაც გაისმის ხმები, რომ ინტელიგენცია ეროვნულ მოძრაობას არ სწყალობს, რაც „ეროვნული მოძრაობის“ დაბალ დონეს განაპირობებსო.

ნამდვილ ინტელიგენციას არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო „ეროვნული მოძრაობის“ მიზნებთან. ის არ იბრძოლებს მისი წარმატებისთვის, ის არ გადაჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის. ინტელიგენცია, როგორც ფენა, თანაც პრივილეგირებული, არსებობს მხოლოდ იქ, სადაც სოციალისტური რუსეთის სამფლობელოა, ამიტომ, გაუცნობიერებლად, თვითგადარჩენის ინსტინქტის კარნახით, ის იბრძოლებს სოციალისტური წყობის, ან მისი ნაირსახეობის გადასარჩენად, რუსეთთან კავშირის გასამყარებლად.

აღმოჩნდა, რომ ინტელიგენციამ დაკისრებული ვალდებულება საქართველოში ბოლომდე ვერ შეასრულა. ქართველი ერის თვისებამ — დაუოკებლად ისწრაფვოდეს ღმერთისაკენ და თავისუფლებისაკენ, ინტელიგენციას ისევ გაუჩინა საქმე. „ხერხი სჯობია ღონესაო“, ნათქვამია; ერის ძველ კალაპოტში დასაბრუნებელი ღონე რომ აღარ აღმოაჩნდა, ინტელიგენციამ ხერხს მიმართა: ერევა ყველაფერში, სწყვეტს ხან სარწმუნოებრივ, ხან ეროვნულ პრობლემებს და ყველგან ცრუ გზებსა და ცრუ საშუალებებს გვთავაზობს.

ერთი წლის წინ დაუჯერებელი რამ დაიწერა გაზეთში, თითქოსდა ჩვენში რელიგიური შეუწყნარებლობაა, დევნიან კათოლიკებს, მაჰმადიანებს ძალითა სჩრიან ღორის ხორცს. რისთვის დაბეჭდეს ეს ტყუილი შარშან? იმისთვის, რომ წელს ერთ-ერთი საზოგადოების პროგრამაში ასეთი მუხლი გაჩენილიყო: „...აუცილებელია რელიგიური შემწყნარებლობის კანონი(?!) ახალმა უზენაესმა საბჭომ, ყველა რელიგიის წარმომადგენელთან ერთად უნდა შეიმუშაოს ეს კანონი. საქართველო უნდა იყოს კლასიკური ეკუმენიზმის ქვეყანა“.

ვინ შეაწუხა ჩვენმა ქვეყანამ რელიგიური ომებით? ვინ უნდა დაიცვას ამ კანონმა? სარწმუნოებას მხოლოდ კომუნისტები სდევნიდნენ, მაგრამ კანონი, აშკარაა მათ არ გულისხმობს.

რაც შეეხება ეკუმენიზმს, ეს სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიების გაერთიანებაა, საბოლოოდ. ის ყველა რელიგიის გაერთიანებას გულისხმობს. ეს რაღაც რელიგიური ინტერნაციონალის მსგავსი რამაა. მაინც რა აუცილებლობითაა ნაკარნახევი თხუთმეტსაუკუნოვანი-მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის გაერთიანება სხვა ეკლესიებთან? რატომ მოუვიდა ეს აზრად ათეისტ-მატერიალისტ ინტელიგენციას? იმიტომ, რომ ქართველი ერის ერთგულება მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი მისი უძლეველობაა. ჭეშმარიტ სარწმუნოებაში ინტელიგენცია ყოველთვის ხედავს თავის მტერს. ამიტომ ცდილობს ჩვენი ეკლესია შეცვალოს, თუ შეძლებს, „ინტელიგენტურ-ჰუმანისტური ეკლესიით“.

კიდევ ერთი ხერხი ინტელიგენციისა: ინტელიგენციამ სარწმუნოებრივი პოზიციებიდან ეროვნული იდეალებისაკენ სწრაფვა ემოციებად გამოაცხადა, რომელსაც არ უნდა ავყვეთ. — ხოლო პოლიტიკა და ეკონომიკა ერთადერთ ნამდვილ საქმედ. როგორც მეცნიერებას აკერპებდა რუსი ინტელიგენცია, ახლა ქართველმა — პოლიტიკა და ეკონომიკა გააკერპა. კერპი კი მსხვერპლს მოითხოვს. ეს მსხვერპლი, ინტელიგენციის არჩევანით, რელიგიური რწმენა და თავისუფლებაა. ჩვენ არ შეგვიძლია თავისუფალი არსებობა, ჩვენი ეკონომიკა ამის საშუალებას არ მოგვცემსო. საბედნიეროდ, დღეს ისე დაჟინებით და პირდაპირ აღარ გაისმის ეს ხმები, ვითარება შეიცვალა. ეკონომიკური კანონის გარდაუვალობას მარქსიზმ-ლენინიზმი ჰქადაგებს. იგივე მოძღვრება პიროვნების როლს აუქმებს ისტორიაში, ადამიანს ინსტინქტებით გაერთიანებული მასის წევრად აცხადებს, ეკონომიკური ურთიერთობანი და კანონები კაცობრიული ცხოვრების ბაზისად მიაჩნია და სულიერი ფასეულობები — ზედნაშენად. აი, რაზედ მდგარა ინტელიგენცია, როცა თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე ამ კერპებით ერს ელობებოდა.

რასაკვირველია ეკონომიკა დიდად ყურადღებამისაქცევი სფეროა, მაგრამ იმისათვის, რომ მოიხმარო, მართო და კაცობრიულ მიზნებს ამსახურო, და არა — თავად ემსახურო.

ასევე — პოლიტიკაც. უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება, მაგრამ, ეროვნული მოძრაობის გაბიაბურება იმ მიზეზებით, რომ ამერიკა და ევროპის ქვეყნები არ გვიწონებენ თავისუფლების წყურვილსო, სხვა არა იყოს რა, უზნეობაა. მაგრამ ერი სულიერი არსებაა, ერის მოტყუება ძნელია. იმიტომ კი არ გაუვლია ქართველ ერს მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ცხოვრება, იმიტომ კი არ შეუქმნია ათასწლოვანი ქრისტიანული კულტურა, რომ ბელინსკისაგან ხელდასხმულმა ინტელიგენციამ გააბრიყვოს, თავგზა აუბნიოს და ხელი აალებინოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და ჭეშმარიტ თავისუფლებაზე. ერი მაშინვე ხვდება, გრძნობს, როცა მისთვის უცხოს შემოაპარებენ ხოლმე და არ იღებს, არ ითავისებს. ამ სიბრძნის გამო ერი ინტელიგენციისაგან „ბრბოდ“ მოინათლა. განა ილია აპატიებდა ვინმეს ეროვნული გრძნობით თავშეყრილი ხალხის ბრბოდ და პროვინციალებად მოხსენიებას?

უცნაურია, მ. გერშენზონი თავად ინტელიგენციას ახასიათებს ამ ნიშნით: „უპიროვნო მასა, ყველა ნიშნით ჯოგისა“.

ჩვენ საქმე გვაქვს არა ცალკეულ ადამიანებთან, არამედ ტენდენციასთან — სიტყვა „ინტელიგენციის“ მნიშვნელობის განუსაზღვრელობა გამოყენებულ იქნას ხალხის დასაბნევად. ჩვენ, უმაღლეს სასწავლებლებში ნასწავლი ხალხი, ინტელიგენციად ვაცნობიერებთ თავს. თუმც, კარგად რომ ჩავუკვირდეთ საკუთარ თავს, უთუოდ დავინახავთ, რომ არაფერი საერთო არა გვქონია ამ სახელთან, რომ ინტელიგენტური კომპლექსი აზროვნებისა, თავსმოხვეული და შემოჩიჩნებულია, რომ ინტელიგენტური მორალი და ჩვევები უცხოა ჩვენი ქართული ბუნებისათვის, ხოლო მიზნები — დამღუპველი. ამ დაბნეულობის მსხვერპლია დღეს ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. ამისი შესანიშნავი მაგალითია ეს სიტყვები, რომელნიც ჩვენს პრესაში გამოჩნდა: „ქართულ ინტელიგენციას, რა თქმა უნდა, უძველესი ისტორია აქვს(?!) შუა საუკუნეებში ცნება „ქართველობა“, როგორც იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის კრედო... პრესტიჟული მოვლენა იყო“.

ვის გულისხმობს ავტორი შუა საუკუნეების ინტელიგენციაში? ნუთუ რუსთაველს? ნუთუ ჩვენს სულმნათ ათონელ ბერებს და წმინდან მეფეებს? და ეს მაშინ, როცა ლაპარაკია მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში აღმოცენებულ წმინდად რუსული ტიპის ახალ საზოგადოებრივ ფენაზე. ავტორი შეცდომაში შეუყვანია 1990 წელს გამოსულ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას, სადაც ბოლო ათწლეულის ტენდენციების გათვალისწინებით, სრულიად ახლებურად განმარტავენ ამ სიტყვას (რასაკვირველია ეს განმარტება ჯერ შემუშავდა რუსეთში, ჩვენში მას დაემატა ქართული მასალა და ასე შევიდა ჩვენს ენციკლოპედიაში. როგორც ჩანს, ინტელიგენციის პრესტიჟის აწევაზე უკვე მაშინ ზრუნავდა ხელისუფლება, უკვე მაშინ იცოდნენ, რაში უნდა გამოეყენებინათ იგი. და აი მივიღეთ ახალი განმარტება „ინტელიგენციისა“: ეგვიპტელი ქურუმებით დაწყებული, თანამედროვე მეცნიერებითა და კულტურის მოღვაწეებით დამთავრებული, შუა საუკუნეების ქრისტიანი ბერების ჩათვლით, ყველა გამორჩეული ადამიანი ინტელიგენციის წარმომადგენლად გამოცხადდა.

არ უნდა მოეღოს ამ გზა-კვალის არევას ბოლო? უნდა მოეღოს, რადგან მხოლოდ სახელწოდებაში არ არის საქმე (ასე რომ იყოს, არც ეს წერილი დაიწერებოდა). საქმე ისაა, რომ ამ სახელით შენიღბული იდეოლოგიური იარაღი ამოქმედდა. როგორც ამ სამოცდაათი წლის წინათ მიწების თვითნებურმა გადანაწილებამ და საზღვრების გადატანა-გადმოტანამ ახლა გამოიღო ნაყოფი ე. წ. ეთნოკონფლიქტების სახით, ასე საქართველოში სამოცდაცხრა წლის წინ საზოგადოების ნასწავლი ნაწილის „ინტელიგენციად“ მონათვლამ ახლა დაგვაზიანა, დაქსაქსა ეროვნული ძალები. ამის წყალობით ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ისეთ როლში და ისეთ პოზიციაზე, როგორსაც არავითარ შემთხვევაში არ აირჩევდა, მოტყუებული და დაბნეული რომ არ ყოფილიყო.

ჩვენ ყველას სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ინტელიგენტური აღზრდა გვაქვს მიღებული, ინტელიგენტური მსოფლმხედველობის ჩარჩოებში ჩასმული მეცნიერებანი გვაქვს შესწავლილი. ძნელია ერთი შეხედვით უვნებელ ჩვევებში და ძვალ-რბილში გამჯდარ შეხედულებებში რაიმე ცუდი და დამღუპველი დაინახო; ძნელია, მაგრამ უნდა დავინახოთ. არ უნდა ავყვეთ უძლური კაცის შეგონებას — „შეჩვეულმა ჭირი სჯობს შეუჩვეველ ლხინსაო“, უნდა შეველიოთ ამ მანკიერ ჩვევებსა და შეხედულებებს.

ჩვენს ერს სჭირდება ინტელექტუალები, სპეციალისტები და არა ინტელიგენცია, (ასეა ევროპაში, ასეა განათლებულ, ცივილიზებულ მსოფლიოში), სჭირდება პიროვნებები და არა ფენა, სპეციალურად შექმნილი ჩვენი ქვეყნის დამპყრობლების მიერ ეროვნულ და რელიგიურ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად. „ინტელიგენცია“ ემსახურება იმპერიას, განათლებული საზოგადოება ემსახურება ერს.

ამიტომ ჩვენ, ქართველებს, იქნებ გადაგვეგდო ქართველთა ბუნებისათვის შეუფერებელი სახელი „ინტელიგენცია“ და ყველა ჩვენი შეცდომა მისთვის გაგვეტანებინა, მაშინ ბობორიკინის გამოგონილი „გრამატიკულად და ლოგიკურად გაუმართავი“ სახელის „ინტელიგენციის“ ნაცვლად, დაგვებრუნებინა ძველი კეთილშობილური სახელწ[illegible]ება „განათლებული საზოგადოე[illegible]“, რომელიც აღნიშნავს ღვთისა და ერის სიყვარულით გულსავსე ჭეშმარიტების მ[illegible]ხურთა კრებულს.

**ნინო გველესიანი**
**მარინე მარჯანიშვილი**
**ნინო ლაზრიშვილი**

**რედაქციის მინაწერი:**

ვფიქრობთ, წერილში აღძრული საკითხი ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღებას მიიქცევს. ალბათ, გაჩნდება სურვილი გამოხმაურებისაც. წერილი იცავს ჩვენი განათლებული საზოგადოების ინტერესებს, მის დღევანდელ და ხვალინდელ მოწოდებას და უპირველესად ამ მხრივ გვეჩვენება იგი საინტერესოდ.

ჩვენს გაზეთში, დიდი სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს მწერლების, მეცნიერების, მკითხველი საზოგადოებრიობის თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს. ყოველმხრივ შევეცდებით დისკუსია საინტერესოდ და სასარგებლოდ წარიმართოს.

ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიისათვის ბევრ საგულისხმო მასალას შეიცავს. ამიტომ უცხოეთში მუშაობის დროს იმთავითვე მიზნად დავისახე შემეგროვებინა მათი რაც შეიძლება სრული კოლექცია.

ამ ორიოდე თვის წინ აშშ-ში სამეცნიერო მივლინების დროს ჩვენი თანამემამულეების კერძო არქივებში გაფაციცებით ვეძებდი იმ ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების ნომრებს, რომლებიც მაკლდა, ან არ მქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო გამოდგა ალექსანდრე მანველიშვილის, გივი კობახიძისა და ვალიკო მეგრელის პირადი არქივები. მათ დიდსულოვნად დამითმეს ქართული ემიგრანტული პრესის მეტად საინტერესო ნიმუშები, რომელთა შორის ჩემი ყურადღება მიიქცია გაზეთმა „ქართულმა საქმემ“. ამ გაზეთის ათი ეგზემპლარი გადმომცეს გივი კობახიძემ და ალექსანდრე მანველიშვილმა.



„ქართული საქმე“ გამოდიოდა პარიზში აკაკი მეუნარგიას რედაქტორობით. მისი პირველი ნომერი დათარიღებულია 1946 წლის იანვრით, ხოლო უკანასკნელი მეათე ნომერი, რომელიც ხელთ მაქვს — 1947 წლის სექტემბერ-ოქტომბრით. გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს შორის გვხვდება გრიგოლ რობაქიძის ესსე „უცნობი საქართველო“ (№ 9, 1947, აპრილ-მაისი — № 10, 1947, სექტემბერ-ოქტომბერი), რომელიც დაბეჭდილია Avallon Youngaroo-ს ფსევდონიმით. ესსე დაუმთავრებელია. როგორც მინაწერიდან ირკვევა, გრიგოლ რობაქიძეს იგი ჟენევაში დაუწერია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, იმ დროს, როცა ამ ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად — 1947 წლის გაზაფხულზე.

მსგავსი შინაარსის ესსეები („საუბარი კარდუსთან“) გრიგოლ რობაქიძეს შემდგომშიც უწერია. ის მათ ბეჭდავდა კალისტრატე სალიას რედაქტორობით პარიზში გამომავალ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“.

**გურამ შარაძე**

## გრიგოლ რობაქიძე

# უცნობი საქართველო

ხსოვნისათვის ჩემი დედისა და მამის წირვად.

Avallon Youngaroo

### შესავალი

1. იტყვიან: სამყარო ჰომერის, სამყარო პლატონის, სამყარო დანტესი. იგულისხმება: სამყარო, მათ მიერ ცალკეულ ხილული. ცალკეულხილული სამყარო არ ეწინააღმდეგება ამრიგადვე ხილულ სამყაროს სხვას. თვითეული მათგანი ხილვაა მხოლოდ სამყაროს რომელიმე ასპექტისა. ვისაც ახეთი სხვაფერული სამყარო არ შეუქმნია, ესე იგი: არ უცნაურებია, მის ნიჭს — არის იგი ხელოვანი თუ მოაზრე — „გენიად“ ვერ მოვნათლავთ. გენიის სიდიდე ამრიგად განიზომებოს: თუ რამდენად ძირეულია მის მიერ ხილული ასპექტი და თანაც იმითაც: თუ რა პლასტიურობითაა იგი გამოხხმული.

2. ხალხიც ცალკეული არსია, ხოლო არა როგორც ფიზიკური, არამედ როგორც ზეფიზიკური ერთეული: როგორც მთლიანი კრებული. „კრებული“ არ ნიშნავს აქ უბრალო „კრებას“. მაგალითი: ვაშვით რა მაგალითად ქართველნი, ენა წინ გვხვდება უკვე ქმნილი, მაგალითად ქართული. ვინ არის მქმნელი ამ ენისა, მისი, ვთქვათ ახე, ავტორი? ცალკეულ — არავინ, მთლიანად — ყველანი. ხოლო ეს „ყველა“ არსად და არასოდეს არ გამოდის როგორც „კრება“. ავიღოთ ენა. „წმინდა“ და „მტკიცე“ ქართველთა შეგნებაში ერთიმეორეს ესიტყვებიან: ფქვილს ჩვენ „ვწმენდთ“ ჯერ მერდინით და შემდგომ „სამტკიცით“. ვინ „იაზრა“ ეს? „კონფერენცია“ ხომ არ გამართულა ქართველთა ამ აზრის დადგენისათვის?! ეგებ სადმე, რომელიმე არქივში „რეზოლუციაც“ მოიპოვებოდეს ამისა! მე არ ვხუმრობ, მე აქ ვსაზრავ საკითხს „ელემენტურ“. ასეთი საანეკდოტო „კონფერენცია“ რომ გაგვეაზრა, მაშინ უნდა წამოგვესახა ერთად ყველა ქართველნი: არა მარტო ეხლა მყოფნი, არამედ საუკუნოებში გარდასულნიც, კიდევ მეტი: ჯერ კიდევ არშობილნიც. არა, მთლიანი კრებული რომელიმე ხალხისა „კრება“ კი არაა უბრალო, იგი ნამდვილი არსია, ხოლო ზეფიზიური, რომელიც ხალხში, საკუთრივ მის ენაში, „აზროვნობს“ და „მგოსნობს“. ამ არსს ხალხის მითიურ პირველ-მდგენად (Urheber) სახავენ. ქართველთა — მდგმნის სახელი არის: კარდჱუ. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: „ქართუ“, მაგრამ გაურბი სიჩვილეს ამ გამოთქმისა. „კარჱუ“ კი მუხლმაგარია, როგორც ამ სახელით რქმეული თვითონ. ქართველთა მიერ ხილული სამყარო არის სამყარო, კარდჱუს გენიით ქმნილი, ანუ ცხადებული. აქაა ქართული „მსოფლსახე“ (Weltbild).

3. მესმის და მსმენია ხშირად, აქაც საქართველოში და აქაც ევროპაში: „ეს, ბატონო, მეტაფიზიკაა და არა მეცნიერება!“. თითქო მეტაფიზიკა „ცოდნა“ არ იყოს. რასაკვირველია, მეტაფიზიკა არ ისახავს საკვლევად, მაგალითად ასეთ საგანს: „ბოთლები საზოგადოთ და ლუდის ბოთლები კერძოდ“. არც ახლა ვხუმრობ — ეს სათაურია ერთი სადოქტორო დისსერტაციისა! ავტორს არგუნეს ალბათ „სამეცნიერო“ ხარისხი. რატომაც არა? „ბოთლების“ ცოდნაც საჭიროა, საკუთრივ „ლუდის ბოთლების“, თუ ღვინის მაგიერ „შესაზარხოშებლად“ ლუდს ირჩევ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შესაძლებლობა მქონდა, სულ ცოტა, 200 მეცნიერული შრომა წამეკითხა გამოჩენილ თუ სახელოვან ავტორთა. უნდა გამოვტყდე: ხშირად, ძალიან ხშირად კითხვისას ის სწორუპოვარი დიალ „მითიური ბოთლი“ მაგონდებოდა. ღმერთმა დამიფაროს: ვამცირო ცოდნა მეცნიერული. მე არ მეგულება მსოფლიოში არც ერთი მეტაფიზიკოსი, ნამდვილი მეტაფიზიკოსი — უნდა ვამხილო: ამ ნარკვევის ავტორი ხელოვანია და თანვე მეტაფიზიკოსიც; უნდა ვამხილო მისი სისუსტეც: მას არ შეუძლია წარმოიდგინოს ნამდვილი ხელოვანი, რომელიც თანვე მეტაფიზიკოსიც არ იყოს თავის ხილვაში; ვაჟა ფშაველა საქართველოში უბრალო „მთის კაცად“ ეჩვენებოდათ და იმავე დროს მას ჰქონდა გულისხმიერი საუბარი ჰეგელის „ლოგიკის“ ირგვლივ ამ სტრიქონების დამწერთან — მე არ მეგულება ქვეყანაზე არც ერთი მეტაფიზიკოსი, რომელიც აბუჩად იგდებდეს მეცნიერებას. ყოველმა მეტაფიზიკოსმა კარგად იცის, თუ რა არის საგანი მეცნიერებისა და რა არის მისი საქმე. მეცნიერებმა კი ხშირად ეს ზღვარი არ იციან და აქედან ხდება, რომ სწორედ ისინი იგდებენ აბუჩად ხშირადვე მეტაფიზიკას.

4. აქა ორიოდე მაგალითი: რათა ნათქვამი არ დარჩეს ცალიერ სიტყვად. მეცნიერებას შეუძლია, მაგალითად, გამოიკვლიოს პირამიდების აღნაგობა დაწვრილებით. ამისათვის ჩვენ მადლობასაც ვეტყვით მას. არ შეუძლია ერთი რამ: აგვიხსნას თვითონ „აღნაგი შინაგანი“ პირამიდებისა. ყველამ იცის: პირამიდა ოთხი სამკუთხედია — გვაქვს ორი რიცხვი: 4 და 3. ერთად აღებულნი: 7. მივიღეთ ახალი რიცხვი. მწვერვალში პირამიდა „ოთხსა“ და „სამს“ აერთებს: 7 იქცევა რიცხვად 1. „შვიდი“, ვითარ უზენაესი „ერთი“, საკრალური „თაურია“ (პრინციპი) პირამიდების აგებულებისა. ეს — როგორც მოცემულობა. ეს მოცემულობა რომ ახსნათ, საჭიროა მოიშველიოთ მეტაფიზიკოსი Pythagoras: „რიცხვის მესაიდუმლოვე“. ახსნით საიდუმლოს — გახჭვრეტთ მეცნიერების მიერ გამოკვლეულ პირამიდულ აღნაგობას უფრო შორს და მიიღებთ გასაღებს ეგვიპტელთა რელიგიური წყობისა. მეორე მაგალითი, ჩვენთან უფრო ახლო, უფრო მცირე, ხოლო არა ნაკლებ მეტყველი. ქართულს „ანბანში“, იცით, მოიპოვება ასო „ჯ“. მოხაზულობით იგი „ჯვარს“ სახავს, წააგავს „სვასტიკას“ (არ გეგონოთ, „სვასტიკა“ გერმანელთა კუთვნილობა იყოს მარტო). განსხვავება: იმ დროს, როდესაც „სვასტიკაში“ ორ ღერძთა კაკვული კიდურები თანმოყოლებით „მისდევენ“ ერთი მეორეს, ქართულ ჯვრად სახულ ასოში კიდურები წინეყრებიან ერთიმეორეს და ამ სახით: პირველი ღერძის ზედაკიდური მეორე ღერძის ქვედაკიდურს და პირუკუ. კიდევ ერთი დეტალი: ქართულში მეორე ღერძის ქვედაკიდური თავისთვის იკერძება. საკუთრივ იკაკვება. „სვასტიკა“ ჰიერატიული ხატია მზისა, მისი კოსმიური ბორბალის ბრუნვისა. (აქ ერთი ჩამატება: „მზე“ — „მზერა“. აქედან. „თვალი — „მზე“. აქედან: „ცხრათვალა მზე“, „მზეთვალა“. შემდეგ: „წყაროს თვალი“ და კიდევ „თვალი“ მრავალი სხვა რამისა, ხოლო საიდან მოდის, „ურმის თვალი“, რომლის „თვალად“ წარმოსახვა ძალიან ძნელია? მარტო „სიმრგვალე“ მისი მოსაშველებლად აქ ვერ გამოგვადგება. დარჩა ურმის ბორბალში ძველთა ძველი ხილვა ქართველთა მზის ბრუნვისა „საგნურად“? ეს კითხვა — როგორც ჰიპოთეზი) ასეთივე ხატია ქართული ჯვარსახული ასოც. „სვასტიკაში“ მოცემულია მთელი მსოფლხედვა. ქართულ ასოში? გავარკვევთ ამ ორ ხატთა სხვაობას — მივიღებთ ახალ მსოფლხედვას: ქართულს, უფრო ღრმას, ვიდრე „სვასტიკით“ ცნაურებულს. ამ რკვევისათვის მთელი „კამარა“ დამჭირდებოდა. მივანდობ ამას რომელიმე ქართველ მეცნიერს: თემა შესანიშნავია. ხოლო თანვე უნდა დავუმატო: მთელი ქართული უნივერსიტეტიც ერთი ბეწოთაც ვერ გამოარკვევს მას, თუ მან მეტაფიზიური, ამ შემთხვევაში „მითიური“, ცოდნა არ მოიშველა.

5. კარდჱუს მიერ ცხადებული სამყარო საქართველოში სრულიად არ არის „შინაგან“ განხილული. იგი ქართველოლოგიაში „მონივთულია“ მხოლოდ — ვხმარობ საბა სულხან ორბელიანის მიერ გამოკვეთილ ტერმინს გენიალურს. ათასი მაგალითებიდან აქ მხოლოდ რამოდენიმე. პირველი. რუსნი იტყვიან: „Золотое руно“, გერმანელნი: „Goldenes Wlies“, ფრანგნი: „Toison d'O“. ქართველნი? „ოქროს ვერძი“. აი ქართული სახელი კარდჱუს მიერ ოქროვან განფენილი. გამოარკვევთ, თუ რას ნიშნავს „ვერძი“ როგორც „რეალსიმბოლო“ ნათელყოფთ თვითონ მითოსს უკანასკნელი ამოწურვით. არკვია ვინმემ ეს? უბრალო ცდაც არ მოიძებნება. მეორე. სვანების ქალღმერთი „დალი“, ზემო სამეგრელოში: მისი სატყვისი „ტყის დედოფალი“. წაუყენეთ ეს ქალღმერთი ბერძნების არტემისს თუ დიანას. დაინახავთ, თუ როგორი მზეოსნობით უსწრობს წინ კარდჱუს გენია ჰელლენებისას. გადმოშალა ვინმემ — არა „ეთნოგრაფიულად“, რასაკვირველია — ეს თვალისმომჭრელი მითოსი? არსებობს მხოლოდ ერთი გერმანულად გამოქვეყნებული რომანი — სხვათა შორის: ერთად ერთი რომანი „მითიური“ მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, „მითიური“, ხაზს ვუსვამ: არა „მითოლოგიური“, ასეთი აქა იქ მოიპოვება. მესამე. კარდჱუმ გაავლოცას „ირმის ნახტომი“. სხვებმა? „დიდი დათვი“ განიხილეთ „მითიურად“, ვიმეორებ: არა „მითოლოგიურად“, თუ რაა „ირემი“ როგორც „რიალსიმბოლო“ — ასევე მისი „ნახტომი“ — მთელს სამყაროს გადაუშლით სწორუპოვარ პოემას, თუ კიდევ მოიშველებთ თანვე ტოტემს, წმინდა ცხოველს ქართველთა: „ჯონქაის“ ხევსურთა და „ჯვეგი თუაალს“ სვანთა. სცადა ეს ვინმემ? მეოთხე. ამირანი და მჭედლები ვნების კვირის ხუთშაბათს, ალიონზე. აქ მითოსი „კულტის“ აქტში გადადის. პრომეთეს მეტაფიზიური თვისება არც ერთს ხალხს არ გადმოუცია ასეთი სიღრმით. სხვათა შორის: ევროპაში თავს იმტვრევენ მკვლევარნი იმის გასაგებად, თუ რატომ მაინც და მაინც ღვიძლს უკორტნის პრომეთეს არწივი თუ ძერა. კარდჱუს ენის მეოხებით ამ ფრიად მნიშვნელოვანი დეტალის ახსნა სულ ადვილია (ამის შესახებ მეოთხე კამარაში). ვინ სცადა, მეტაფიზიურად გამოერკვია ქართული ვარიანტი პრომეთესი? მეხუთე. „ჯვარი ვაზის“. „შემთხვევაა“ უბრალო, რომ წმინდა ნინომ ჯვარი ვაზის ნასხლევისაგან გამოსჭრა და შეჰკრა იგი თავის თმებით? ასეთი უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტეანოს არ მოუცია. ვინ ახსნა ამ სიმბოლოს იდუმალი საზრისი? მეექვსე. „თეთრი გიორგი“, მთაში მისი ეპიფენომენი „ლაშარი“. გვაქვს მხოლოდ „ეთნოგრაფიული“ აღწერა „ალავერდობისა“. ერთმა ავტორმა 1917 წელს „თეთრი გიორგი“ დიონისოს კულტს დაუახლოვა, მონახა რა მათ შორის 12 ნათესაური მუხლი. ქართველ მკვლევართა შრომებში ამ ნარკვევის ხსენებაც არ არის. მეშვიდე. „ხატი“. ბარში ეს სურათია წმინდანის, მთაში კი „ხალოცავი“ (ჯერ თვითონ არსი, უხილავი, შემდეგ შენობა). ბარის გაგებით იქ ერთი „ხატიც“ არაა. ვინ ახსნა ეს საკვირველობა? ამ სიტყვაში „მთის“ გაგებით მოცემულია ცნება მითიური შინა-სახისა. მერვე. ერთი მხრით: თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი და მეორეთი: ოტტონები და ჰოჰენშტაუფენები. ვინ გაიყვანა აქ პარალელი მსოფლიო მნიშვნელობისა? მეცხრე. დავით აღმაშენებელი და Presbyter Vohannes დასავლეთში (ინგლისის ერთს ქრონიკაში) ჩვენი უდიდესი „ხელმწიფე“ (ჩაუკვირდით ამ უგენიალეს სიტყვა-ცნებას) მიიჩნიეს ლეგენდარულ იოანედ. ვინ აიღო თემად: დავით აღმაშენებელი და Priester Konig? იოანე ასეთ მეფედ იყო წარმოსახული. მეათე. თამარ მეფე და ღვალის მთა. ამ თქმულებაში ჩანს ქართული ვარიანტი „წმინდა გრაალისა“. ვინ შეეხო ამ ვარიანტს? მეთერთმეტე. დაინახა თუ არა ვინმემ, რომ საქართველოში გულისხმიერი კვალია დარჩენილი „საკრალური იერარქიისა?“ მეთორმეტე. „სოლარული“ ფენი კულტურისა სხვაგან „თეორიაა“ მხოლოდ, საქართველოში კი დაულეველი „მადანი“. გადმოშალა ვინმემ ეს მადანი? მეცამეტე. გვაქვს შესანიშნავი შრომანი, (ნიკო მარის, მიხეილ წერეთლის, ნიკო შანიძის; დანარჩენთ არ ვიცნობ; ივანე ჯავახიშვილი „ჯერ“ ისტორიკოსია და „მერე“ ენათმეცნიერი, თუმცა ენათმეცნიერებაშიაც ძლიერი) მრკვევლნი ქართული ენისა. ხოლო „[illegible]“ ქართული სიტყვისა — [illegible] უგენიალესი ცნაურება მსოფლიოში — არის იგი ოდნავ მაინც ხილული თუ მხილებული? მეთოთხმეტე. ქართული შეგნებით „ფერი“ ელემენტია თვითონ, უფრო მეტი რეალობით, ვიდრე ჰინდუელთა Vedanta-ში. რომელმა მკვლევარმა გამოიკვლია ეს? მეჩვიდმეტე. ქართული შაირის ზომას სხვაგან ეძებენ. ამ სტრიქონების დამწერს სიმართლე უყვარს და გულახდით აღიარებს: იგიც სხვაგან ეძებდა მას. მთელი მეოთხედი საუკუნე დასჭირდა მას, რომ ქართული შაირის შინაგან წყობას ხვდომოდა. წყობა იგი, ანუ ზომა, თვითონ ქართული ენის შინაარსიდან იზმევა. ჩამოთვლა მაგალითებისა შორს წამიყვანდა. ჩამოთვლილიც კმარა.

6. კარდჱუს სამყარო ქართველოლოგიაში ჯერ-ჯერობით „მონივთული“ გვაქვს მხოლოდ. ამ მხრით ბევრი რა ფასდაუდებელი გაკეთებულა და ბევრი შესანიშნავი ეხლაც კეთდება. მერმისზე, იმედი მაქვს, სამყარო იგი მზეოსან რკალებში გაიფინება. მხოლოდ — როგორც ვთქვი — ამ „საქმის“ (არ შემიძლია ვიხმარო სიტყვა „ამოცანა“, დღეს სახაცილოდ, ვინაიდან უადგილოდ ხმარებული) ასასრულებლად მკვლევართ მეტაფიზიკის მოშველება დასჭირდებათ, ხოლო ეს „მეტაფიზიკა“ არ იგულვოს მკითხველმა ვითარ დასავლეთ ევროპაში ფილოსოფიური გეზით „გაყვანილი“. მეტაფიზიკის პირველთაურნი (Urprinzipien) „თვლემენ“, — არ გაგიკვირდეთ — „შესაქმის“ პირველთავებში. (დააკვირდით: რა ღრმა ინტუიციო არის ამ სიტყვაში ხვედრილი: შე-საქმე. თითქოს სამყაროს ქმნა კვლავ და კვლავ საქმეა კიდევ. აქაც თავს იჩენს კარდჱუს გენია ვითარ ღვთიური ელვარი). ვთქვი; „თვლემენ“. იგულისხმება შემდეგი: „შე-საქმე“ ქმნილია საოცარი საიდუმლოებით. იგი „იზრდება“ როგორც გეოლოგიური კეცეული. ვერ გაიგებთ ნამდვილად ვერც ზედაფენს და ვერცა მრავალს მომდევნო ფენს, თუ უკანასკნელ ფენს ვერ ხწვდით. ფესვი — ფენი კი მოსეს „მიღებული“ აქვს ეგვიპტელთა მისტერიებიდან. ექვსი საუკუნის შემდეგ მოსეს დაბადებისა იმავე „ფესვ-ფენს“ ხწვდა პლატონი, რომელიც „შესაქმეს“ არ იცნობდა. თანამედროვეთ პლატონი მეორედ შობილ მოსედ ეჩვენებოდათ. კაცობრიობამ მონათლა იგი ეპითეტონით „ღვთიური“, რომელიც სხვა მოაზრეს ქვეყანაზე არ ღირსებია და დავუმატებ: არც ეღირსება. პლატონმაც იგი „ფესვ-ფენი“ ეგვიპტიდან მიიღო: იგი იქ სწავლობდა. ხუთმეტი საუკუნე შემდეგ მოსესი: კაცობრიობას მოევლინა დიდი აურელიი ავგუსტინ — (ქრისტეს სჯული ამ დროს საქართველოში 20 წლის მზეჭაბუკი იყო). ძველთა ძველ მისტერებს ავგუსტინიც იცნობდა. იგი ეზიარა პლოტინს, პლოტინით პლატონს, პლატონით მოსეს. „ფესვ-ფენმა“ მიიღო უკანასკნელი ყალიბი. 14 საუკუნის შემდეგ ავგუსტინისა წარმოიშვა გოეტჱე: დასავლეთის პლატონი. მან ის „ფესვ-ფენი“ მცენარეში აღმოაჩინა. მცენარე არაა მოცემული არც ერთს მომენტში, თვისი ვითარებისა „მთლად“. გოეტჱმ იხილა ყოველ მომენტში მცენარის ზრდისა „მთელი“ მცენარე: ვითარ მარადი თვალწამში მცენარისა. პლატონსა და გოეტჱს შუა მხოლოდ ეს მსხვავებული ხტილია: „იდეა“ პლატონისა ყუდრობს მარადში როგორც თესლი, გოეტჱს

ხილვაში ეს „თესლი“ იზრდება. „ფეხვ-ფენი“, მისტერიებში ხილული, ქართული ხწორუპოვარი სიტყვით რომ გამოვთქვათ „წყაროს თვალია“, ან და „ხატი“ ძველის ძველ ქართველთა გაგებით. (დაწვრილებით ყველაფერი ეს ახსნილი აქვს ავტორს როგორც მრავალი სხვა საიდუმლო, საუკუნეთა განმავლობაში ან სრულიად არ ხილული ან და უკანასკნელ ძირამდე ვერ წვდომილი — ერთს დამზადებულ წიგნში: „Israel als Geheimnis und Schicksal.“ დასავლეთის ფილოსოფია ერთი დიდი ციკლოპიური შენობაა, საცა ის „წყაროს თვალი“ ძლივს ახელს თვალს. არსად არ ჩანს ეს ისე აშკარად, როგორც ჰეგელის სისტემაში. არცაა გასაკვირი, რადგან ჰეგელი მწვერვალია დასავლეთის ფილოსოფი[...].

[...] „ესოტერულ“ ცოდნას ქართველ მკვლევართ ვერ მოვთხოვ: ამ ცოდნას ვერც უნივერსიტეტები მისცემენ ვისმეს და ვერც ასეული ტომები. იგი სულ სხვა გზით „მიიღებიან“. ხოლო ფილოსოფიური კულტურა მათ მოეთხოვებათ, რაიც კვლევისას ძალიან გამოადგებათ. მისი შექმნა კი ქართველთ შეუძლიათ და მერე როგორ? მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, აქ ერთი ქართველი მოაზრე ვახსენო: შალვა ნუცუბიძე. ამ კაცის ღვაწლი ჯერ კიდევ არაა დაფასებული. მან აღადგინა ქართული ფილოსოფიური კულტურის ტრადიცია, ბედის უკუღმართობით საუკუნოებში შეწყვეტილი. (მეთერთმეტე საუკუნეში, გაიხსენეთ, ჩვენ, ქართველნი, პროკლესაც კი ვკითხულობდით, პეტრიწონელის მიერ ქართულად თარგმნილს! კარდჰუს სიტყვა ამ თარგმანში ისე მომარჯვებულია, რომ — აქ ფრაზას არ დავათავებ: ამას, ერთხელაცაა, შალვა ნუცუბიძე გადაშლის თვითონ). მან შექმნა მთელი კადრი ახალგაზრდათა, განსწავლა და ავარჯიშა. ეს ერთი ფაქტი და აი მეორეც, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ „ყურმოკრული ამბავია“ მხოლოდ. გერმანიაში გამოსცეს ორი ფილოსოფიური წიგნი მისი. სათანადო წრეებში — ნუ დაივიწყებთ: გერმანიაში ფილოსოფიური კულტურა ძალიან მაღალ დონეზე დგას — დიდი გულისხმიერებით გაეხმიანნენ ავტორს. ჩემი ფიქრით, შალვა ნუცუბიძე ამ წიგნებით ჩვენი დროის გერმანელ ფილოსოფოსთა შორის ბევრს ეტოლება და ვიეთნს მათგანს წინუსწრობს კიდეც. აი „მარჯი“ კარდჰუს გონისა! (ფსიქოლოგიის დარგში ასეთივე ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი უზნაძეს).

8. ვიხმარე რამოდენიმე სიტყვა: „გ[...]“. ქართველები ეძებენ და ვე[რ] ნახულობენ სატყვისს ფრანგული „ესპრი“-სა, გერმანელი „გაისტ“-სა, რუსული „დუხ“-ისა. დავიჯერო, დიდი კარდჰუს სიტყვარში იგი არ იპოვებოდეს? „გონი“ — აი იგი! მეტყვიან: „გონი“ წარმოიშვის „გონებასაგანო“. პირიქით: „გონება“ განყენებაა „გონისა“. „გონი“ ქმედითი ძალაა „მგონების“. იგი ქართულში ვირტუალურ ვლინდება ყველგან: „საგანი“ ანუ „საგონი“, როგორც წინდებულ საგონებელი; აქედან: „გასაგებია“; „შთაგონება“: Inspriation; „მოგონება“: გახსენება; „შეგონება“ ორი ხჟუვულით: „შეაგონა“, შეაჭერა, დააჯერა — „შევიგონე“, გონით ავითვისე; „გაგონება“: მოსმენა. ხედავთ: „გონი“ უფრო ღრმად და მკაფიოდ სახავს ნაგულისხმევ მოვლენას, ვიდრე „ესპრი“, ვიდრე „გაისტ“, ვიდრე „დუხ“. „გონში“ მოცემულია ერთად „პნევმა“ და „ნუს“ ბერძენთა. იგი ამ რიგად ნამდვილი სიტყვისია იმავ ბერძენთა „ლოგოსის“, რაიცა ნიშნავს „სიტყვასა“ და „აზრს“ ერთსა და იმავე დროს. იტყვიან: „ძე ღვთისა“. ამ თქმას „ლოგოსში“ აქვს ფესვი. ქართული „გონიც“ მხვედრია აქ. ხოლო „სული წმინდა“ ქართულში მაინც უნდა დარჩეს, რადგან მესამე პირს ღვთაებისას — ამას გ[...]წმებს ჩვენი დროის „სოფიო[...]ა“ — „სული“ უფრო ესიტ[...]ა, ვიდრე der Geist.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ვსწავლობდი „მსოფლსახეთ“: ჩინელთა, ჰინდუელთა, ირანელთა, ებრაელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა, რომაელთა, კელტთა, გერმანელთა. სწავლისას, რასაკვირველია, ქართველთა „მსოფლსახეს“ ვადარებდი მათ. მხრებში ვიმართებოდი ვხედავდი რა: რომ ქართველთა „მსოფლსახე“ არა თუ „ეტოლებოდა“ ჩამოთვლილ ერთა, დიდ ერთა „მსოფლსახეთ“, ზოგიერთ მუხლებში კიდეც უკან იტოვებდა მათ სიღრმით ხილულისა და პლასტიური „სხეობით“ ნახულის გაშლით. (კიდევ ერთი გენიალური სტილი ქართულისა — „სხე“ — იმავ საბას მიერ გზნებული: „ორგანიული“ — „სხეობა“. დიაღ, დიდი კარდჰუს საქართველო სახიერებაა მსოფლიოს ერთი მთავარი ასპექტისა, მზიურ-შობილი, მზიან ალვივებული, მზეოსან-გაშფენილი. ვკეხნაა ეს? ავამეტყველოთ მაშ: მისი ენა, მისი სიტყვა, მისი შაირი, მისი მითოსი, მის ისტორია, მისი ყოფა!

10. ქვემორე თქმული ამოღებულია ალაგ-ალაგ ავტორის უკვე მოთავებულ წიგნიდან: Atlantischer Traum oder der georgische Mythos.“ მკითხველი მიხვდება ნარკვევის ბოლოს, თუ რად დაარქვა ავტორმა ეს სახელი.

## კამარა პირველი

## ქართული ენა

როცა ქართული ენის შინაგან აღნაგს ვუფიქრდები ხოლმე, მაგონდება ყოველთვის ერთი სცენა, ბავშვობისას განცდილი. ჩვენს სოფელში ცხოვრობდენ ვერულაშვილებიც. ერთი მათგანი — ესაია — ეხლაც თვალწინ მიდგას: ახოვანი, კარგად მოყვანილი, მხრებში არ-კვრივი საკმაოდ და ოდნავ მოღუნული სახე გაშლილი ხალისიანი და თანაც ამაყი. წოდებით „გლეხი“, ხოლო შინაგან „თავის-თავადი“. შუბლი „შემართებულის“ მაღალი, ნათელი, არა მლივი, გარნა არც თუ ფართო. თვალები: მდარღია, მოთაფლისფერო, მოჭუტული ოდნავ, ხანდახან ლეგა ციალით. გამოხედვა მუდამ ღიმილიანი, ხოლო თანვე გამომწვევიც: დროდადრო ირონიული, ხოლო არასდროს ავი. მრავალნი ან თვალებით ილიმებიან ანდა ტუჩებით. ესაიას ღიმილი თვალებიდანაც იფრქვეოდა და ტუჩებიდანაც: უყვარდა სიმღერა, ჰქონდა მაგარი ბოხი ხმა. უნდა მოგესმინათ იგი „ნადში“ პურის მკის დროს — ორფეოსის გუგუნი გეგონებოდათ. შეხვედრისას მის ხმაზე ჩამოუგდებდნენ ხოლმე მას სიტყვას: გაკვრით და რასაკვირველია ქებით. მაშინ მისი ოდნავ შენაოჭებული სახე ბავშვური ღიმილით იბადრებოდა. ერთხელ ჩვენს კუთხეში შემოიარა მან. ზაფხული იდგა პაპანაქება. ესაიას ეცვა ნარმის პერანგი საკინძეგახსნილი, და ზედ ზოლებიანი ახალოხი, შეუბნეველი და უღვედოდ. ნიფხავი წარმოუდგენელ განიერი, იგიც ნარმის. ფეხებზე ქუსლჩაკეცილი წუღები, უკვე „შელანძღული“. შემოვეხვიეთ გარს ბავშვები — გვიყვარდა ესაია. ამასობაში ჩვენი სახლისკაცებიც გამოჩნდნენ. მიესალმნენ. „ძალიან არ დასძახე გუშინ, ესაია!“ შეეხმიანა მას ერთი მათგანი ღიმილით. ესაიამ დახარა ჩიბუხი, ამართა მაღლა თავი და მიუგო ღიმილითვე: „ბანში თუუ! ესაია და ასი კაცი!“ ძვირფასი შაირის ნაკვეთივით შერჩა ეს თქმა ჩემს ხსოვნას. მასში კიაფობს მთელი გენია ქართული ენისა და მისი საოცარი მოკვეთილობა და სრულმცნეველი „სხეობა“ გააზრებულისა. დააკვირდით! „ბანში თუუ!“ ესაიას ამჩნევთ ახალისებას და თანაც ამაყ სიჯერეს: ბანში მას აბა ვინ გაეტოლება? შემდეგ მოსხლეტილი დასტური: ესაია და ასი კაცი“ — ასი კაცისაგან იყოს გუნდი შემდგარი, ესაიას ბანი, ერთად ერთი, მაინც ეყოფა მას. თანვე გასაშტერებელი დეტალი. ესაია არ ამბობს: „მე და ასი კაცი“ იგი ამბობს: „ესაია და ასი კაცი“. მესამე პირის ხმარებით იგი განზე აყენებს თავის თავს — „ასაგნებს“ მას: რათა ნელი სიდინჯით შეაფასონ იგი სხვებმა და თვითონ გვერდული ცქერით დასტკბეს თავმომწონებით. ესაიას არა თუ „ისმენთ“ აქ, თქვენ „ხედავთ“ მას.

„ბანში თუუ! ესაია და ასი კაცი“. აქ ერთი მარჯვე მოჭრით გამოკვეთილია ელლიპსური აღნაგობა ქართულისა, ეხე იგი: თქმის ისეთი „მოზმევა“, საცა ართქმული თქმულად ცნაურდება, მალულ და მით უფრო ცხადად. ასეთი მოზმევა თქმისა ესმოდა რუსთაველს, მისი მესაიდუმლე იყო საბა სულხან ორბელიანი, მით გვხიბლავს ვაჟა ფშაველა.

თქმის სიმკვეთრე იგი ქართველობაში დღემდე შერჩენიათ ფშაველებსა და ხევსურებს. აკაკი ცდებოდა, როცა ვაჟას ენას უწუნებდა: „ენას გიწუნებ, ფშაველო“. ვაჟას ფშავურ-ხევსურული არც დიალექტია და არც პროვინციალიზმი. იგი არქაული ფენაა პირვანდელი ქართულისა, გარნა მაინც არა მკვდარი „არქაიზმი“: იგი მიუვალ მთებში საუკუნეთა ხვლას გადარჩენია, იგი ცოცხალია. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ერთი მეტად გულისხმიერი მოვლენა. რუსთაველი ჩვენგან საუკუნეებითაა დაცილებული, ვაჟას კი თბილისში ვხვდებოდით. მიუხედავად ამისა, ვაჟა როგორც მგოსანი „მითიური“ შორეთიდან მოდის, რუსთაველი კი „ისტორიულიდან“. თუ რა გავლენა აქვს ამ მომენტს მათ შემოქმედებაზე, ამას აქ არ შევეხები და ვერც შევეხები, რადგან საგანი მოხილვისა სხვაა. მხოლოდ გაუგებრობის ასაცილებლად საჭიროა მაინც ორიოდე სიტყვა ვთქვა. რუსთაველის პოემაში „მითიური“ ელემენტი „ისტორიული“ შეცნევის არეში ვლინდება. ვაჟას პოემაში ელემენტი „მითიური“ მითიურსავე შეცნევაში იკვეთება. აქ ეს ორი დიდი მგოსანი ქართველთა „პირველობაში“ ერთი-მეორეს ედავებიან. ვიცი, მრავალს აქ „დავის“ ხსენებაც განარისხებს: „როგორ? შოთას ეჭირვება „გადავება“ ვაჟასთან?“. დავაშოშმინებ „განრისხებულთ“. აქ პიროვნულ ნიჭზე კი არაა ლაპარაკი. ჯერ კიდევ 1911 წელს გამოვსთქვი შემდეგი დებულება: აკაკი და ილია როგორც მგოსნები პიროვნული ნიჭით შესაძლოა უფრო იყვნენ დაჯილდოვებულნი ვიდრე ვაჟა, მაგრამ მიიღეთ სახეში, რომ ვაჟაში ზესთაპიროვნული ნიჭი მოქმედობსთქო. ამ გაზომვით მაგალითად, ზეპიროვნულ ხილული „ირმის ნახტომი“, როგორც მითიური „ხატი“, ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე პიროვნული ქმნილება. ამის შესახებ მეოთხე კამარაში. ქართველი მევენახის თქმა ყურძნის მწიფობისას, რომელიც იმგვარადვე ძლიერია, როგორც „ნახტომი ირმისა“, მეორე კამარის ბოლოსათვის მოვიტოვოთ.

ვუბრუნდები მოგონებას. თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში, ერთხელ „ლამარა“ მიდიოდა: ეს ელვარი ხევსურეთის რაინდული ყოფისა, რომელიც ქართველთა შეცნევაში მითოსად იქცა. წარმოდგენას ხევსურნიც დესწრნენ, თბილისში ჩამოსულნი. (უცხოეთში მყოფ ქართველთათვის კიდევ ერთი ცნობა: „ლამარაში“ ქართული ენა მოზმეულია ფშავურ-ხევსურულ). ხევსურნი ისხდნენ დინჯად, შინაგანი სიამაყით თითქო უძრავნი. წარმოდგენის შემდგომ ერთი „ბარელი“ შეეკითხა „მთიელთ“: თუ რა შთაბეჭდილება მიიღეს დრამისაგან. მაშინ გაიმართა მხრებში ერთი მათგანი, ხევსურულ შემმართებელივით, და — თითქო პირი იყო მთელი კრებულისა — მოჰკვეთა მაგრად: „ჯანი მამიმატის!“ ასეთი უაღრესი დაფასება — ორი სიტყვით გამოთქმული — „ლამარას“, მგონი, ჯერ კიდევ არ რგუნებია.

აი, სად მარხია გენია ქართული ენის, მისი არაჩვეულებრივი სინტაქსისა. გრამატიკოსები იკვლევენ ამ სინტაქსურ აღნაგს ქართულისა და გამოიკვლევენ შემდეგაც. ამით კვლევა არ მოსრულდება, ვინაიდან მკვლევარის საგანი „ნაქნარია“ წინვე — ეს კი მუდმივ „იქნება“ ცოცხალ სიტყვაში, განსაკუთრებით ხელოვნურ აღნაგი მწერლობაში. ქართველებმა ჯერ კიდევ არ იციან, საკმაოდ, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს ქართული სინტაქსი. იგი ერთი მხრით უაღრესად მარტივია, მეორეთი კი უაღრესათვე რთული. „მარტივი“ და იმავე დროს „რთული“ — იგი ძნელია ფრიად. ვის არ მოხვლია აქ მარცხი? ვგულისხმობ მწერალთ.

აქ კიდევ ერთი გადახვევა. ჩემი ბრალი არაა — წამძლია სიტყვამ „მარცხი“, რომელსაც „მარჯი“ ეუღლება. ერთხელ, „ხელოვნების სახახლეში“, ახალგაზრდა მოკომუნისტე-მწერლებმა მისაყვედურეს: რაა, რომ სულ მარჯვნით იხრებით, ერთი ჩვენკენაც მოიხედეთო. მე მივუგე: „მეც მსურს გადმოვიხართ მარცხნით, მაგრამ რა ვქნა, ქართული სიტყვის გენია ჩამჩურჩულებს: მარცხნით „მარცხია“ და მარჯვნით „მარჯი“ — გამარჯვებათქო“. ბევრი იცინეს.

ვერც ერთი ენა ევროპული ვერ გაეტოლება „ელლიპსში“ ქართულს: ვერც ფრანგული, ვერც გერმანული, ვერც რუსული — მხოლოდ ლათინური, ხოლო გატოლებაშიაც უკანასკნელი პირველობას ქართულს დაუთმობს. ერთი შაირი ვაჟასი ასე იწყება:

„ჯიხვმა ხთქვა ხალის კლდისამა“—

აქ სიტყვა სიტყვაზე ისეა მიჭრილი, რომ გადანაცვლება რომელიმესი შეუძლებელია. უკვე ხედავთ ნაპრალის კლდეზე წამოჭრილ ჯიხვს, მედიდურსა და ძალაყრილს, გამზადილს მოხხლეტისათვის. კიდევ ერთი წუთი და გრძნობს: კვრივი ხალისი ხალასიანი ყოფისა ხრამს თავს გადაევლება. თარგმნეთ ეს ხტილი შაირისა ლათინურად — მიიღებთ მონუმენტალურ ნაკვეთს, ხოლო ამ ნაკვეთში შინაგანი ღაძაბულობა ჯიხვისა „გაქვავებული“ გამოვა, მაშინ როდესაც ქართულში იგი „მოშვილდულია“ პირდაპირ. პირდაპირ ყველაზე მძაფრად საქართველოს არეში ამას ხევსური იგრძობს, რომელიც ადიდებს თეთრ ხარირემს: „ჯონქაი“, და სვანი, რომელიც თაყვანსა სცემს თეთრს ჯიხვს: „ჭვეგი თვაალ“.

ასე — ვაჟა. ეხლა არა—ვაჟაც მოვიხმინოთ რომელიმე. უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველობას ილო მოსაშვილის სახელიც არ გაუგონია ალბათ. ტომით კახელი, როგორც მისი უფროსი მეგობარი სანდრო შანშე — ასე ვუხმობდი ხოლმე არწივთვალა სანდრო შანშიაშვილს — ილო მგოსანია „ჭეელი“, როგორც მისი თანამოძმე. ბოლო ნახხლეტი ერთი მისი შაირისა ეს გაძახილია:

„უფსკრულებისკენ გაქანებულ უზანგებიდან!“

როცა ეს გაძახილი „მეძახის“ დროდადრო, მაგონდება მყისვე ერთი ძველთა-ძველი თქმულება. მცირე აზიაში დოღია გამართული სახალხთაშორისო. ქართველებს შეჯიბრებაში დიდი კარდჰუსადმი შეწირული მეწამული ფაშატი „ბედზე მიუგდიათ“: „მზიურა“. ფაშატის მხედარი ერთი ახალგაზრდა ქართველია: მზეჭაბუკი „ვამეხ“ (სახელში მეხია თვითონ). ოცდაათი ცხენი — შურვილით გავარდნილი, გაფენილი ზოლი. „მზიურა“ ჯერ კიდევ წინაა. უეცრად ფეხი წამოკრა „გაქვავებულ“ გოროხს, წაიფორხილა — (ხედავთ, როგორ მუხთლობს ბედი ქართველთა მიმართ უკანასკნელ წუთში“!). ეხლა ხუთი ცხენი „მზიურას“ წინ. მხედარი მზეჭაბუკი უკვე დაკოდილი მზეა. ხოლო „დაკოდილი მზე“ უფრო მეტი ვნებითაა ატეხილი „კარჰუხი ხარ, „მზიურა!“ ჭაჰკივის ვამეხ. ცხენს კივილი ტკივილად ჩაესხა: ვითარ სისხლი დაკოდილი მზისა. ელემენტურ იკვირვა ტანში მან რაღაც „ზესთაური“ — გავარდა — დაეწია წინაურთ — გაუსწრო — გავიდა პირველი. მაგრამ — იმავე წუთს გული გაუსკდა: ალბათ მზის სისხლმა თან გაიყოლა.... როცა ამ სცენას წარმოვიდგენ ხოლმე, მესმის ილოს შაირის ბოლო ნახხლეტი. თითქოს ვამეხ გასძახის: „უფსკრულეთისკენ გაქანებული უზანგებიდან!“.. გეკითხებით: მონახავთ სადმე მსოფლიო პოეზიაში თუ გინდა ერთადერთს შაირს, საცა დიონისური გავარდნა ასეთი დინამიურობით იყოს გაყვანილი და ისიც მხოლოდ და მხოლოდ სამი სიტყვით? ერთი შაირი მაგონდება მხოლოდ, რომლის ავტორი გერმანეთის დიდი მგოსანია: Hoalderlin იგი ასე ბოლოვდება: Das Wunderbare [...]nen dem Abgrund [...]! — ჭ[...] მწერს — რომელიც ელემენტურ გამოდის „Imago“-ს შუაგულიდან—უფლება აქვს სთქვას: ილო მოსაშვილი რასაკვირველია ისე არ გაკადნიერდება, რომ Holderlin-ს გაეტოლოს, ხოლო უკანასკნელი, რომელიც ვითარ ნათელი და მართალი ბავშვი, თვითონ ღმერთებთან უშუალოდ საუბრობდა, მოსმენოდა მას ეს სამი სიტყვა „უფსკრულებისკენ გაქანებული უზანგებიდან“, იტყოდა უთუოდ: „აჲა, ესაა ნამდვილი“. ასე გენიალურ ილებს ნაყოფს ცალკეულში ზესთაპიროვნული გენია ქართველთა.

მეორე „არა—ვაჟა“ კიდევ. ამ მგოსანს აქაც იცნობენ ქართველები უცხოეთში: კონსტანტინე ჭიჭინაძეს. მას აქვს ერთი შაირი, რვა სტრიქონი მხოლოდ: „ორბი“. მგოსანი „იჭერს“ ხილვაში ორბს — გაფრენილს. და მერე როგორ? ხან აქ ხან იქ ფენილი ლანდი ორბისა თითქო ინთქავს არეს. გახედავთ მაღლა: ორბი ეხლა კამარას ავლებს, ხან აქეხკე განხრილს ხან იქისკეტკბებით კამარით: თითქო ანთქული არე იქ იბურთება, იგუნდება. სამწუხაროდ ზეპირად არ მახსოვს შაირი, რომ მკითხველს შთაბეჭდილება უფრო მკაფიოდ გადავუშალო. (თუ რაიმე შემთხვევით ავტორს ეს ნომერი გაზეთისა ხელში ჩაუვარდა, დარწმუნებული ვარ: თავის „ორბს“ გამოაფრენს ჩემკენ აქეთ). მსოფლიო პოეზიაში მხოლოდ ერთი შაირი გერმანულად თხზული, მეგულვება, საცა სივრცე ატმოსფეროდ იშლება. ამ შაირს მოვიყვან ამ ნარკვევის ბოლოში. ავტორი შაირისა ამის წინააღმდეგ არ იქნება. როგორ შესძლო კონსტანტინე ჭიჭინაძემ შეექმნა ასეთი რამ? ცხადია, წყალობით იმავ ზეპიროვნულ გენიისა ქართველთა.

პროზა? თილისმა ქართული ელლიპსისა აქაც საოცარია. გავიხსენოთ საბას „იგავები“, მოვიგონოთ ვაჟას „შველის ნუკრის ნაამბობი“. აქ უნდა აღვნიშნო ერთი ნაწერ[...] რომლის ავტორი არც საბაა და არ[...] ვაჟა და, ნუ გაგიკვირდებათ: [...] „მწერალი“. მით უფრო საკვი[...]ლი ხდება ჩვენთვის ქართულ[...] საიდუმლო. ავტორი არის: ვუ[...] ბერიძე. ათი-თორმეტი წლის [...] შემთხვევა მქონდა წამეკითხა [...] წერილი: „დავით რექტორი ა[...]სი-მესხიშვილი“ („შრომანი [...] სახ. უნივერსიტეტისა“). ვიცოდი, რომ ვუკოლ დიდი მცოდნეა ქართული ენისა, ხოლო არ ვიცოდი, რომ იგი ასეთი მძლავრი „მზმელი“ (მქმნელი, საბას განმარტებით; „ზმევა“ შინაგანი მომენტია „ქმნისა“) იყო მისი: „წერაში“. მისი წერილი ნამდვილი შედევრია თანდართული ქართული პროზისა. „დასამშვიდობლად“ ჩვენი პროზაიკებისა უნდა დავუმატო: შედევრი როგორც „Essai“ ნარკვევი. „თხრობით პროზაში“ მათაც თვალსაჩინო მიღწევები აქვთ. როცა ამ „დამატებას“ ვწერ, სახეში მყავს განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდია — ყველაზე უფრო მძაფრი „მოშურნე“ მათში. თანვე ვთხოვ მკითხველს, ამ სიტყვის — საბა წერს: „მეშურნე“ — ფეხვს ნუ გაიხსენებს. „მოშურნე“ ქართულში სწორედ იმას ნიშნავს, რასაც გერმანული ასიტყვებს. როგორც „Eiferer“ და რუსული როგორც Ревнитель აქვე შევნიშნავ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას უკანასკნელი რომანი „დიდ კონსტანტინეს მარჯვენა“ მისსავე „დიონისეს ღიმილს“ „უიშვლოდ“ ამარცხებს: ენითაც. ეს კი გამახარებელი მოვლენაა როგორც მარჯვე წინსვლა ავტორისა. მისი მწიფობის ხანაში Vivat sepuens! „ნარკვევის“ დარგში კი ვუკოლ ბერიძის წერილი სანიმუშოდ უნდა ჩავთვალო. ძვირად მრგუნებია ასეთი დატკბობა ქართულით. აქ ყოველი ხვეული საოცარი ოსტატობით არის გამართული. ქართული სინტაქსი — ელლიპსას მადლით აღწევს სრულს აღნაგობას. ხშირად „მოქნეული და მოზომილი“ აქ ერთი და იგივეა — სტილის ნიშნული სწორედ აქ უნდა ეძიოთ.

Avallon Youngaroo
Geneve Frontenex, 11.

P. S. ავტორი, როგორც ყოვლად პოლიტიკურ დაჯგუფების გარეშე მდგომი, მუდამ სარგებლობს „ქართული საქმე“-ს სტუმართმოყვარეობით, რისთვისაც უკანასკნელს მადლობას უცხადებს.

# საქართველო აღარ გაიყიდება!

### ა. ჩოჩიევის ინტერვიუს პასუხად

ეჰ. წყეულო ბედისწერავ!
რა სიბერეს გადამკიდე?!
ია-ვარდის მთესველ-მკრეფი
ახლა უნდა ეკალს ვმკიდე?
აკაკი

ზოგნი თავისას დაჰკარგავს, სხვისა სწადს მოსახვეჭადა.
ვახტანგ VI

„იყიდება საქართველო, მინდორველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, ხათეხით; წარსულის ისტორიით, მომავალი ხვე-ბედით; მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის ხანაზაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი ხახლით და კარით...“

იყიდება საქართველო და ჩვენ. მისმა პირისუფლებმა, უნდა ვიფიქროთ, განვსაჯოთ, ნაიარევი შევუხვიოთ და იმედი დავუსახოთ დაწყლულებულ ქართულ სხეულს. გასაკიცხი გავკიცხოთ, შესაქები შევაქოთ, ურწმუნო მოვაქციოთ, უიმედო დავაიმედოთ, გულაცრუებული გავამხნევოთ, გადაკიდებულნი შევარიგოთ, მოყვარეს მოყვრულად დავუხვდეთ და მტერს — მტრულად.

„რათა გაუმარჯვდეს საქართველოს, ვემსახუროთ საქართველოს, მოვუაროთ საქართველოს!“

დღეს ურთულესი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა საქართველოში, რომელიც მჭიდრო კავშირშია არა მარტო საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებთან, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარ დრამატულ ცვლილებებთანაც. მიმდინარეობს ერთა თვითგამორკვევის, სუვერენიტეტის გაფართოებისა და აგრესიის ძალით დამხობილი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ურთულესი პროცესები, რასაც თან ახლავს ეთნოკონფლიქტები, ღრმა ეკონომიკური კრიზისები და მრავალი სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენა. ყველა ეს ფაქტორი გარკვეულწილად შეეხო საქართველოსაც, რომელიც იბრძვის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის დამკვიდრებისათვის, განსაკუთრებით გამოაშკარავდა ამ ბოლო დროს კრემლის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები, რომლებიც მიმართულია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და მძლავრ იარაღს წარმოადგენს ცენტრისათვის. საქართველოში მრავალი ცხელი პოლიტიკური წერტილია, მაგრამ სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობა მათ შორისაც კი გამოირჩევა თავისი სიმწვავითა და აგრესიულობით. ოსი ეროვნების სეპარატისტულად და ექსტრემისტულად განწყობილ ნაწილს „ბრწყინვალე“ კოორდინაციას უწევს ე. წ. „ადამონ ნიხასი“ და მისი ავანტურისტი ლიდერი ალან ჩოჩიევი.

საუბედუროდ, მოგვიმრავლდნენ ჩვენი მიწის სურნელებით დამთვრალი ჩოჩიევები. დრო აირია, ქვეყანა ქაოსმა მოიცვა და ფსევდოპოლიტიკოსები თუ ფსევდოპატრიოტები, ბრიყვთა და უგუნურთა მხარდაჭერით ფრთებშესხმულნი. ცდილობენ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას. „ცა და მიწა იქცეოდა, ტურა ქორწილს ექცეოდაო“. — ამ დღეში ჩავვარდნილვართ, მაგრამ საკითხავია, ვის ხარჯზე ფიქრობენ თევზის დაჭერას ცოდვილნი? ნუთუ იმ მრავლისმნახველი საქართველოს ხარჯზე, რომელიც ყველა უსახლკაროს იფარებდა, ყველა დამშეულს აპურებდა, ყველა მწყურვალს წყალს აწოდებდა: ვინც ყველას ლუკმას გაუყოფდა და თავს ანაცვალებდა. ვინც ყველა უპატრონო მართვეს გამოზრდიდა და დააფრთიანებდა. ვაი რომ, ეს ჩვენი სულით და ხორცით, სიყვარულით და გულუხვობით დაფრთიანებული მართვეები დღეს ავისმზრახველ არწივებად ქცეულან და, გამზრდელის ოფლის ფასად დაჯანიანებულნი, იმავე გამზრდელს ჰკორტნიან გულს დიდის თავგამოდებით. ერთმანეთს ეცილებიან ამ „საპატიო“ საქმეში უგნური შვილობილები, რადგან სწამთ და სჯერათ თვისის ბრიყვული გონებითა, რომ ვინც ადრე გამოკორტნის მშობელს მკერდს, მით მეტი და მეტი ალმაფრენა ელოდებათ უგნურთა ბრბოში. ახია ჩვენზე: „ჩიტსა გუგულის მზრდელსაო, გუგული მოსჭრის თავსაო“.

სტუმარმასპინძლობაც ამას ჰქვია!

დედაშვილობაც ამას ჰქვია!

გადაჭარბებული პატივისცემაც ამას ჰქვია!!!

ოსეთი მხოლოდ დვალეთი ყოფილა, რომელსაც აგრესორი ქართველი მეფეები ხშირად იპყრობდნენ ხოლმე. ეს ყოველივე ყოფილა ფეოდალური ომები და ინიციატორის როლში, რა თქმა უნდა, გამოდიოდნენ დამპყრობელი ქართველები, რომლებიც იმონებდნენ და ხარკს ახდევინებდნენ „თავისუფლებისმოყვარე“ ერს.

სახელი და დიდება მართლმადიდებელ რუსეთს, რომელმაც საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად მას რუსული ხიშტით დაპყრობილი ოსეთიც უფეშქაშა.

ამაზე უთქვამს ალბათ დიდ ილიას, როცა გვმოძღვრავდა:

> მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა
> მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
> რაც კარგი ექნას რუსისა
> შტიკსა —
> ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად
> მისცეს.

რაღა გვქონდა საამაყო და თავმოსაწონი, როცა, რაც კი ბინძური და შეურაცხმყოფელი სიტყვაა, ყველას ადრესატი ჩვენა ვყოფილვართ. ქართველები ოკუპანტებიც ვყოფილვართ, ნაცისტებიც. პროვოკატორებიც, თავისუფლებისმოყვარე ერის დამმონებელნიც და მათი გენოციდის მწარმოებლებიც. იმპერიაც საქართველო ყოფილა და ქართველები — იმპერიალისტები. ამას ხომ კარგად მოწმობს ოსეთის „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ მოძრაობის ლიდერის ალან ჩოჩიევის სიტყვებიც: „იდეა იმაშია. რომ გავთავისუფლდეთო“. აი, თურმე. ვინ ვყოფილვართ ქართველები. საქართველოში „მიმდინარეობს ცალმხრივი ომი „მოძმე“ ოსი ხალხის წინააღმდეგ“. რომელსაც ოსები დიდი თავშეკავებითა და მოთმინებით შესცქერიან თურმე.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი „თავისუფლებისმოყვარე“ ალან ჩოჩიევის გამონათქვამებიდან: „რაც შეეხება ოს-ქართველთა ურთიერთობას, შემიძლია ვთქვა, რომ თუ ვინმემ შეიტანა პოზიტიური წვლილი, ეს გააკეთეს ოსებმა 1989 წლის 23 ნოემბრის შემდეგ“; „ამჟამინდელმა ამბებმა გვიჩვენეს, რომ თუ იმპერიულ სისტემაში ვინმემ რამე გააკეთა სიტყვა „მოძმესთვის“ ბრჭყალების მოსახსნელად, ესენი კავკასიელი ოსები იყვნენ“. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მადლობა მოვახსენოთ ყველას, ვისაც ჩვენდამი ძმობა-მეგობრობის აღდგენის სურვილი ამოძრავებს და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს ბატონი ალანი იქნება, რომელსაც ახლადგამოღვიძებული ქართველი ერის წინააღმდეგ ბრძოლის დიდად მოხერხებული ტაქტიკა შეურჩევია, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მდგომარეობს იმაში, რომ „თუ დადგება სსრკ-დან საქართველოს გასვლის საკითხი. კარგად ვიცი, ჩემი ხალხის პოზიცია... რომ ჩვენ სსრკ-დან არ გამოვალთ“-ო: „მამლის სჯდომი თუ იცის. მეტი რა უნდა მელასა?“

კიდევ ერთხელ დავიმოწმოთ ბ-ნი ალანი: „ჩვენი მთავარი ამოცანაა, რეალიზებული იქნეს ის პოლიტიკური პოტენციალი, რომელიც სამხრეთ ოსეთში ნოემბრის მოვლენებმა შექმნეს. ეს ისეთ პროპაგანდისტულ მუხტად უნდა ვაქციოთ. რომელიც გვიჩვენებს. რომ კავკასია ველურები, ნაცისტები, ექსტრემისტები როდია. რომ კავკასიაში არიან ევროპული დემოკრატიული აზროვნების ადამიანებიც“. რაც შეეხება ევროპული დემოკრატიული აზროვნების ადამიანებს, თუკი ბ-ნი ალანი მათ რიცხვში საკუთარ თავსაც მიათვლის, იგი ძლიერ ცდება. რადგან ზემოთ ჩამოთვლილთაგან მისი სახელი. ამ კატეგორიის ადამიანთა გარდა, ყველგან თამამად შეგვეძლო ჩაგვეწერა. ის იმ ჭკუანაკლულ, ტრაბაბა რუსის ოფიცერს უფრო მაგონებს, რომელიც ერის ცივილიზაციის დონეს ულვაშებიანი გენერლებით აფასებდა. შედარებისთვის მოვიყვანოთ ბ-ნ ალანის კიდევ ერთი გამონათქვამი: „ჩვენ საოცრად ყველაზე მილიტარისტული ერი ვართ მსოფლიოში. ჩვენ ყველაზე მეტი გმირი და გენერალი გვყავს ერთ სულ მოსახლეზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამით ვამაყობთ“. ღმერთმა ბევრი მაგისთანა საამაყო მოგცეთ თქვენ და თქვენისთანებს, მაგრამ ერთი კი გახსოვდეთ, ქვეყანა დიდია და სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს, ბატონო ალან!

„იყიდება საქართველო, მინდორველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, ხათეხით; წარსულის ისტორიით, მომავალი ხვე-ბედით“.

„იყიდება ერთიანად: შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი, და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.“

მაგრამ, არა! შეჩერდით! ისმინეთ მწეწავ-მგლეჯავნო მშვენიერი საქართველოსი. მისი დავიწყებული, მიძინებული პატრონი გამოფხიზლდა, გონს მოეგო და არავის დაუთმობს ერთ მტკაველ ქართულ მიწასაც, სადაც წინაპართა ბევრი ძვლებია დაფლული და ზედ სისხლისფერი ყაყაჩოები ჰყვავიან.

გვახსოვდეს ბრძნული შეგონება:

„ვინცა ავია. მოსჭერ თავია, მისი ამოფხვრა თემთა ზავია“. საქართველო აღარ გაიყიდება!

დედა მარიამის წილხვედრო ქვეყანავ, მუხლი არ მოგკვეთოდეს, ჯანი არ წაგრთმეოდეს, ბრძოლის უნი არ მოგკლებოდეს. რადგან სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებაა. გამარჯვება თავისუფლებაა. თავისუფლება კი მიზანია ტანჯული ერისა.

**კახა ჟორჟოლიანი**
პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლა, XI კლასი

# რადიო—პრესით

საქართველოში 7 ნოემბერი სამუშაო დღედ გამოცხადდა.

ეს დღე ეროვნული ტრაგედიის დღეა.

ლენინგრადში, მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში, ოქტომბრის რევოლუციის 73-ე წლისთავზე გაიმართა კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის პანაშვიდი.

— რად უნდა პარადი მშიერს? იკითხა ერთმა მოპიკეტემ ლენინგრადში.

გარდაქმნის დროშით ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისთანავე გორბაჩოვმა სრულიად არაორაზროვნად განაცხადა. რომ სულაც არა აქვს განზრახული საბჭოთა ხელისუფლების დაშლა.

ჟენევაში დამთავრდა მეორე საერთაშორისო კონფერენცია კლიმატის პრობლემებზე. 120 ქვეყნიდან ჩასულმა მეცნიერებმა და დიპლომატებმა ილაპარაკეს ეკოლოგიის საკითხებზე. დედამიწის ტემპერატურის კონტრასტულ აწევაზე. ნახშირორჟანგის გაზის მომატებაზე (ამ მხრივ საბჭოთა კავშირი მეორე ადგილზეა), აგრეთვე, საუკუნის დამლევს წყლის დონის აწევაზე, რასაც. თუ საერთო ძალისხმევა არ იქნება, შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს.

ჩრდილოეთ ინდოეთში მომხდარი მიწისძვრით (7 ბალამდე) დაიღუპა 21 კაცი, 80 დაჭრილია, 12000 უთავშესაფროდ დარჩა.

— უკვე გვაქვს იურიდიული უფლება, დავიწყოთ ომი. სპარსეთის ყურეში თავმოყრილი ძალები მზად არის ომის დაწყებისთვის. ან ჩქარა გავიდეს ერაყი კუვეიტიდან, ან მზად იყოს ომისთვის. განაცხადა მარგარეტ ტეტჩერმა ჯეიმზ ბეიკერთან საუბარში.

ის ფრანგი დიპლომატები, რომლებიც უკვე სამშობლოში არიან. ლაპარაკობენ მძევლებისთვის შექმნილ მძიმე პირობებზე: გამორთეს ელექტროენერგია. ხუთ დღეს არ გვქონდა სასმელი წყალი. იძულებული ვიყავით აბაზანაში შემორჩენილი წყალი დაგველია: ათასობით ხალხს ისევ გაუსამართლებლად. ადგილზე ხვრეტენ. აუპატიურებენ ქალებს. სადამ ჰუსეინი ყურადღებას იქცევს სასტიკი საქციელით, ხალხის წამებით.

როგორც „ბალტიმორ სანი“ აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა განაცხადა, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება ერაყის წინააღმდეგ.

ინგლისელი ისტორიკოსის, მაიკლ ჰოვარდის აზრით, შემრიგებლური პოლიტიკა ჰუსეინთან დამღუპველია.

სამი თვე გავიდა, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წინადადებით მიმართა ერაყს, დაეტოვებინა კუვეიტი.

ვილი ბრანდტის ელჩიო კოლომიოსთან (იტალია) ერთად ერაყში გამგზავრება დაკავშირებული იყო მძევლების გათავისუფლებასთან. ბაღდადში იგი ჩავიდა თვითმფრინავით, რომელიც 219 მგზავრს იტევს. მას იმედი ჰქონდა, რომ 400 გერმანელი მძევლიდან 100-ს მაინც ჩაიყვანდა სამშობლოში. ამავე მიზნით იყო ერაყში იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იასუჰირო ნაკასონე.

ორშაბათს, 5 ნოემბერს ნიუ-იორკში არაბებმა მოკლეს რადიკალი რაბინი კახანა. ამ ფაქტმა აღშფოთება გამოიწვია ისრაელში. ოთხშაბათს, კახანას დაკრძალვის დღეს. 10.000 მგლოვიარე იერუსალიმელთა შორის გაისმოდა: „სიკვდილი არაბებს“.

გერმანელები ყველაზე ბედნიერი ხალხია დღეს. 9 ნოემბერს მათ კიდევ ერთი ზეიმი ჰქონდათ — ბერლინის კედლის აღების წლისთავი. 9 ნოემბერსვე — ოღონდ 1938 წელს, იყო ებრაელების დარბევა გერმანიაში — ბინებში შეჭრა, ფანჯრებიდან ხალხის გადაყრა...

რაფაელ ზახტამოვის სტატიიდან „დოგმის გარეშე“: მარქსის შრომები იმით კი არ გვაოცებს, რაც იქ არის, არამედ იმით, რაც იქ არ არის. სახელდობრ — ადამიანი.

საკვები, ტანსაცმელი. თავზემოთ ჭერი... კარგია. მაგრამ ადამიანი გადადის თავის მთავარ დანიშნულებაზე: ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, მეცნიერების საკუთარი ნიჭით გამდიდრება... მარქსმა არ შეიწუხა თავი ბოლომდე ჩასწვდომოდა თავისი იდეების შედეგებს.

... ლენინის დროიდან შეიქმნა სპეციალური საწყობები ხელმძღვანელთათვის, იმათთვის, ვისაც განუზრელად სჯეროდა კომუნიზმისა...

ბ. ელცინის მემუარებიდან: სპეცმაღაზიები, სპეცპროდუქტები, სპეცმედიკამენტები, სპეცაგარაკები... უამრავი „სპეც“ —პარტიული ნომენკლატურისთვის. მე არ შემიძლია მივიღო უცხოური სუპერწამალი (ექიმის რეკომენდაციითა და ხელმოწერა-დადასტურებით). როცა ვიცი, რომ მეზობლის ავადმყოფ ბავშვს არა აქვს ასპირინი, რა თქმა უნდა, კარგია შესანიშნავი აგარაკი, შესანიშნავი კვება, ჩაცმა და ა. შ. მაგრამ...

რაბინი მაიმანიტი თავის ახალ კოდექსში დაწვრილებით ჩერდება ნოეს შვიდ კანონზე, რაც, როგორც მაიმანიტი აღნიშნავს, დავიწყებულია კაცობრიობის დიდი ნაწილის მიერ.

აფრიკის ნაციონალური კონგრესის ლიდერის ნელსონ მანდელას აზრით, ერაყის კუვეიტში შეჭრის გამო დასავლეთის რეაქცია ფარისევლურია. როცა აშშ და ისრაელს ეხება საქმე, დასავლეთის ქვეყნები. უბრალოდ, არასოდეს ილებენ ხმას, აღნიშნა მან.

ექვს დღეს გრძელდებოდა ებრაული მუსიკის ფესტივალი მანჰეტენზე. კლეზმერ-მუსიკის ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა ახალ პოპულარულ ანსამბლს ნიუ-იორკიდან, ახალგაზრდა ზანგის — დონ ბაირონის ხელმძღვანელობით.

ვენის ტელევიზიასთან ინტერვიუში რუმინეთის პრეზიდენტმა ილიესკუმ (რუმინეთის ცკ-ს ყოფილმა მდივანმა, და ჩაუშესკუს დროს ტექნიკური გამომცემლობის დირექტორმა). აღნიშნა, რომ რუმინეთში აწუხებთ მოლდოვაში (ყოფილი ბესარაბია) მცხოვრებ თანამემამულეთა ბედი.

პარიზში, ევროპის გაერთიანებისადმი მიძღვნილი შეკრების (34 ქვეყანა) ძირითადი თემა იყო შეერთებულ შტატებთან და კანადასთან კავშირი, აგრეთვე — აღმოსავლეთ ევროპისთვის დახმარება.

„ჩიკაგო ტრიბუნი“: საქართველოში ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა დიდი დარტყმა მიაყენა საბჭოთა კავშირის ერთიანობისკენ მიმართულ პოლიტიკას. არჩევნებში გამარჯვებული ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ქართველი ხალხს სრული დამოუკიდებლობისკენ მოუწოდებს. საქართველომ მტკიცედ აიღო საბჭოთა კავშირიდან გასვლის კურსი.

„თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ რადიოგადაცემებიდან.

## ჯანსუღ ჩარკვიანი

# „ველარამან გამახარნეს“

### მზისადმი

მზეო, ჩემო წინაპარო,
იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო,
ფაფრიანი ლომისა ხარ.
დილით გამომცხვარო პურო,
დედაჩემის თონისა ხარ,
საქართველოს ნათლის ფარო,
მამაჩემის თორისა ხარ.
ხან რო ღრუბელს მოიფარებ,
გლოვისა და წყრომისა ხარ,
ჩემი დილამშვიდობის და
ჩემი მწუხრის ომისა ხარ.
ფერდობზე რო გამოჩნდები,
მოგოგმანე გნოლისა ხარ;
არაგვზე რო დაბრძანდები,
დამსხვრეული ბროლისა ხარ.
იონჯაში გაერევი,
გვირილების მოლისა ხარ;
გვერდულად რო ჩაიცინებ,
უცისფრესი თოვლისა ხარ.
მზეო, ჩემო წინაპარო,
იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო,
ფაფრიანი ლომისა ხარ.

### ქაჯეთში

ომში მარჯვენა შეგახმა,
მე გიგერიებ მარჯვნითა,
რა კაპარჭ-ხმლითა შენა ხარ,
რა უთვალავი ლაშქრითა...

მითხარი, როდის გათენდა,
როდის არ მოგინადირეს,
ის გული როდის გამთელდა,
სიდანაც სისხლი გადინეს.

აღარ ახსოვხარ სიკეთეს,
მკვდარი ჰგონიხარ სიკვდილსაც,
რა კლდეშიც გამოიკვეთე,
ტირილი მესმის იმ კლდისა.

რუსთველი არ შეიფერო,
დაშრა რუსთველის მელანი,
ქაჯეთში ცხოვრობ, იბერო —
არსით არ არის შველანი.

### მივდივარ ბეთლემს!

მივდივარ, სადაც ყრმა არის ღმერთი,
სადაც მარადის ჰყვავიან ხენი,
მივდივარ ბეთლემს, მივდივარ, რათა
წმინდა მარიამს მივართვა ძღვენი.

შ[illegible]ნო იბერთა, უნდა მღეროდეთ,
სხ[illegible]ვო, სარკმელში უნდა შეფრინდე,
ვერ მოაკვდინა ყრმაი ჰეროდემ —
სიზმრად მშვიდობა ნახა ეგვიპტემ.

### კაიყმა

ცოდვილსა შთანთქავს შავეთი,
მზის სხივი დაწრეტს ღამესა,
იმას კაიყმა არ ეთქმის —
ხანჯლისა ცალპირ ამლესავს.

გზებზე ფიანდაზს გიშლიდეს,
იმედი გქონდეს იმ ერთის,
მთავარი არის სიმშვიდე,
მთავარი არის იმედი!

რაც გენატრება, ქართველო,
ისაა შენი წილხვედრი,
იქნებ, დაანთეს სანთელი,
რა იცი, იქნებ მიხვედი.

### სიკვდილი ხისა საგადურის ტყეში

იდგა ძრწოლა, იდგა შიში,
დალეწილი სიზმრებით,
ხე კვდებოდა მუხის ჯიშის,
ხე კვდებოდა ღვთის ნებით.
სივრცეების მწუხარება
ქარიშხალში კვნესოდა.
მას ელოდნენ ურანები,
მაგრამ აღარ ესმოდა.
იყო ზეცა სევდიანი,
დაწ[illegible]ილი, დაცლილი,
ყველაფერი ბედი არის,
ხე კვდებოდა კაცივით.
ხე კვდებოდა, არემარე
სავსე იყო ყვავებით,
ქვითინებდა ქარი მწარედ,
ქვითინებდნენ ყანები.
ხე კვდებოდა ხელში კრავით,
თვალთ სდიოდა მარჯანი,
წელზე ერტყა სამღურავი,
როგორც ქამარ-ხანჯალი.

### საყვედური

არ ვმორჩილებდით, არც თავს ვიქებდით
და ვაწყდებოდით ტალღას მკერდებით,
გთხოვთ, მაშინდელი ნახოთ „ცისკრები“
და თქვენ მიხვდებით, რას ვაკეთებდით.

მე ვერ გავიგე, რას არ გვპატიობთ
დაბადებულებს ქუჩის ხმაურში,
ლენინს თუ სტალინს, თუ კომპარტიას?
თუ იმას, სიკვდილს რომ გადავურჩით?

მიჰქონდა სხივი ჩვენს ტანჯულ ლექსებს
საქართველოსთვის, სიზმარშიც, ცხადშიც,
რასაც ვყვიროდით ორმოცდათექვსმეტს,
იმასვე ვყვირით ოთხმოცდაცხრაშიც.

მარად „მთავლიტის“ ვგრძნობდით მარწუხებს,
დღეს მწერლის გზაზე ჰყვავის მოცხარი,
თქვენ „მთავლიტი“ ხომ აღარ გაწუხებთ?
დაბეჭდეთ რამე გასაოცარი!

ვერც თქვენ ასცდებით თქვენს დროს ურისხვოდ,
პოეტის რითმაც საპოვნელია,
იცით, რას გეტყვით, ვისაც გგულისხმობთ —
ნამუსიც კაი საქონელია!

### პაოლო

ნაბრძანები აქვს, ვისგან, არ ვიცი, —
უნდა მოიკლას თავი ამაღამ,
სძინავს მედეას, ალბათ განიცდის
ტკივილს, რომელიც მამას თან ახლავს.

სძინავს მედეას, კვდება პოეტი
და ახალგაზრდა მამა ბერდება,
ო, საქართველო არის ყოველთვის
ნაღდი პოეტის შემოქმედება.

სძინავს მედეას, მაგრამ არ იცის,
რომ ღმერთი უდგას პოეტს თავდებად,
რაც არ ანთია, იგი არ იწვის —
აჰა, გაისვრის და გათავდება...

მე შენს სისხლიანს ვხედავ სამოსელს,
აბლაბუდასებრ ვხედავ ბრალდებას,
რა უხარიათ ნეტა კალმოსნებს,
შენი სიკვდილი თუ დაბადება?

### ჩამოსვლა სამშობლოში

პატარა ხანდროს

აი, ჩამოხველ, ესეც სამშობლო,
თბილისი, წყნეთი, სკოლა ქართული,
ბევრი მზე, მზეში ბევრი ბავშვები,—
ხარ ბედნიერი და გამართული.

პირზე ქართული სიტყვა გიყვავის,
დაგდის ღვთიური შუბლზეც ნათელი,
ქართველი რომ არ ყოფილიყავი,
ვერ გახდებოდი უცებ ქართველი.

მკა და თესვაა, ხანჯლის ლესვაა,
თითო კაცმა რომ თითო ხე დარგოს,
ჩვენი ცხოვრების მადლიც ესაა —
მოგახმაროს და ღმერთმა შეგარგოს!

### მწუხარება

მაგრამ ბავშვებსაც ნახირივით უყვართ ცხოვრება
გალაკტიონ ტაბიძე

კრწანისის თავზე ჰკიდია მთვარე,
ვით მწუხარების ყვითელი ტოტი,
დააბრიალებს ყორანი თვალებს,
ხევში ჩაჩეხილ გულ-ღვიძლს მიკორტნის.
მე მწუხარების ყვითელ ტოტს ვუმზერ —
კრწანისის თავზე დაკიდულ მთვარეს,
აგვისტო მასხამს თაკარას გულზე,
ტკივილი სიზმრის აწვება კარებს.

შეშლილო სულო, რამდენი წყენა,
შეშლილო სულო, რამდენი მტერი...
შენ კი, მოხვალ და წამართმევ ენას,
მერე უგონოდ უკრავ და მღერი.

აჰა, ეს გულიც მიართვი ყვავებს,
უგულოდ ვრჩები და ისევ ვფრთხილობ...
ოღონდ ფეხი არ წამოჰკრა რამეს
და არაფერი იტკინო, შვილო...

### ნუგეში

გაბედითებულ სიხარულში გპოვე, ცაგერო,
ჩემო იღბალო, სუფთა ცაო, ცაო, ცაბნელო,
ცაგვისა ნაცვლად გულმკერდზედა ვარდი გეყაროს,
ვერ დავიჯერებ, ლომი იყო, არ შემეყარო.

გორები შამბით, სავსე იყო მოლი ძაგვებით,
მე რა მეგონა მომკლავდი და მომიძაგებდი,
მე ლხინად მიჩანს სისხლი,
რაც მანდ ჩამიქცევია —
აჰა, ნუგეში, ჩემო კარგო,
ჯვარი გწერია.

### სიძულვილი

ბერწი მოდიოდა მთა-მთა,
ხელში კუდიანის კომბლით,
შხამი მოსდიოდა თვალთგან,
ღვრიდა სისხლიანი გობით.

პირზე იფარებდა ღრუბელს,
დორბლში გაახვევდა ხოტბას,
თმებში ინახავდა წურბელს,
ყრიდა კოდისწყალში ღორტავს.

ხელში გველი ეპყრა კალმად,
სდევდნენ მორიელნიც ბევრნი,
ღმერთო, დამიფარე კვალად,
ამხე ულმერთონი მტერნი.

### გაწირვა...

არ გამწირა, წკვარამშიაც
ჩამომხედა მზემან ხშირად,
ეშმაკი ვერ მომეკარა,
ვერც მარჯვნიდან, ვერც მარცხნიდან.
ვდგავარ სიყვარულის კართან,
ტყვიის წვიმამ ვერ დამცხრილა...
შენ ვინა ხარ,
სიდან გაჩნდი?
შენ რა ბოლმამ შეგამცივნა?
რა მოხელე ჩიქვანი ხარ —
ღმერთმა შენ კი შეგარცხვინა!

### ქართველები...

აღარა გვყავს აბუსერ,
ავალა და არჯევან,
მიუმატეს არდაშელ,
გველეშაპის არჩევანს.

აღარა გვყავს თარხანი,
იოთამ და იასე,
ლიპარიტი მოუკლავთ
წუხელ, ბეთანიაზე.

აღარა გვყავს პაატა,
ქამუტა და პაპუნა,
მახარე და ნინია
მოკვდნენ მამაპაპურად.

მაგრამ გზა რის გზა არის,
გზა თუ სადმე გათავდა?
გზა მიეცით ფარნაოზს,
ფოცხვერას და ფარსადანს.

გზა მიეცით მურზაყანს,
სოლოღას და საფარას,
ქუცნაში ანთებულა,
რაც ბაკურში ჩამქრალა.

გზა მიეცით ტარიელს,
გზა მიეცით ავთანდილს,
არ ეგონოთ — გათავდა,
არ ეგონოთ — გავთავდით.

არ ეგონოთ, ყვავ-ყორნებს,
რომ სისხლისგან დაგვცალეს,
მზექალავ და გულ[illegible],
თქვენს ცრემლებს ვენაცვალე.

ისევ იმაჰახელებს,
ისევ გაიხირიმებს,
თათიავ და თინათინ,
თქვენი ცრემლის ჰირიმე.

ირინოლას ცრემლისა,
თამუნიას ცრემლისა,
იმედი მაქვს ცრემლებით
დაქარგული ლემისა.

აქეთ, ჩემო იმედა,
აქეთ, ჩემო კვირია, —
ქართველები მღერიან,
ქართველები ტირიან.

მაცხოვარმა იესომ,
თვალნი ზეცად აღაპყრო,
შენ იცოცხლე, ქართულო
ქორწილო და ალაპო!

### კოლხური მოტივი...

„ჩემო ღმერთო, ჩემო ხატო“, —
ასე მწერდი წერილს,
ძველებურად ანდამატობს
მილიონი წელი.

შენი თმების მახობელა —
ჯიშიანი თმების,
სუნთქვასავით მახლობელი,
მომდევს აღმართებით.

შუქი მიდგას თაფლის სანთლის,
დოქით — სახლის ღვინო,
რას ვაშავებ, ფანდურსა ვთლი
იქეთ სალილინოდ.

### მემილიარდე ქართველი...

ლექსი ეძღვნება ბატონ მიხეილ ფანჩულიძეს

ჩემი სიცოცხლის ვარ დამხარჯავი,
წელზე მარტყია ქამარ-ხანჯალი,
ბოლმით ნალესი, ნაპრიალები
გელოვნების და ჩარკვიანების.
ჭრელი მინდორი ვეფხის ტყავია,
იქ ყვავილები ეშხით ყვავიან...
არცა სახელი მაქვს საძებარი,
არცა ქებანი, არც ძაგებანი.
ვკალ ქართვლის მტერი და წამწყმედელი,
ვანთივარ ტაძრის დამწვარ კედელით.
მემილიარდე მე ვარ ქართველი,
შენს ციხეებში ღამენათევი.
სულო, მამულის ჰირთა მალვა ხარ,
მეც შენს სხეულში მინდა დამარხვა.
ღვთისგან ქართველად გამოცხობილი —
შენს ჩოხაში ვარ გამოწყობილი.

### წლისთავზე...

ერთგულებით დაუარეს
კოშკებსა და მაჩუბ-მარნებს,
შემობრძანდნენ დაბნედილნი,
ადუღეს და ცრემლნი ღვარნეს.
აგერ, ისიც, მაცხოვარი,
შეხედეს და შეიყვარნეს,
ვხედავ, ჭეშმარიტად ვხედავ,
ნისლში წინ მიუძღვის არვეს...
აშო, ჩელა, იშო, ბუსკა —
შევუძახებ მეც ჩემს ხარებს...
ციდან საფლავებზე ყრიან
მზით მოქსოვილ ქამარ-ხამლებს.
მე ველარა მომალხენდეს,
„ველარამან გამახარნეს“.

### დედას

მესიზმრე, როგორც მზეში მზე,
როგორც ტირილში ტირილი,
კვლავ ძველებურად მესიზმრე
და განმიახლე ტკივილი.

ნურცა საფლავის გვირილებს,
ნურც შემახსენებ იმ სევდას,
ნუ მიხმობ, შენი ჰირიმე,
ორი დღე დამრჩა ისედაც.

●

იგი მზე უნდა წავართვათ ქაჯებს,
ჰეი, ქართველნო, ერთ სისხლ და ხორცად,
„აღსდექ, მამულო!“
და ასე სამჯერ —
დილა-საღამოს,
ისე, ვით ლოცვა...

1990 წელი, იანვარი-ოქტომბერი

მინდია ლაშაური გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში ცხოვრობს და მოღვაწეობს. 20-იან წლებში გადაისროლა ბედმა მისი ოჯახი უცხოეთში.

ლაშაური ქართული ემიგრაციისთვის ცნობილი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები, ლექსები, ისტორიული ნარკვევები... გამოცემული აქვს წიგნები.

მისი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ ენაზეც.

მწერალმა, ამ ცოტა ხნის წინათ, მოთხრობები შესთავაზა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას... თანაც საოცრად მოკრძალებული ბარათი მოაყოლა:

**„ღრმად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! ვიცი, იოლი როდია ჩემისთანა „მწერლის" ნაშრომის გამოქვეყნება თქვენი გაზეთის ფურცლებზე. ეს გაზეთი ევროპაში მცხოვრებ ქართველთა საყვარელი გაზეთია — ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს პრინციპულ ეროვნულ პოზიციას და გაზეთის მაღალ ლიტერატურულ დონეს.**

**...მაგრამ მე მაინც გავბედე ჩემი მოთხრობების გამოგზავნა და ბედს მივენდე... თუ არ მოგეწონებათ, გთხოვთ, ხანაგვე ყუთში გადაისროლოთ... მორჩა და გათავდა... განა ამისთვის დაგემდურებით? არა და არა!"**

**მიუნხენი, 11.9. 1990**

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ მწერლის სამაგალითო თავმდაბლობას და სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს მის ერთ მოთხრობას, რომელიც ოცდაათიანი წლების საქართველოს ვაივაგლახს გვახსენებს...

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ
ხალხსა,
სალმრთოდ მიიღე სისხლი, რომელიც ამ
ხალხს ულვრია,
ჩაგრულთ სასოო ნუ არიდებ მოწყალე
თვალსა!".



**მინდია ლაშაური**

# სოსება ტარიელაშვილი

**ზემო ქართლის უმანკო და ზვიადი მთის წვერები ამაყად დაჰყურებენ არაგვის მწვანით მოსილ ხეობას და ამ ხეობის სიმწვანეში ჩაფლულ სოფელს ამერხევს. ამერხევის ახლოს მწვანე წალკოტად გადაშლილა მიდამო ბაზალეთის ნანატრი ტბისა თავისი უფსკრული ძირით, დიდი მგოსანი რო დაეძებდა უცხოდ მოსულ ყრმას, რომლის სახელი არავის ეთქმოდა და ჩუმი ნატვრით კი ყოველი ქართველი დღელამე ნატრობდა...**

**კარგია ეს ქვეყანა, ლამაზად მორთულ-მოკაზმული გულჰრელა ყვავილებით, მტრედისფერი ცით, ალუჩის ბაღნარებით მორთული, ზვარ-ვენახებით მოვარაყებული ნარინჯოვანი ბაღებით... მთიდან მოვარდნილი მდინარეები ხეთქით და ღრიალით რო მონავარდობენ უტეხ ქალებში...**

**ქიტესას, სოსებას, მიტუას, ზაქროს, მურადას, ზეზვას, მიხოს, თამარს, გულოს, ნუნუს, მინდიას, ელისოს, გივარგის, კახას, მზიას და მრავალ სხვას აქ უწოვია დედის ტკბილი ძუძუ, შვლის ნუკრის სულის ტანჯვას აქ აუწვია მათთვის გული და მის მიდამოებში გათხრილა მათი საფლავები...**

**ტკბილია ეს მიწა... ზოგჯერ კი მწარეცაა იგი!**

●

**მრავალრიცხოვანი კომისია ჩამოსულიყო სოფელ ამერხევში... ზოგი აქედან, ზოგი იქიდან, ზოგი ქალაქიდან, ზოგი რაიონიდან — მუშა, ხარატი, მანქანის მძღოლი, ნოქარი... ზოგი პარტიულ-კომკავშირული და ზოგიც უპარტიო ბოლშევიკი. კომისიამ კლუბის სცენაზე წითელსაფარგადაფარებულ მაგიდასთან ადგილი დაიკავა. სცენის სიღრმიდან კიდევ გასტალინებული ჯუღაშვილის სურათი იხე მრისხანედ გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, საცაა დაერევა ბრუნდსა და მართალსაო და არ დაერია განა? დაერია და აურია ყველას ცხოვრება, მდიდარსაც და ღარიბსაც, მოჯამაგირეს თუ ნამოჯამაგირალს და იყო სმაური, ყვირილი, გინება, დავა ამაზე, იმაზე...**

**— ნებით არავის შემოვუშვებ ჩემს მამულში... ოფლი დამიღვრია... წელზე ფეხს ვიდგამდი და იხე ჩამიყრია ვაზი... ცოცხალი თავით არავის გავახარებ ჩემს ნაოფლარშია და ზედ დავაკვდები! — ჰყვიროდა ჰარმაგი გლეხი სოსება ტარიელაშვილი და მოპირულ ცულს ჰაერში ატრიალებდა.**

**— ენგრე არ იქნება, შვილო, შენს გახარებასა... აგვიკლებენ, დაგენაცვლოს დედაი! დაუყვავა მელომ.**

**— ცოცხალი თავით ჩემს მამულში არავის შემოვუშვებ-მეთქი... ჩემი ვენახის ძირში მოვკვდები და როცა არ ვიქნები, მაშინ, რაც უნდა, ისა ჰქნან! — ხელობდა სოსება, გაახელეს, თორემ მშვიდი იყო და უწყინარი, გამრჯე და კეთილი.**

**— ხალხნო! ენგრე არ იქნება... რაც ჩვენს მამა-პაპას უქნია, ის არ გამოგვადგება ეხლა... ახალ ცხოვრებას მიყოლა უნდა, გაიგეთ? — დასძახოდა სცენიდან სოფლის საბჭოს თავმჯდომარე — სარქისა ნასიბაშვილი, კლუბში ძალით თავმოყრილთ.**

**— შენა, შვილოსა, რა იცი მამა-პაპის სიყმათი... მამაშენი შენმა უხეირობამ გადაიტანა სამუდამოდა! — დაიძახა ვილაცამ დარბაზიდან.**

**— ენგრეა, ენგრე, შენი კვნესამე! — ისმოდა ხმა და ჩოჩქოლი.**

**ამ დროს მაგიდიდან წამოდგა ტყავის ქურქიანი და სიტყვა წარმოსთქვა:**

**— დაყოვნება არ იქნება აქანაი... ყოფილი უნდა გაერთიანდეს... სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები, ტყე და საძოვარი, გამწევი და გასაწევი ძალა, მსხვილფეხა და წვრილფეხა... ქათმები, ინდოურები, ბატები, კვერცხებიც კი სოციალიზმის კუთვნილებად უნდა იქცეს!..**

დაბოლოვა სიტყვა ტყავის ქურქიანმა და თვით შემოსძახა „ვაშა", მაგრამ არავინ აჰყოლია მას, გარდა თითო-ოროლა კომკავშირელისა, ყირმისაშვილს რო მოეყვანა კრებაზე.

ყირმისაშვილი სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანი იყო. მასაც სამხედრო ხალათი ეცვა და მაზრიან ქუდს, ვეებერთელა წითელი ვარსკვლავით რო ჰქონდა დამშვენებული, მოუშორებლად ატარებდა. იმასაც ამბობდნენ, რო ღამე ამ მაზრიან ქუდთან ერთად იძინებსო.

— აი დედასა ყორნისასა! ჩემს ნაფუძვრებშია სხვას შემოვუშვებ! — დაიძახა სოსება ტარიელაშვილმა და დარბაზს თვალი შეავლო.

— მოითმინეთ, სიტყვა ყველას მოგეცემათ! — დაიძახა სარქისამ.

—სოსებაი მართალია და მართალი... ენგრე არ არის ქრისტეფორე? — გადასძახა ესტატემ მეზობელს.

— ენგრეა, შენი კვნესამე! — ისეთნაირი წუხილით და დაკოდილი ხმით გაეპასუხა ქრისტეფორე, თითქოს მთელი გული თან ამოაყოლაო.

— აგერ, სტეფანე! — დაიძახა ვილაცამ და დარბაზში ვეებერთელა, ბრგე ვაჟკაცი ალიმართა. უხმოდ გაიარა დარბაზი და კომისიის წინ წარსდგა.

— ათადან-ბაბადან კერძო საკუთრებაი ჰყოფილა... სოლომონ ბრძენს რჯულად დაუწესებია, ვახტანგ მეფესაც თავისი ბეჭედი დაუსვამს ზედა... რო გვემართლებით, რას გვემართლებით, რისთვის მოდენილხართ, შვილოსა, ქალაქიდან... უნდა აგვილოთ? ჩვენი ალება არ იქნება ენგრე ადვილადა, არა, გაიგეთ... ვერ აგვილებთ, ვერა!

გახელდა სტეფანე და კომბალს მაღლა იქნევდა. როგორც იქნა, დაამშვიდეს, გახელებული ხკამზე დაეშვა და დროგამოშვებით გულზე ხელს იბრაგუნებდა... ვილაცას ემუქრებოდა და იმუქრებოდა მშრომელი გლეხი, ტვინაფორიაქებული.

ამჟამად სცენიდან წამოდგა ვილაც ქალაქელი დედაკაცი, ბიჭურად რო ჰქონდა თმა შეკრეჭილი და სთქვა:

— კოლექტივში მოგეცემათ, რა, შეღავათი მთავრობიდან... საკოლმეურნეო ყანებს გადახნავს, რა, წითელი ტრაქტორი... დამყარდება ძმური კავშირი, რა, სოფელსა და ქალაქს შორის და ქვეყანა აყვავდება, რა...

გლეხებმა თმაშეკრეჭილის „რა"-სი ვერა გაიგესრა... მხოლოდ სოსება ახირდა... წინ წამოდგა, თავი მოიფხანა, როგორც იცოდა ხოლმე რამე ძნელი კითხვის გადაჭრის დროს და სიტყვა მოითხოვა.

— რძალო, შენი ნათქვამიდან ისლა გავიგევი, რომა, კავშირი უნდა დამყარდესო, სოფელსა და ქალაქს შორის... კავშირი ვილამ დაარღვია, ხალხნო! — დაიძახა სოსებამ და დარბაზს გადახედა.

— ვაჰ, დედასა, ყორნისასა, კავშირი ა[illegible] იყო, მა რა ჯანაბა იყო, წინათა?

— მე მაგნაირ კავშირზე არ მოგახსენებთ, რა!

— მა რომელ კავშირზე? — არ ეშვება სოსება. კომკავშირლებმა ქვა და გუნდა დააყარეს სოსებას.

— შენ, ეი, კლასიკური შტერი ხარ! შესძახა ყირმისაშვილმა და მოზვერივით დაუბრიალა თვალები სოსებას. მზად იყო ყელში ხწვდომოდა მას.

სოსება ჰირგამოვლილი გლეხი იყო, მაგრამ გაჭირვებისას დგებოდა ხუმრობის გუნებაზე.

— რაო, რაო, მერმე რა, რომ კლასი არ დამიმთავრებია, განა მჯობნიხარ? კლასი... კლასი თორემა შენი დაწერილი ყარამანიანითაა ერთთავად გამოტენილი წიგნის მაღაზიაი!

ეხლა ჩოჩქოლმა ერთიათად იმატა... კომკავშირლები ყვავებივით დაჩხაოდნენ სოსებას. იგიც მედგრად იგერიებდა. ნასიბაშვილმა ზარის წკარუნს უხშირა... ამით რო არა გაუვიდა რა, ეხლა მუშტებით დაიწყო მუქარა და მაგიდას მაგრად დაუწყო ბრაგუნი და უკანასკნელად ისეთნაირად უთავაზა მაგიდას მუშტი, რო ოჩან ფეხებზე შეხკუპული სამელნე ახტა და მელანი სახეზე შეესხათ ცენტრიდან ჩამოსულთ.

— ხალხნო, ყურადღება, გაგონება იყოს!— ყვირის სარქისა ნასიბაშვილი.

— შენა, შვილოსა, დააჩუმე ე ძაღლის ლეკვები, თორემა, თუ წავავლე ხელი, ჰიახავით გავსრესავ, აი! — შესძახა სტეფანემ, ამდენხანს რო ჩუმად იყო და ისეთნაირად დაუბრიალა თვალები ბრგე ვაჟკაცმა კომკავშირლებს, რო შიშისაგან კედელს ეკვროდნენ. ყირმისაშვილმა ხელით გაიწია სტეფანესაკენ.

—გამაუშვით, ეგ კი არა, თუ გინდა ათი მოვიდეს მაგითანაი, არ მეშინიან, აი! — სთქვა სტეფანემ და კომბალი აღმართა. ყირმისაშვილი უკან დასწიეს. სტეფანე ისევ დაჯდა და დროგამოშვებით ამოისვენეშებდა ხოლმე. ერთხანს იყუჩა და ბოლოს ტყვიანაკრავივით წამოხტა, კომბალი მოიღერია, ავარდა სცენაზე და დაიყვირა ხმამაღლა:

— აი, ვინ აგვირია ცხოვრებაი, ამის სისხლი კი დაიქცა, აჰანდე! — და კედელზე დაკიდებულ სტალინის სურათს იხე მძლავრად დაუშინა კომბალი, რო მისგან არაფერი დარჩენილა. ეხლა მართლაც გაჩაღდა „კლასთა" ომი.

— კულაკია, მაგის სისხლი კი დაიქცა! — შესძახა მოჯამაგირე ნიკამ. კომკავშირლები დაირაზმნენ.

— აქეთ არ წამოიწიოთ, თქვე რჯულძაღლებო, თორემა, ჩემს კომბალს ცოცხალი ვერ გადაურჩებით! — დაიძახა სტეფანემ და დაწინაურებულ ყირმისაშვილს მა[illegible] ხელი... ჯერ რო მაღლა ასწია, [illegible] იატაკზე დაანარცხა. სოსება, ქრისტეფორე, ესტატე და სხვები დაირაზმნენ, სტეფანეს ამოუდგნენ გვერდში.

— ა, შე ბურჯუკების დამქაშო, კულაკო! — შესძახა სტეფანეს მოჯამაგირე ნიკამ.

— დამქაში და უქნარა შენა ხარ, შვილოსა, თორემა, მენა ჩემი ოფლით მაქვს მოწყობილი ჩემი კარ-მიდამო, მამული და დედული, ჯალაბი და მოყვარე!

— ტყუილია, ჩვენი სისხლის მსმელია, კულაკია, პირძაღლი, ქვეშქვეშა, ღამით რო დაძვრება მისიანებთან სათათბიროდა! — ისმოდა ხმა და იყო სმაური გულისწამღები.

ამ დროს, ვილაცამ დარბაზში ვეებერთელა წითელი დროშა და ეკლესიიდან გამოტანილი საეკლესიო ბაირაღი შემოაფრიალა... ამის დანახვაზე გლეხები უფრო აღელდნენ, გაშმაგდნენ და კომბლები აღმართეს მაღლა... ძახილით... ყვირილით...

●

მოდა, ამ ჩოჩქოლისა და აურზაურის დროს კოსტა ბიგაევმა დასჭყივლა სცენიდან:

— სტეფანევ, კულაკი ხარ, ბურჟუა! — და ზეზე წამოდგა გაუბედავად.

კოსტა ბიგაევი ამერხევის სოფლის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. სოფელში მეტსახელად „იაპონიას" ეძახდნენ. თურმე რუსეთ-იაპონიის ომის დროს კოსტა ბიგაევი ჯარში გაუწვევიათ და მის ათასეულს ფეხით მოუხდა ბრძოლის ველზე წასვლა. სანამ მეწინავე ხაზს მიაღწევდა ათასეული, კოსტას ბედმა გაუღიმა და ზავი ჩამოვარდა. სოფელს რო დაუბრუნდა, კვირადღით, ეკლესიის ეზოში თავმოყრილ გლეხებს რუსეთ-იაპონიის ომის ამბავს უყვებოდა, რომლის მონაწილე თვითონ არ ყოფილა და პორტ-არტურსა და ხარბინ-მანჯურიას ერთმანეთში დომხალივით ურევდა, სოფელი ატყობდა, კოსტა რო ცრუობდა და ამის შემდეგ გლეხებმა „იაპონია" შეარქვეს.

კოსტა ბიგაევი მიტმასნილი იყო კომპარტიასთან და კომუნიზმის ბორბალს ტალახივით ეგლისებოდა. ყველანაირ ჟამს მოხერხებულად იყენებდა. ნიკოლოზ მეფის დროს მუხრანბატონის გზირი იყო და გლეხებს სიქას ხდიდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს გვარდიაში ამოჰყო თავი. „შიგნით" უნდა ამეფეთქებინაო!", მაგრამ მისი ა[illegible]ქების ხმა არ[illegible] ხმენია ამერხევში. გვარდიის[illegible] ნაწილი დარი[illegible]ში რო იდგა, კოსტა ბიგაევი „იქითაც" იყო და „აქითაც". საშა გეგეჭკორის რაზმს საჭმელს უქმევდა, ხოლო საქართველოს დემოკრატიის სადიდებლად სიტყვის კორიანტელს აფრქვევდა. „ხელმანკიც" იყო კოსტა ბიგაევი, მაგრამ თვითონ ყოველთვის მშრალი გამოძვრებოდა და მის ნახელავს ხშირად ალალ-მართალი ემსხვერპლებოდა. საქართველო რო გასაბჭოვეს, სოფელში გამოჩნდა, როგორც „ტანჯული" ბოლშევიკი და კომუნიზმის დამყარებას შეუდგა ამერხევში. სარფიანი ადგილი არ გამოეპარებოდა და სოფლის კოოპერატივში მოკალათდა. კარგად მოითბო „იაპონიამ" ხელი მაშინ. ბანიანი სახლი მიწასთან გაასწორა და ქვითკირის შენობა გამოჭიმა. კარ-ფანჯარა მუხრანბატონის ნასახლარიდან გადმოზიდა. სოფლის საბჭომ „არჩუქა", რადგან მისი გული სოციალიზმის საქმეს „ეწირებოდა".

ბოლოს რამდენიმე კომუნისტის ხელმძღვანელობა ჩააბარა მაზრამ და „ადგილობრივი მასშტაბის ბელადს" ეძახდა თავის თავს.

— ა, შე ნაცარქექიავ, მე ვარ ბურჟუა? მე არ ვიყავ ცხრაასხუთშია პირველი რო მივუხტი კაზაკ-რუსების საგუშაგოს? — სთქვა სოსებამ.

— ის დრო სხვა იყო, ეხლა?! — მიუგო კოსტა ბიგაევმა.

— შენა, შვილოსა, მაშინაც ქვეშქვეშა იყავ და ეხლა უარესი ხარ! — შეუტია სოსება ტარიელაშვილმა.

— გამიშვით-მეთქი, ვანანო ქადილი! — შესძახა „იაპონიამ" და ისეთნაირად დაატრიალა ჩია ტანი, თითქოს ვინმეს ჰყოლოდა დაკავებული.

— ერთი აქეთ გამაუშვე[illegible] წირპლიანი, [illegible]ლავაშივით გავხადო! — [illegible]დაიძახა ქრისტეფორემ და მოემზადა დასახვედრად.

! — ქრისტეფორეი სოსებას დამქაშია! —, ჰყვირის „იაპონია"

— დამქაში შენა ხარ და დალლარ... შენ არ იყავ, ნიკალას დროში სიქას რომ გვხდიდი? — არ ეშვება ქრისტეფორე.

— სტყუი! — დაიძახა მოჯამაგირე ნიკამ.

— შენ ეი, ხმა ჩაიკმინდე, თორემა მოვიდა, აი! — შესძახა სტეფანემ და ისეთნაირად დაუბრიალა თვალი, რო ნიკა შიშისაგან იქვე კუთხეში მიეგდო და ფინიასავით დროგამოშვებით აწკმუტუნდებოდა ხოლმე.

— ჩვენი ამხანაგების აბუჩად აგდებას არ დაგანებებთ, არა — ღელავს ყირმისაშვილი.

— შენი ამხანაგი ქურდია! — დაიძახა ვილაცამ დარბაზიდან.

— განანებ, იცოდე, — ხელობს „იაპონია".

— ერთი მოვიდეს! — იმუქრება სტეფანე.

— ქურდი! — ჰყვირის ვილაცა დარბაზიდან. ცხენებს გვპარავდა და ძაუგს გადაჰყავდა გასასყიდლადა!

— ოძისშია კონპერატია გასტეხა და ფარჩები მოიპარა!

— ფარჩები ყაზბეგს გაიტანა წითურა ოსთანა!

ხმაურობს დარბაზი... „იაპონიაც" ხმაურობს და იღრინება ნაგაზივით... ხმაურობს ყველა, ვისაც კი შეუძლია.

ეხლა წამოდგა ადგილიდან ცალხელა სოლო და კომისიას მოახსენა:

— „იაპონია" თაღლითია, მელა და გაიძვერა!

— დაწყნარდით!

დარბაზში ისევ და ისევ გაისმა სარქისას შეძახილი:

— არ დავწყნარდებით!—ჰყვიროდნენ გლეხები. დარბაზში ყვირილი და ჩოჩქოლი გაძლიერდა ორმაგად...

მოუპატიჟებელი სტუმრები წამოიშალნენ. სცენიდან რევოლვერმომარჯვებულმა სარქისა ნასიბაშვილმა, მოკარნახის ხულაზე შემდგარმა, რაინდივით დაიქუხა:

— ძვირად დაგიჯდება ჩვენთან ომი, სოსებავ!

კომისიის წევრებმა შაშხანას დაავლეს ხელი და რატომღაც ააჩხარუნეს. ერთ-ერთი მათგანს ვაზნა თოფის ლულაში გაეჩხირა და დიდხანს ეწვალებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვაზნა ამოიღო და სიმწრისგან მონაწოლი ოფლი მოიწმინდა შუბლზე.. გლეხები ყაყან-ყაყანით წავიდნენ. გარედან ხმაური და ჩოჩქოლი კვლავ მოისმოდა. ეხლა სარქისას განკარგულებით[illegible]არები გადარაზეს და შიგნით გუშაგი დააყენეს. სასწრაფოდ გაიმართა დარჩენილთა კრება.

— კულაკების შემოტევას ქე მეველოდი! — სთქვა ცენტრის წარმომადგენელმა და განაგრძო: — ამაღამვე ვიწყებთ ლაშქრობას... ომი კულაკებს, გაუმარჯოს სოციალიზმს! — დაიძახა ცენტრის წარმომადგენელმა და ცარიელ დარბაზს მედიდურად თვალი შეავლო. ძალები გაანაწილეს და სალაშქროდ გაემზადნენ. კომკავშირელთა ბრიგადა ყირმისაშვილის მეთაურობით სოსებას შარაზე გაჩნდა და შეუდგა „სოციალიზმის" დამყარებას.

— ვაჰ, დედასა ყორნისასა! — დაიძახა სოსებამ და მოღერებული ცულით დაერია ლვინის კასრებს. სერვანტესის გმირივით იქნევდა იგი მახვილს და გზად არავის ინდობდა.

— დალიეთ, ჰამეთ გენაცვათ... შენი, ჩემი, ვის გაუყვია!

ზვირთებმა უფრო იმძლავრეს, სოსება ტარიელაშვილი ფაფარაყრილ რაშს დაემსგავსა, გიჟად ქცეულს. ყირმისაშვილის ძმა-ბიჭები შიშით ძრწოდნენ სოსებას მრისხანების წინაშე. ბოლოს სოსება გარეთ გავარდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლის სტიქიონმა იგრიალა. სოსებამ ცეცხლის ალში გაახვია ნადაგ-ნაამაგარი. უფრო გაშმაგდა გლეხი მაშინ, როცა ცეცხლის ალი გამოკრთა სტეფანეს, ქრისტეფორეს, ესტატეს, ვახუას სახლებიდან. იმათაც ცეცხლს მისცეს ნაამაგარი. ეხლა სოსებამ გიჟივით დაავლო ხელი ცეცხლმოდებულ რალაც საგანს და ორღობეზე შემდგარმა, ცეცხლმოდებულ სოფელს ნერონივით მოავლო თვალი და შესძახა:

— აბა, გენაცვათ, ქრისტეფორე, ესტატე, სტეფანე, ენგრე ბიჭებო, ენგრე... მარჯვედ... ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, გავაჩაღოთ ხანძარი!

ბოლოს სოსება ტარიელაშვილი ლოდივით დადუმდა, ღობესთან მიეგდო და დიდხანს ქშინავდა, ცეცხლის სტიქიონმა კი ღამის წყვდიადში სოფელი გაანათა.... მთელი სოფელი მოგროვდა, სტიქიონს ხელით შეებნენ. ამ აურზაურში ბაღლებიც საშინლად ალრიალდნენ და ეზოში გავარდნილი სოსებას ნაგაზი ჰირისუფალივით დალმუოდა ცეცხლმოდებულ კარმიდამოს. ცეცხლის სტიქიონი კი მძვინვარებდა და თოვლის ფიფქები ცეცხლის ზეიმში ლაპლაპებდნენ.

ბედი ულვთო ყაჩაღივით აედევნა ამერხევს. სევდადქცეულ სოფელს დასევდიანებული გულებით დაეუფლა და სევდადქცეულ სოფელში დაგეშილი ძაღლებივით შემოვარდნენ ჩეკისტები და მილიციელები ფაფარაყრილ ცხენებზე მსხდომნი... არმენაკ აბოიანცის „მთავარსარდლობით".

ცოდო-მადლი დატრიალდა მაშინ... თებერვლის ზამთრის ლამეს სახლებიდან გამოყარეს გლეხები, მოხუცები, ქალები. აკვნიდან ამოგლეჯილნი, სიცივისაგან გათოშილ პაწია ხელებს დედის მკერდისაკენ იშვერდნენ და აფათურებდნენ. ქალები, ბავშვები, მოხუცები მარხილებში ჩასხეს. ხელებშეკრული სოსება ტარიელაშვილი დედასთან და ცოლ-შვილთან ერთად დააგდეს მარხილზე... ახალგაზრდები და ჯანსაღები ფეხით გაირეკეს.

აყრილთა ქარავანს ჩეკისტები და მილიციელები შემოერტყნენ. როცა აყრილთა ქარავანი მძიმედ დაიძრა, დედაკაცებმა და ბავშვებმა ასტეხეს გულშემზარავი წივილ-კივილი. უპატრონოდ დარჩენილმა ძაღლებმა შეძრეს იქაურობა და ვარამი დაეუფლა არაგვის ხეობის ერთ სოფელს.

სევდამ სოსებას გონი აურია... ველარ გაუძლო დასევდიანებული სოფლის მზერას. როგორც იქნა, გაიმართა მარხილზე და ხმამაღლა დაიქუხა:

— ვაჰ, დედას ყორნებისასა... იმითვინ ჩამოვაგდევით მეფის მთავრობაი, უარესი დღე დაგვდგომოდა?!.

სოსება უფრო გახელდა — თვალი მოჰკრა სარქისა ნასიბაშვილის გაცინებულ სახეს.

— სარქისა ნასიბაშვილო, არც შენ დაგადგება კარგი დღე... გამჩენი მოგთხოვს პასუხს ჩვენი აწიოკებისათვის... ჩვენ კი მუხები ვართ, სარქისავ, მუხები, მაგრად გვიდგია ფესვები მიწაშია... ჩვენ კვლავ გავიფოთლებით და მაშინ ვაი თქვენ და თქვენისთანებსა!

რისხვის ხმა მოჰფინა სოსება ტარიელაშვილმა და მძიმედ დაეშვა. აყრილთა ქარავანი დუშეთს მიადგა.

— აბა, ჩქარა, სწრაფად! ჰყვიროდნენ ჩეკისტები და მილიციელები... მათრახებს ჰაერში აფრიალებდნენ დროშებივით.

— ჩემო ლომავ, ჩემო ირმავ! — დაიღრიალა სოსებამ და საყვარელ ხარებს მთელი სხეულით ჩაეკრა... ერთი გაიზმორა, მაგრამ თოკები ვერ დასძლია და ხარებს გიჟივით კოცნა დაუწყო. წელში მოხრილმა მელომ სიმწრის ცრემლები დააპკურა უკანასკნელ იმედს... გული დაეთუთქა, ველარ გაუძლო გულმა მათს განშორებას და იქვე, ფილაქანზე ჩაიკეცა სამუდამოდ. ამის დამნახავმა სოსებამ ხეობაში მოვარდნილი ზვავივით დაიქუხა... ვეფხივით მივარდა ჩეკისტს და კბილებით ეძგერა ყელში...

მხატვარი ნანა ცინცაძე



# ...ათობით ძეგლის ღირსია

გალაკტიონის შემკვიდრეობა ისე ღრმა და მრავალფეროვანია, რომ ლოგიკურად იბადება კითხვა: მოსახერხებელია კი ერთ ან ორ ქანდაკებაში პოეტის სულისა და იდეალების მოქცევა?

ამდენად, არსებითია პოზიცია — როგორ გალაკტიონს წარმოსახავს მოქანდაკე. ამის მიხედვით, დასტურ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხატვრის მსოფლგაგებასა და გემოვნებაზე.

გიორგი შხვაცაბაიამ ყურადღება მიაპყრო ახალგაზრდა გალაკტიონს, — ავტორს „არტისტული ყვავილებისას", რაც პოეტის შემოქმედების სიღრმისეულ აღქმასა და გააზრებაზე მეტყველებს. ნაღდი გალაკტიონი — ქართული ლექსის რეფორმატორი და უპირველესი ლირიკოსი უწინარესად სწორედ ამ წიგნით წარმოჩინდება.

ამგვარმა არჩევანმა რამდენადმე განაპირობა კიდეც ფორმის ძიებისა და ქანდაკების კომპოზიციის საკითხი. სკულპტურა ორფიგურიანია. ახალგაზრდა მგოსანს მხარზე ეხება ცით მოფრენილი ქალი — მუზა.

მოქანდაკე გვიმტკიცებს, რომ გენიოსი პოეტისთვის აუცილებელია ღვთაებრივი შთაგონება, ღმერთთან მიახლოება... ყოველივე ამას კი მივყავართ წამიერისა და მარადიულის, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ჰარმონიული შერწყმის მოთხოვნასთან.

ერთი სიტყვით, ბატონი გიორგი ცდილობს წინ წამოსწიოს ის, რითაც გალაკტიონი ესოდენ გამორჩეული და კოლოსალურია — აღზევება არა კონკრეტული პიროვნებისა, არამედ ადამიანისა საერთოდ.

ქანდაკება შესრულებითაც ორიგინალურია. „გალაკტიონის" სისადავე და ჰაეროვნება გვამაღლებს და გვაფაქიზებს.

ხაზი უნდა გაესვას სივრცობრივ გადაწყვეტასაც: ძეგლისთვის შერჩეულია ქუთაისის ცენტრი. ხედვის თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი. ქანდაკება შორიდანვე კარგად „იკითხება". ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ეს ისტორიული ადგილია: მას გალაკტიონის ნატერფალი ატყვია. პოეტი ერთხანს არქიელის გორაზე ცხოვრობდა და ხშირად ჩაუვლია თუ შეჩერებულა აქ.

გოგი შხვაცაბაიას ქანდაკება იმ ნამუშევართა რიგს განეკუთვნება, რომლებიც გვატკბობენ და ბევრ საფიქრალს გვიტოვებენ.

გალაკტიონი ათობით ძეგლის ღირსია. ისინი უთუოდ აღიმართება— სხვადასხვაგვარად გააზრებული და დატვირთული. მათ შორის, გიორგი შხვაცაბაიას ხელთქმნილი, ალბათ, ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს.

ნოდარ ტაბიძე

**ლადო სულაბერიძე**

# საგალობელი

სოლომონ მეფის ნეშტის გადმოსვენებისას

ბაგრატოვანთა აჩრდილები...
ბაგრატოვანნი...
გაძარცულია ცხოვრებისა ხენი რტოვანნი.
აპრილოვანი,
მაისოვანი
და მარტოვანი
გაზაფხულები, ჰქნება მათი დანატოვარი.
გვირგვინოსანი აჩრდილები...
გვირგვინოსანნი...
ისევ ძგერს ზარი სვეტიცხოვლის ირგვლივ ოსანის.
ბაგრატოსანი,
დავითოსანი,
თამაროსანი.
შარავანდედით გვექმენ, ღმერთო, ერის მმოსავი.
ბაგრატოვანთა ტახტრევანი...

ო, ტახტრევანი...
გაკრეფილია ბაგრატოვანთ ბოლო მტევანი.
გარბენილია ასპარეზი და უტევანი.
აჰა, ღრუბლებიც, ქართლის ცაზე დაუტევარი.
დავრჩით ცარიელ ტახტრევანის ამაროსანნი.
რა დაგვარწყულებს მწყურვალეთა ამ წყაროსავით?!
ნუთუ არღარა
აიტაცოს დაკეცილმა ფრთამა ფრთოსანი
ბაგრატოსანი,
დავითოსანი,
თამაროსანი?!
აჰა, ღრუბლებიც, ქართლის ცაზე დაუტევარი.
აჰა, ეს ნეშტიც, სამეფოის თვისის მპოვარი.
გაკრეფილია ბაგრატოვანთ ბოლო მტევანი,
ღმერთო, აღფოთლე ტახტ-ვაზნარი ბაგრატოვანი.

# ერი, ეროვნული ურთიერთობანი და ერის უფლებები

შოთა ნადირაშვილი

საზოგადოდ ბილინგვიზმის გავლენის საკითხი ადამიანის ინტელექტზე და, საერთოდ, სულიერ ძალებზე ფსიქოლოგიის საკვლევ საკითხად იქცა XX საუკუნის დასაწყისში.

პირველი მსოფლიო ომის წინ შვეიცარიელი ფსიქოლოგი ეფშტეინი თავისი ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ამტკიცებდა, რომ ბილინგვიზმი და მრავალენიანობა სოციალურ ბოროტებას წარმოადგენს, რადგან იგი ასუსტებს ადამიანის ინტელექტუალურ ძალებს. ეს, მისი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ორენოვანი ადამიანის ცნობიერებაში ერთ მთლიან სინამდვილესთან დაკავშირებულია ორი სხვადასხვა ენობრივი სისტემა, რომლებიც თავისი სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბილინგვის ფსიქიკაში ამის გამო რთული ვითარება იქმნება. ერთ გარკვეულ ენაზე აზროვნების დროს მეორე ენა თითქოს ცნობიერების მიღმა რჩება, აზროვნების პროცესში არ მონაწილეობს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეორე ენა ერთგვარად მაინც ახდენს გავლენას აზროვნებაზე. იგი აფერხებს იმ ასოციაციურ კავშირებს, რომლებიც არსებობს მოქმედ ენობრივ მასალასა და სინამდვილის იმ მონაცემებს შორის, რომელზედაც არის მიმართული აზროვნება. შემდგომ ახალ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დადასტურდა ორენოვნებისა და მრავალენოვნების უარყოფითი გავლენა აზროვნებაზე. საინტერესო მონაცემებია მოტანილი ამერიკელი ფსიქოლოგის ნატალია დარსის განმაზოგადებელ შრომაში ბილინგვიზმის შესახებ, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. მრავალ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დადასტურდა, რომ წმინდა ლოგიკური აზროვნების მიხედვით, რაც ინტელექტის საზომი ტესტით მოწმდება, ერთენიანები სჯობნიან ორენიანებსა და მრავალენიანებს. მკვეთრ და ნათელ მონაცემებს იძლევა ტესტი, რომელმაც ინდოეთში სკოლის ორენიანი და ერთენიანი მოსწავლეები შეადარა ერთმანეთს. ბავშვები, რომლებიც სახლში ჰინდის ენაზე ლაპარაკობდნენ და სკოლაში ინგლისურ ენაზე სწავლობდნენ, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ერთენიან მოსწავლეებს, როგორც გონებრივი განვითარების, ისე სკოლაში მიღებული ცოდნის მიხედვით. ასეთი მონაცემები მრავალგზის დადასტურდა ანალოგიურ გამოკვლევებში. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ჯერ კიდევ ეფშტეინი იძლეოდა რეკომენდაციას: პროპაგანდა გავუწიოთ, აქტიურ „ერთენიანობას და პასიურ მრავალენიანობას“. შემდგომში მრავალი საინტერესო დებულება დადგინდა: ორენიანობის უარყოფითი ეფექტი შეიძლება შევასუსტოთ, თუ ბავშვს მეორე ენას მშობლიური ენის კარგად დაუფლების შემდეგ შევასწავლით. დადგინდა ისიც, რომ ბილინგვიზმის უარყოფითი ეფექტის შემცირება ხდება მაშინაც, როცა მეორე ენის სწავლება არ ემთხვევა აზროვნების ფორმირების ინტენსიფიკაციის საფეხურებს. ესენია: 6-7 წელი ოპერაციული აზროვნების ჩამოყალიბება და 11-12 წელი, სისტემატური აზროვნების ფორმირება.

უკანასკნელ ხანებში ინტენსიურად მუშავდება „მშობლიური ენის“ და „ენობრივი ცნობიერების“ ცნებები, საიდანაც ჩანს, რომ ადამიანს მშობლიური ენის კატეგორიათა ბაზაზე უმუშავდება სინამდვილის გლობალური გაგებისა და გააზრების უნარი. ადამიანის პიროვნული ორიენტაციების ფორმირებაზე არსებით გავლენას ახდენს ის სოციალური ორიენტაციები, რომლებიც მისი მშობლიური ენის სისტემაშია დაფიქსირებული.

ბილინგვიზმისა და ბიკულტურიზმის საკითხების განხილვა იმისათვის დაგვჭირდა, რომ ისინი ბოროტად შეიძლება იქნას გამოყენებული იმპერიების ფორმირების დროს, თავისი მიზნებისათვის ისინი მართლაც მთელი სისრულით იყო გამოყენებული რუსეთის იმპერიის მიერ. რუსეთის ბევრმა მეზობელმა ქვეყანამ უკვე დაკარგა თავისი დედაენა და ალბათ თავისი ეროვნულობაც. მოხდა მათი რუსიფიკაცია. მათში თითქმის აღარ არის ის ეროვნული ძალები, რომლებიც გაუჩენდნენ მოთხოვნილებას, აღიდგინონ თავისი უფ-ილი ეროვნულობა. მომდევნო რიგის ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკების სახით გააფორმეს, ბილინგვისტურ და ბიკულტურულ ქვეყნებად იქცნენ. ისინი ასიმილაციის გზაზე დგანან, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ კიდევ აქვთ შანსი დაიბრუნონ თავისი ეროვნულობა. ამისათვის სტიმულს ისინი თავისი ეროვნული სულიდან იღებენ, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩამკვდარი, განადგურებული.

ყველა იმ საშუალებას, რაც ერთი ერის მიერ მეორე ერის ასიმილაციისათვის გამოიყენება, აქვს ერთი ზოგადი საფუძველი „ერთა გაშუალებული ურთიერთობის პრინციპის“ დარღვევა. ასიმილატორი ერი ყოველთვის ცდილობს ყველაფერი ის, რაც დაპყრობილ ერს ეკუთვნოდა, გამოიყენოს უშუალოდ, პირდაპირ დაპყრობილი ერის მთლიანი პიროვნების გვერდის ავლით. ამ ერის მთლიანობა, პიროვნულობა, სულიერობა მას ხელს უშლის მისი მატერიალური მხარის, მისი ქონების ათვისებაში. ამისათვის მან უნდა მოკლას მეორე ერი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და დაიპყროს, შთანთქას ყველაფერი ის, რაც მეორე ერს, როგორც პიროვნებას ეკუთვნის. მაგრამ იმპერიული მოთხოვნილება, რომელიც ზოგიერთ ერს უჩნდება თავისი ეროვნული ძალების აღმავლობის დროს, სხვა ერების მხოლოდ მატერიალური მხარის, სხეულის მითვისება-შთანთქვის მისწრაფებაში არ გამოიხატება. ასეთ ერს აქვს ერთგვარი პათოლოგიური, კანიბალისტური ტენდენციები, შთანთქას მეზობელი ერები, როგორც ცოცხალი ინდივიდები, რათა თვითონ იქცეს ერთგვარ გიგანტურ ზეერად. იგი ცდილობს ეროვნულ პიროვნებაში მოიცვას ყველა სხვა ერი. ამით იგი პათოლოგიურ, გამრუდებულ ფორმებში იკმაყოფილებს თავისი პიროვნული ზრდისა და სრულყოფის მოთხოვნილებას. ასეთ ტენდენციას იმპერიული ერები მათი საგანგებო მისიის შირმით ფარავენ, ნამდვილად კი მხოლოდ ამორალურ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან, რაც არაფრით არ შეესატყვისება იმ მორალურ ტენდენციებს, რომლებიც ერის, როგორც ორგანული და სულიერი არსებობის საფუძველში დევს.

ყოველი ერი თავის ეროვნულ მთლიანობას გამოხატავს მეფის, პრეზიდენტის, დიქტატორის, პარლამენტის, კონგრესის, საბჭოების და სხვა სახის მმართველობის ცენტრით, ბირთვით, ამით ერი თავის პიროვნებას დასრულებულ სახეს აძლევს. მისი საშუალებით ხდება ერის შინაგანი პროცესების ორგანიზება და სხვა ერებთან ურთიერთობის დამყარება. ყოველი ერი ცდილობს ისეთი ცენტრალური ორგანოს ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რაც მისი ბუნებისა და შესაძლებლობების სრულად გამოხატვას შესძლებს, ერს მისაღებ, პერსონიფიცირებულ სახეს მისცემს. ამიტომაა, რომ ეროვნული მოძრაობის დიდი ენერგია ერისათვის შესაფერისი ხელისუფლების ფორმირებაში იხარჯება. დამპყრობელი ერი ამ ეროვნული ბირთვის მოშლას ცდილობს. დამოუკიდებლობის მოპოვების დროს კი პირიქით, ერი თავისი შესატყვისი პერსონიფიცირებული ხელმძღვანელობის აღდგენას ცდილობს. საქმის ეს არსი უნდა იყოს გათვალისწინებული იმ კამათის დროს, რაც ერის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ერის დამოუკიდებლობისათვის მომზადების საკითხებს ეხება. კონკრეტულად, იმისდა მიხედვით, თუ ასიმილაციის რა დონეზე იმყოფება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერი, მან უნდა იზრუნოს თავისი რეალური დიფერენცირებისათვისაც და დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვისაც. ეს ხშირად ტაქტიკურ საკითხად იქცევა ხოლმე. პრინციპულად ბოლოსდაბოლოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გარეშე შეუძლებელია ანექსირებული ერის საბოლოოდ გამოდიფერენცირება დამპყრობელი ერისაგან. ამ დროს მისი სხვადასხვა ასპექტები ურთიერთთან მჭიდროდ კავშირდებიან. მთლიანდება მისი ეკონომიკა და მისი ტერიტორიები. ამ ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდება და ბატონდება ეროვნული ენა, იგი ხალხისათვის ერთიანი საკომუნიკაციო და სააზროვნო საშუალება ხდება. ეროვნული კულტურა იწყებს თავის საკუთარი მიმართულებით განვითარებას. ერი იღებს თავის ბუნებრივ სახეს. იგი სხვა ერებთან ნორმალურ ურთიერთობაში ერთვება.

ამ კონტექსტში ხშირად ჩნდება ერთა ინტეგრაციის საკითხი. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი ქვეყნების ინტეგრაცია დადებით გავლენას ახდენს ამ ერების განვითარებაზე. მაგრამ დამოუკიდებელი ქვეყნების ინტეგრაცია უნდა განვასხვავოთ ანექსირებული ქვეყნების გაერთიანებისაგან. მაგალითად, ევროპის ქვეყნების ინტეგრაცია ხელს უწყობს თითოეული მათგანის აყვავებას. აქ არ არის საშიშროება, საფრანგეთის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მისი ინგლისში გათქვეფისა, ან გერმანელთა გაიტალიელებისა. ამაზე თვალს ხუჭავენ იმპერიის დამცველები, როდესაც ერების ინტეგრაციის საკითხებზე ლაპარაკობენ და რესპუბლიკების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის საზიანო და მავნე საქმიანობად ხატავენ. თავისუფალი ქვეყნების ინტეგრაცია მათ მართლაც ბევრ სიკეთეს აძლევს, მაგრამ ანექსირებული ქვეყნების ინტეგრაციის ზრდას ერებისათვის მხოლოდ ასიმილაცია და სიკვდილი მოაქვს. ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით დამოუკიდებლობა სჭირდება, რათა ნორმალურ და ჯანსაღ ერად იქცეს. ამავე დროს, ცხადია, უნდა ვიფიქროთ მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, ყველა მეზობელ ერთან ინტეგრაციასა და თანამშრომლობაზე.

ერის შესახებ ასეთი ანთროპომორფისტული თეორიის მიხედვით უნდა აიგოს ერების ურთიერთობა. ამ თეორიის მიხედვით ერი გაგებულია, როგორც მთლიანი და სულიერი ფენომენი, რომელიც მიზანშეწონილად წყვეტს მის წინაშე დასმულ სასიცოცხლო ამოცანებს. მან თავისი შინაგანი პრობლემები, რაც ეკონომიკას, ტერიტორიას, ხალხს, ენასა, კულტურას და მათ ურთიერთობებს ეხება, ასევე გარეგანი პრობლემები, რომლებიც სხვა ერების სისტემაში სრულფასოვან წევრად ჩართვას გულისხმობენ, ისე უნდა გადაწყვიტოს, რომ ამით ხელი შეუწყოს თავისი მთლიანობის განმტკიცებას.

ერის ამ ანთროპომორფისტულ თეორიაში ჩვენ საგანგებოდ გავუსვით ხაზი ერის სულიერობასა და პიროვნულობას, რათა დავძლიოთ ერის მექანიცისტური გაგება, რაც ჩვენში, სამწუხაროდ, ფართოდ არის გავრცელებული. მექანიცისტური შეხედულების მიხედვით, ერი ცალკეული ადამიანების გაერთიანებით მიღებული ერთობლიობაა, რომელიც ენის, ეკონომიკის და სხვა ნიშნებით ხასიათდება. ამ გაგებით ერის მთლიანობა, პიროვნებისეული ბუნება მხედველობაში არ მიიღება. ამ განსაზღვრებით არ ჩანს ის, რომ ერი ცოცხალი არსებაა და თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და სასიცოცხლო ამოცანებს წყვეტს. აქ არც იმაზეა მითითებული, რომ ერი, როგორც სულიერი ფენომენი, ქმნის მისთვის დამახასიათებელ კულტურას, და ეროვნულ ცნობიერებას. ამიტომაა, რომ ერი ცალკეული პიროვნების მსგავსად სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოითხოვს: მის მიმართ მტრული მოქმედება ან მისი სიცოცხლის ხელყოფა ამორალური და დანაშაულებრივი საქმიანობაა.

ერი ამ თვალსაზრისით სრულიად თავისებურ ბუნებას ამჟღავნებს. ყოველი ერი უნიკალურ სულიერ ფენომენს წარმოადგენს. ყოველ მათგანს თავისი სპეციფიკური წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის განვითარებაში, ყოველ მათგანს თავისი სახელი ჰქვია. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ იგი ძალიან თავისებურ მოვლენას წარმოადგენს და მისი ახსნისათვის და გაგებისათვის სრულიად სპეციფიკური გზა უნდა იყოს არჩეული. ისეთი აბსტრაქტული ობიექტის შემეცნებისათვის, როგორიცაა „სამკუთხედი“, საკმარისია დადგენილი იქნას მისი ზოგადი და არსებითი ნიშნების ერთობლიობა. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ, ჩვენ სრულიად ადვილად ვამყარებთ ურთიერთობას ყოველ ცალკეულ სამკუთხედთან, ისე, რომ საგანგებო ყურადღებას არ ვაქცევთ ყოველ ინდივიდუალურ სამკუთხედს, რადგან იგი აღარ შეიცავს რაიმე ღირებულებას, რაც ჩვენგან სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოითხოვს. სულ სხვა ვითარება გვაქვს ერის განხილვის დროს. გარდა იმისა, რომ იგი ყოველი ერისათვის დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებებით ხასიათდება, ამავე დროს, იგი არის ინდივიდუალურად განსაკუთრებული, უნიკალური ღირებულების და სწორედ ეს მისი ინდივიდუალობა, უნიკალობა არის დიდი ღირებულების მქონე. მის ამ სპეციფიკურ ბუნებას ისა ქმნის, რომ იგი ცოცხალი და სულიერი არსებაა, განვითარების საკუთარი გზით ხასიათდება, აქვს ავტობიოგრაფია, რაც ემყარება თავისი პიროვნების იდენტიფიკაციას. ყოველ ერს გარკვეული დროიდან დაწყებული აქვს თავისი იდენტობის, იგივეობის განცდა, რაც საკუთარი სახელით აღინიშნება. ერის ეს სულიერი აქტივობა ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული ადამიანების ფსიქიკური აქტივობის გამოყენებით გამოითქმის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ცნობიერება ცალკეულ პიროვნებათა ცნობიერებაზე შეიძლება იქნას დაყვანილი. მაგალითად, ორასი წლის შემდეგ ერს შეუძლია თავისი თავის იდენტიფიკაცია, თავისი იგივეობის დადასტურება, მაშინაც, როდესაც მის შემადგენლობაში აღარ არიან ის პიროვნებანი, რომლებითაც ეს ერი იყო ადრე წარმოდგენილი. ადამიანები ათეული წლების მანძილზე ცხოვრობენ, ერები კი ასეული წლებისა. ერის ამ ანთროპომორფისტული გაგების საფუძველზე ბუნებრივად დგება მისი უფლების საკითხი.

ერის დაცვის აუცილებლობა გამომდინარეობს ერის იმ გაგებიდან, რაც მას, როგორც მთლიან, ორგანულ და სულიერ ფენომენს ქმნის. ეროვნული კოლექტივის უფლებათა დაცვის საჭიროება იქიდან მომდინარეობს, რომ ერი, როგორც კოლექტივი, პიროვნულობით ხასიათდება. ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვაში მისი ეროვნული უფლებების დაცვა არსებითად იმიტომ იგულისხმება, რომ თვით ერი უაღრესად პიროვნული და სულიერი ღირებულებების შემცველი ფენომენია, რომლისადმი სამსახური ადამიანის უწინარესი მოვალეობაა.

ყოველივე ამის გათვალისწინების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ერის უფლებათა დაცვა მის ანთროპომორფისტულ ბუნებას ეყრდნობა.

ერის უფლებათა დაცვის დეკლარირება დიდ წინასწარ სამუშაოს მოითხოვს, მაგრამ ახლა სრულიად შესაძლებლად გამოიყურება იმ ძირითადი მოთხოვნების შემოსაზღვრა, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს ერის უფლებათა დაცვის ქარტია:

I. ერი, როგორც დავინახეთ, ცოცხალ ფენომენს წარმოადგენს. მას თავისი ისტორია აქვს, ის გარკვეული ეპოქიდან იწყებს თავის ცხოვრებას, იზრდება და ვითარდება, აზრდებს თავისი სიცოცხლისუნარიანობის სტაბილიზაციას ან ეწყება დეგრადაცია, ერი შეიძლება მოკვდეს და მოისპოს. როგორც ცოცხალ ფენომენს, მას აქვს შინაგანი ტენდენცია შეინარჩუნოს თავისი თავი. ბუნების სტიქიური მოვლენები, სხვა ერებთან კონფლიქტები და შინაეროვნული აშლილობანი ხშირად იწვევენ მის ნორმალურ მდგომარეობათა დარღვევას და იქმნება საშიშროება მისი სიკვდილისა და მოსპობისა. ერს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, უჩნდება მოთხოვნილება თავის დაცვისა და გადარჩენისა. იგი გარკვეულ აქტივობას მიმართავს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. ეს მისი იმთავითვე მოცემული, აპრიორული ტენდენციაა. ამ თვისების გამო იგი მთლიანი, ორგანული და ცოცხალი რეალობა. სიცოცხლის შენარჩუნებისა და თვითგადარჩენისათვის აქტივობა მისი ბუნებრივ მდგომარეობაში ყოფნის პირობაა. რეალობაში მას ამგვარი თვითაქტივობის სახით უკავია თავისი ადგილი. ყოველივე ამის გამო ერი, როგორც სიცოცხლის სუბსტანციის შემცველი ეგზისტენცია, თავისთავში შეიცავს თვითდაცვისათვის აქტივობის პირობას და უფლებას ამ აქტივობაზე. ამ უფლებას მას აძლევს თვითონ სიცოცხლის ბუნება, არსი. იგი თავისთავში არ შეიცავს ისეთ რამეს, რაც მისგან განსხვავებულ ინსტანციასთან შეუთავსებლობის გამო მას არსებობის უფლებას წაართმევდა.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ჩამოყალიბდეს ერის აქტივობის ფორმების მთელი სია, რომლის განხორციელების უფლება ერს, როგორც ცოცხალ ინდივიდს, აქვს. ეს უფლება მას სჭირდება თავის თავის დაცვისა და თავის მომავალი ყოფის სასიცოცხლო პირობების შექმნისათვის. უნდა ჩამოყალიბდეს უფლებათა გამომხატველი დებულებების მთელი კლასი, რომელიც ერის, როგორც ცოცხალი ინდივიდის, დაცვას გულისხმობს.

II. ყოველი ერი, როგორც ვნახეთ, **სულიერ არსებას, პიროვნებას წარმოადგენს**. მისი ეროვნული პიროვნულობა სხვა ერებთან ურთიერთობაში ფორმირდება. ურთიერთთან მათი მორალური დამოკიდებულების პირობებს ის ქმნის, რომ ერის სასიცოცხლო აქტივობა თავისთავში აუცილებლობით არ გულისხმობს სხვა ერის ხარჯზე არსებობას. ამიტომ ერის უფლების არც შეიძლება შემოსაზღვროს სხვა ერის უფლებათა შელახვამ. ცნობილია ცოცხალ არსებათა კლასები, რომლებსაც არსებობა არ შეუძლიათ სხვა ცოცხალი ორგანიზმის ასიმილაციის გარეშე. მაგალითად, მგელს არ შეუძლია სხვა ცოცხალი არსების შეჭმის გარეშე სიცოცხლე. ერის ეგზისტენციონალობა, აუცილებლად არ მოითხოვს მეორე ერის ასიმილაციას. ერთი ერის მიერ მეორის ასიმილაცია აუცილებლობით არ გამომდინარეობს ერის სასიცოცხლო მოთხოვნილებიდან. ამიტომ ყოველ ერს აქვს უფლება დაიცვას თავი სხვა ერის ხელყოფისაგან. ერის უფლებათა დაცვა ძირითადად სწორედ სხვა ერთან ისეთი ურთიერთობის ფორმირებას გულისხმობს, რაც ყოველი ერის უფლებას ხელშეუხებელს გახდის.

ერთა ურთიერთობის დროს, როგორც ვხედავთ, რთული ვითარება იქმნება. ერთის მხრივ, ერთა ურთიერთობაში შესაძლებელია ერთმა ერმა შელახოს მეორე ერის უფლება იმით, რომ მის ხარჯზე ან მისი ასიმილირებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. მეორე მხრივ, ერის სულიერი ზრდა და განვითარება შეუძლებელია, თუ იგი გარკვეულ ურთიერთობაში არ შევა სხვა ერებთან. ამიტომ ცხადია, ერთა ურთიერთობის პროცესში უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული მოთხოვნილებები, მორალი, რაც მათ კეთილდღეობასაც და უშიშროებასაც უზრუნველყოფს. სხვა ერთან ურთიერთობაში, ერებს საშუალება ეძლევა ჩამოყალიბდეს, როგორც სრულფასოვანი ერი, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი სულიერი ძალები.

ამ მიმართულებით აქტივობის შეფერხება ხდება ანექსიისა და ასიმილაციის დროს. ყოველ ერს საშუალება უნდა მიეცეს მოახდინოს თვითგამორკვევა და თვითგანსაზღვრა. თავისი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის აირჩიოს

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 45.

მთავრობა, ხელისუფლების მართვის სახურველი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ერის სხვადასხვა ასპექტებს და მხარეების ურთიერთობას. გამთლიანების პროცესს. ამ გზით იგი თავის ეკონომიკას გაამთლიანებს თავის ტერიტორიაზე, თავის ხალხს ჩართავს ეროვნულ საქმიანობაში, იზრუნებს თავისი ენის და კულტურის განვითარებაზე და თავის ტერიტორიაზე შექმნის მათი განვითარების პირობებს, დაამყარებს ყველა სხვა ქვეყნებთან და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან ნორმალურ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს თავის ქვეყანაში სხვა ერის ხალხების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ეროვნებათაშორის არსებული მორალური და ჰუმანური ინტერესების მიხედვით. ცხადია, ყველა ამ რიგის უფლებათა და მოვალეობათა დებულებების გაფორმება მუშაობას მოითხოვს. მისი წარმატებით შესრულება შესაძლებელია ანთროპომორფისტული თეორიის ძირითად დებულებაზე დაყრდნობით.

III. როგორც ვნახეთ, ერი უნიკალური ფენომენია, მისი უნიკალობა ნათლად მჟღავნდება, როცა კაცობრიობა კულტურულ ასპექტში განიხილება. მსოფლიო კულტურა ეროვნულ კულტურათა თანავარსკვლავედს წარმოადგენს. მსოფლიო კულტურის მთელ სისტემაში შემავალი ეროვნული კულტურები ინარჩუნებენ თავის ინდივიდუალურ და უნიკალურ ასპექტებს, რადგან კულტურა, აბსტრაქტული ცნებებისაგან განსხვავებით, კულტურულ მოვლენათა ინდივიდუალური თვისებების გადაყრისა და ზოგადი შინაარსის შენარჩუნების გზით არ იქმნება. ყოველი ეროვნული კულტურა თავის კუთვნილ ადგილს იკავებს მსოფლიო კულტურაში. იგი შეუცვლელია და მისი გამოვარდნის შემთხვევაში ხდება მსოფლიო კულტურის დეფორმაცია და გაღარიბება.

ყოველი ერი თავის უბნის, კულტურის და სულიერი ცხოვრების თავისებურებათა გავლენით კულტურის სპეციფიკურ სინამდვილეს ქმნის, სადაც სპეციფიკური და საზოგადოებრივი ღირებულებები უნიკალურ, კულტურულ სისტემაში არიან გაერთიანებული.

ყოველ ერს აქვს უფლება, ეროვნული შემოქმედების პროცესში ჩამოაყალიბოს სულიერი და მატერიალური კულტურის ის სინამდვილე, რომელიც მის სულს შეესატყვისება. მის წინაშე ისახება თვითგანვითარების ის გზა, რაც მისთვის ბუნებრივი და დამახასიათებელია. მათი დაცვა ეროვნული მოღვაწეობის მრავალი სახის გათვალისწინებას გულისხმობს. დიდი მუშაობაა საჭირო აქტივობის იმ სახეების კლასიფიკაციისათვის, რომელთა შესრულების უფლება უნდა ჰქონდეს ერს. ამ უფლებათა დაცვისათვის საგანგებო მუშაობა არის ჩასატარებელი.

ეროვნებათა უფლებების დაცვა საზოგადოების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. უნდა ჩამოყალიბდეს ერის უფლებათა გამომხატველი დებულებების მთელი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ერის ძირითადი და არსებითი უფლებები. ასეთი მუშაობა აგებული უნდა იყოს ერის ანთროპომორფისტული თეორიის საფუძველზე, რომელშიც კარგად ჩანს ერის უფლებათა დაცვის საჭიროება და აუცილებლობა. ერის ბუნების გაგების შემდეგ, რაც აქ იყო წარმოდგენილი, კარგად ჩანს, რომ ერის უფლებათა დარღვევა არა მხოლოდ ამორალურ, არამედ დანაშაულებრივ საქმიანობას წარმოადგენს.

აუცილებლად უნდა შეიქმნას ერის უფლებათა დებულების მთელი სისტემა, რომელიც მოცემულ ეტაპზე შესძლებს მიაქციოს საზოგადოების ყურადღება იმ დანაშაულებზე, [illegible] ხდება. ამ გზით, ადამიანთა უფლებების დაცვის პარალელურად უნდა დავიწყოთ მუშაობა ერის უფლებების დაცვის ქარტიის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენი ვარიანტის შესახებ ლაპარაკი აქ უადგილოდ გვეჩვენება. საჭიროა ერთობლივად შევქმნათ და შევაჩვენოთ მისი დეკლარირება ისეთ საერთაშორისო ფორუმზე, სადაც შეიძლება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

ერის ანთროპომორფისტულ თეორიის საფუძველზე ერის უფლებათა დაცვის ქარტიის მომზადებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, ეკონომისტებმა და საზოგადოებრივი მეცნიერების სხვა წარმომადგენლებმა.

## ნიკოს კაზანძაკისი

# წერილები ბათუმიდან

ნიკოს კაზანძაკისის მიერ 1927 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბათუმიდან გაგზავნილი ეს სამი წერილი ჯერჯერობით საბერძნეთისთვისაც უცნობია. მხოლოდ 1991 წელს ამერიკაში გამოქვეყნდება ეს წერილები ელი ლამპრიდისადმი გაგზავნილ სხვა დანარჩენ წერილებთან ერთად ინგლისური პარალელური თარგმანით. მაგრამ, ვინაიდან ეს წერილები ჩვენთვის, ქართველებისათვის საინტერესო საკითხებს შეიცავს, ამიტომ ჩვენმა ბერძენმა კოლეგებმა ნება დაგვრთეს, ეს სამი წერილი პირველად საქართველოში დაბეჭდილიყო, რითაც, ვფიქრობთ, თავისი პატივისცემა და სიყვარული გამოამჟღავნეს საქართველოს მიმართ.

მინდა იცოდეს ქართველმა მკითხველმა, რომ ნიკოს კაზანძაკისის მხატვრულ შემოქმედებაში და პირად წერილებშიც (მათი რიცხვი ძალზე დიდია, რამდენიმე ტომს მოიცავს) საქართველოს განსაკუთრებული სიყვარული ჩანს.

ალბათ, მკითხველისათვის საინტერესოა, თუ ვინ არის ამ წერილების ადრესატი ელი ლამპრიდი? ეს მშვენიერი ქალბატონი ცნობილი ბერძენი მკვლევარი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწეა. მრავალი ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომის ავტორს ძველი ბერძნულიდან ახალ ბერძნულზე უთარგმნია სტრაბონისა და თუკიდიდეს ნაშრომები; თარგმნიდა ბერძნულიდან ინგლისურ ენაზე. მისი ბიბლიოთეკის საფუძველზე და მისივე დატოვებული სახსრებით 1988 წ. დაარსდა ბერძნული კულტურის კვლევის კიდევ ერთი კერა — ფილოსოფიის ბიბლიოთეკა. ხოლო, თუ როგორი პიროვნული დამოკიდებულება იყო ნ. კაზანძაკისსა და მას შორის, ამას თვით მკითხველი განსჯის ამ წერილებიდან.

**თამარ მესხი**

28.11.27.

ჩემო ძვირფასო!

დიდი ხანია აღარ მომიწერია შენთვის, რამეთუ ვერ ვიხვენებ. მოგზაურობები, ადამიანები, სხვადასხვაგვარი მღელვარებანი მიჰამენ დროსა და სულს. ყოველ წუთს გგრძნობ ჩემს გვერდით, მიყვარხარ მეტისმეტად ღრმად, გამუდმებით. ვცდილობ ვიპოვო გზა ერთად თანამშრომლობისათვის, ვიდრე სიკვდილი მოვა და გაანადგურებს ჩვენს სხეულებს, რომელთაც ასე უყვართ ერთმანეთი. ბევრ ამაღლებულ წუთს ვეზიარე აქ — შევხვდი ადამიანებს, რომლებიც ძალზე შევიყვარე. გუშინ საღამოს კი თბილისის სადგურში ერთმანეთს ეხვეოდა ორი ადამიანი, რომლებსაც არ უნდოდათ განშორება, რამეთუ იგრძნეს, რომ ცხოვრებას არსი ეკარგებოდა, თუკი ერთმანეთის გარეშე იცხოვრებდნენ. ეს ორი ადამიანი იყო პოეტი ლეონიძე და მე. მან მხოლოდ ქართული იცოდა და მე ვცდილობდი იმ ორიოდე სიტყვით, რაც მე ვიცი, ამეხსნა მისთვის მთელი ის სითბო, რომელიც გამაჩნდა. ლეონიძემ ელლისიდან, ზეპირად იცოდა მთელი „ქრისტე აღსდგა" და როცა დაკანცულნი იმით, რომ ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა აზრები, ერთმანეთს ვუცქერდით იმედდაკარგულნი. უეცრად „ქრისტე აღდგას" გალობას ვიწყებდით. ორი უმშვენიერესი ქალი ესწრებოდა ბანკეტს, რომელიც მწერლებმა მოგვიწყვეს და ჩემი საძაგელი ჩვეულებისამებრ, ლეოპარდივით გადავეშვი მაშინვე მათი სულებისაკენ და ეგზალტირებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი მცირე ხნით მათთან ერთად — სადგურზე განშორება კი უმწარესი იყო... — ეს, რაც ჩემს პირად ამბებს შეეხება. ახლა კი ის, რაც შენ გაინტერესებს: ისტრატი, რომელთან ერთადაც განცალკევებულ ვაგონში ვმოგზაურობთ, ჩემი მეგობარი გახდა. ჩვენი შეხვედრა წარმოუდგენლად თბილი იყო. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ცხოვრება მჭიდრო თანამშრომლობაში გაივლის. იგი ჩემთან ერთად წამოვა საბერძნეთში და მერე ეგვიპტეში. იქიდან კვლავ საბერძნეთში დაბრუნდება და მერე იქნებ ერთად წავიდეთ მოსკოვში. სული კვლავაც აფორიაქებული მაქვს. ცხოვრება ჩემი მზადაა მოულოდნელი შემობრუნებისათვის. რამდენადაა შესაძლებელი ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ რუსეთში ჩამოსვიდე? ფიქრი იმაზე, რომ შორს იქნები, სასიკვდილო ერუანტელს იწვევს ჩემში. მაგრამ, თუ ამერიკაში დარჩები ერთი წელი, ამასობაში ყველაფერს მოვამზადებ აქ შენი ჩამოსვლისათვის.

29 ნოემბერი.

ნელა წვიმს. მონოტონურად. სასტუმროს აივნიდან გავცქერი ბანანებისა და ფინიკის ხეებს რომ სველდებიან. თეთრად აქაფებულა შავი ზღვა. მეტისმეტად მოწყენილი ვარ და ვისურვებდი დასრულებულიყო სიცოცხლე.

ღმერთმა იცის, როდის ჩამოაღწევს ეს წერილი ფალიროსში. მოსკოვი უნდა გაიაროს და ვფიქრობ, ასე, ალბათ 10 დეკემბრისათვის მიიღებ. გიგონებ, გხედავ შენს სკოლაში, იმ ადამიანებს შორის, რომლებზეც ასე ზრუნავ. და მაინც მარტოდმარტო; და გული ჩემი შენთან შესახვედრად მოეშურება.

აქ საშიში ამბებით ვცხოვრობ: ყოველ ქალს, ყოველ მამაკაცს შეუძლია გიამბოს მის მიერ განცდილი ტრაგიკული შემთხვევები, შემაძრწუნებლად ბნელი. მათ შორის ყველაზე უმნიშვნელოს სახეც დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლითაა გაბრწყინებული. და ვფიქრობ, საბერძნეთის მწირ ნიადაგზე, რომაელთა უბადრუკ სულებზე, საშინელებაზე, რომ დაცემულ და ბნელ რასად ვშობილიყავით.

1 დეკემბერი.

შავ ზღვაზე ვმოგზაურობთ. ჩავუარეთ მთელს კონტრაგურს ბათუმიდან ნოვოროსიისკამდე. გადმოვდივართ სანაპიროებზე. დათოვლილია მთის მწვერვალები. ზღვის სანაპიროზე კი უკვდავი ფინიკისა და ბანანის ხეებია. გამოვეთიშებით ხოლმე ოც თანამგზავრს. ისტრატი და მე ხეების სიღრმეში შევდივართ. აფორიაქებული მაქვს სული. ვერ ვმშვიდდები. თვეები გავიდა, რაც შენი წერილი არ მიმიღია. ოდესაში მივწერე, რომ მოსკოვში გადმომიგზავნონ. თუკი რაიმე წერილი არსებობს ჩემს სახელზე, რადგანაც ცოტა ხანში უკვე იქ ვიქნები. რუსეთიდან 24 დეკემბერს მოვდივართ და ახალი წლის დასაწყისში გნახავ. მეტისმეტად მოწყენილი ვარ. ასე მგონია, მოვიდა ის წუთი, როცა ჩემი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული დარტყმა უნდა მივიღო. ჯერ საკუთარი თავისთვისაც კი ვერ ვბედავ გამხელას. ჩემო ძვირფასო! ნეტავ სიკვდილის წუთი იყოს დამდგარი.

ეჰ, ნეტავ შენი წერილი მქონდეს. ასე მეჩვენება, რომ ქვეყნის დასასრულს ვიმყოფები. უკიდეგანო სტეპში, ხან თოვლში და ხანაც თაკარა მზის ქვეშ და დავიარები უსასრულოდ და უსახოდ.

საყვარელო, გიკოცნი თვალებს, მხრებს. მომწერე ოდესაში, სადაც 24 დეკემბერს ვიქნები. ძლიერ მიყვარხარ. მოწყენილი ვარ და უნუგეშო. ვგრძნობ, ეს რუსეთი გამინადგურებს სხეულს, ცოტა მაინც დაიგვიანოს განადგურებამ, რათა მოვასწრო და გადავარჩინო ის, რისი გადარჩენაც შემიძლია.




გამოვიდა თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი **„ქარიბჭე"**, რომლის გამომცემელია გაგრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეგიონალური საკოორდინაციო სათათბირო-საქართველოს სახალხო ფრონტის, რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, სადროშო „ლემის" რეგიონალური ორგანიზაციები. ამ გაზეთის რედაქტორია **ალექსი თოფურია**. სარედაქციო კოლეგია: **როლანდ ნინუა, ჯონი ლატარია, ნოდარ კეშელავა, რაისა უბილავა, მანგულ ხუბუა**. ნომერი იხსნება სარედაქციო წერილებით „მკითხველმა განსაჯოს" და **„ლიდგორი"**. აქვე „ქარიბჭის" გამოსვლას დეპეშით მიესალმება საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი **ნოდარ ნათაძე**. „ქარიბჭის" ამ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: საქართველოს სახალხო ფრონტის გაგრის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის **როლანდ ნინუას** „სახალხო ფრონტის სახელით" (მეორე რეგიონალური კონფერენციის გამო), ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრის **ჯონი ლატარიას** „ჯვარი და მახვილი" (ანუ იმის შესახებ, თუ როგორ ჰიანურდება, დაუბრუნდეს ძველი გაგრის ტაძარს ემპატის წმიდა სახელი). გაგრის სანატორიუმ „თბილისის" მთავარი ექიმის მოადგილის **გიორგი გოგბაიძის** საუბარი ალ. თოფურიასთან, საკოორდინაციო საბჭოს წევრის ფერლანელ თურქთა „მშვიდობიან სვლასთან" დაკავშირებით შექმნილი რეგიონალური შტაბის უფროსის **ჯამბულ შუბლაძის** „უძილო ღამეთა გაკვეთილები" (სიმართლე ფერლანელ თურქთა ჩაშლილ შემოსევაზე). **ა. კირილიოვის** „პრეზიდენტი აგარაკს იშენებს?", (გადმობეჭდილია მოსკოვის ანარქისტების კავშირის მაცნე „გოლოს ანარხიზმიდან"), გაგრაში წმინდა ილია მართლის საზოგადოების წარმომადგენლის **არკადი მარკოზიას** „მერაბ კოსტავა გაგრაში", რუსთაველის საზოგადოების გაგრის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის **ნოდარ კეშელავას** „არა!", **ნოდარ ხუნდაძის** „ღია წერილი 92 წლის კუნ გიცმას", **თენგიზ მიხელიძის** „ქორიკახა საშიში მტერია", **ნოდარ გურეშიძის, ზონდო ჯიაძისა** და **ხუტა იფნარელის** ლექსები, მასალები რუბრიკებით: „დამაკვირდი", „სტარტზეა იუმორი", „ისტორიის ფურცლებიდან", „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს", „ფელეტონის მაგიერ" და სხვ.

მიესალმებით ამ შესანიშნავი თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის გამოსვლას!

# იქ, სადაც მთავრდება ჰერეთი

საინგილოში ქართული [illegible] და ამაყი ქართული [illegible] მოპობა შეუძლებელი გადა[illegible] [illegible]გან მონიჭებული გაუტეხელი [illegible] [illegible] თვისებები [illegible].

აქართველო. დაუძინებელი მტრები (და „მოკეთემაც") დიდი [illegible] წერო [illegible] ჰერეთს: მრავალგზის დაიპყრეს... გადათელეს... მოსახლეობის დიდი ნაწილი გაამაჰმადიანეს... ბოლოს კი სამუდამოდ მოკვეთეს საქართველოს და თავისი [illegible] დაარქვეს... მაგრამ მაინც მტრის დიდი „გოლ[illegible]" ამაო გამოდგა. ქართული სული გადადიოდა კაციდან კაცში...

140 წლის წინათ, 1850 წელს „საინგილოს გაუქრისტიანებელი" ჰერეთიდან ივან-ბაბა ბულულაშვილის წინამძღოლობით რამ[illegible] [illegible]დან თბილისს ჩამოვიდა და [illegible]ში მოინათლა, ხოლო, კიდევ [illegible]ვიანებით (1851 წ.) კვლავ [illegible]ში მოინათლა [illegible] კაცი. რის შემდეგაც სასულიერო ხელისუფლებამ კახში მღვდელი დანიშნა.

აღდგა საინგილოში ქრისტიანობა... აღდგა ქრისტიანული საეკლესიო რიტუალები...

[illegible] დევნის მიუხედავად, იმ[illegible] მოიქცა ქრისტეს რჯულზე ხაწამები, მაგრამ სულიერად გადარჩენილი ქართველი. აქაური ქართველობა მანამდეც (1723-1851 წწ.) ახერხებდა ფარულად გაქრისტიანებასა და ქრისტიანული ადათწესების დაცვას.

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, მოსე ჯანაშვილის საზოგადოების ინიციატივით, საინგილოში ქრისტიანობის აღდგენის 140 წლისთავი აღნიშნა ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ.

ამ დღეს ჩვენთან იყვნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის წევრები, ქ. თელავის წარმომადგენლები, შილდელი მოსწავლეები...

კახის წმ. გიორგის მოქმედ ეკლესიაში დილის 9 საათიდან დაიწყო წირვა...

წინამძღვარმა მამა ილარიონმა და მღვდელმა მამა დიმიტრიმ აკურთხეს ივან-ბაბა ბულალაშვილის საფლავი. ასობით სანთელმა ნათელი მოჰფინა ივან-ბაბას საფლავს...

ბოლოს, წმ. გიორგის ქრისტიანული ეკლესიის გუმბათზე თელავის სოფლის მეურნეობის საშენ მასალათა კომბინატის თანამშრომელთა მიერ საჩუქრად მორთმეული ზარი აგუგუნდა.

ქართულ მიწაზე ქართული სულის, ქართული გენის გადაგვარება შეუძლებელია.

**ლუიზა ლაჩუნაშვილი**

# რეფერენდუმი — ხალხის ნების გამოსახატავად!

მიხეილ მახარაძე

საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და ეთნოკრიზისებმა დღის წესრიგში უფრო მწვავედ დააყენა ჩვენთან არსებული ავტონომიური წარმონაქმნების მიზანშეწონილობის საკითხი. ბოლო ხანებში განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე, როგორც წინასწარი განზრახვით ხელოვნურად შექმნილზე. ავტორები აყენებენ საკითხს რეფერენდუმის ჩატარებისა და ამის საფუძველზე აჭარის ავტონომიის გაუქმების შესახებ. ამ მოსაზრების მოწინააღმდეგენიც არიან, რომელნიც მართებულად თვლიან აჭარის ავტონომიის შექმნას და დღესაც არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად მისი გაუქმება. ერთი კია, თუკი აჭარის ავტონომიის გაუქმების მომხრეები თავიანთ მოსაზრებებს საჯაროდ, ძირითადად კი საქართველოს ცენტრალურ პრესაში გამოთქვამენ, მათი მოწინააღმდეგენი კი ერთიორი გამონაკლისის გარდა, ამგვარი საჯარო გამოსვლებისაგან თავს იკავებენ და ძირითადად კულისებიდან აწარმოებენ ბრძოლას. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ საკითხის გადაწყვეტისას ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი და აჩქარება საერთო საქმეს დიდად ავნებს.

პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის საკითხი ჯერჯერობით ყოველმხრივი საჯარო განხილვის საგნად არ გაუხდიათ სპეციალისტებს: იურისტებს, ეკონომისტებს, ისტორიკოსებს, რომელთა ობიექტურ დასკვნებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გადაწყვეტისას. სავარაუდოა, რომ ისინი ან არ იზიარებენ ამ აზრს, ან ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ თვლიან გამოთქვან საკუთარი აზრი ამ საკითხზე, ან კიდევ გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ. უნდა ითქვას, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილს ნამდვილად არა აქვს ოქროს ფასი.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ახლო მომავლის საქმეა, მაშინ აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის საკითხის დაყენება არც ღირს, რადგანაც ამ შემთხვევაში აჭარის ავტონომია, როგორც სრულიად ზედმეტი და, უკიდურეს შემთხვევაში, თუნდაც, დრომოჭმული ავტომატურად გაუქმდება. ჩვენი საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუკი საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გარკვეულ დროს მოითხოვს (და როგორც „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ სულ უკანასკნელ ხანს მიღებული კანონიდან ჩანს, არც თუ ისე ცოტას!). ასეთ ვითარებაში, სწორედ რომ, აქვს აზრი ფიქრსა და ბრძოლას ავტონომიის გასაუქმებლად, რამდენადაც ავტონომიური წარმონაქმნი ხელისშემშლელი ფაქტორია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

1921 წლის მარტში მოხდა აჭარის გასაბჭოება, ხოლო იმავე წლის 16 ივლისს აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკად. ამ მოვლენას წინ უსწრებდა მწვავე კამათები საქართველოს მაშინდელ მთავრობასა და მოსკოვიდან ამ საკითხის მოსაგვარებლად საგანგებოდ მოვლინებულ სტალინს შორის. საბოლოოდ სტალინისა და მისი თანამოაზრეების დიდმა მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო. ამ მოვლენის ხელშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ის გარემოებაც, რომ რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების II სტატიის I მუხლის თანახმად თურქეთი საქართველოს უთმობდა აჭარას სიუზერენიტეტით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ რეგიონის მოსახლეობა ისარგებლებდა ფართო, ადმინისტრაციული ავტონომიით. რაც უზრუნველყოფდა მათ კულტურულ და რელიგიურ უფლებას და ა. შ. (საყურადღებოა, რომ ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ იღებდა უკვე გასაბჭოებული საქართველოს წარმომადგენელი).

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოში შექმნილ დაძაბულობას და გარეშე ძალის ფაქტორს, მაშინ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ აჭარის ავტონომიის შექმნაც — საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ წინასწარ მოფიქრებული აქტია, რათა საჭიროების შემთხვევაში ამუშავებული იქნას ეს მექანიზმიც. უნდა ითქვას, რომ ამ მექანიზმის ამუშავების ცდა არაერთხელ ყოფილა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე პოზიციის გამო, ამ ცდებს რაიმე სერიოზული შედეგი არ მოყოლია. ზემოთ აღნიშნულთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ამ ბოლო ხანებში, აჭარის ზოგიერთ სოფელში მეჩეთების გახსნას მოითხოვენ, ამის შესახებ წერენ წერილებს. მოსკოვიდან სპეციალური წარმომადგენელიც ჩამოვიდა, მაგრამ სტუმარს მოლოდინი არ გაუმართლდა, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში წერილებზე ყალბი ხელმოწერები აღმოჩნდა. აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: თუკი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, 20-იანი წლების ანტირელიგიური პროპაგანდის დროს დანგრეული იქნა საუკუნოვანი ეკლესია-მონასტრები, რომლებშიც ქართული სული იყო გაცხადებული, როგორღა გადარჩა მეჩეთები აჭარის ბევრ სოფელში (გასაგები მიზეზების გამო საქართველოში იმ დროს მუსულმანობა უფრო მეტად განიცდიდა დაწოლას). მით უმეტეს, რომ მეჩეთების აბსოლუტური უმრავლესობა ხისგან იყო ნაგები და იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავითარ კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ მომხდარა. და როცა ვერ მოხერხდა ავტონომიით პროვოცირება, მაშინ „თამაშში ჩართული იქნა“ რელიგიური მექანიზმი. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს „კეთილმოსურნეთა“ ჩანაფიქრით აჭარაში საამისოდ დატოვებულ მეჩეთებს თავისი „სიტყვა უნდა ეთქვათ“. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე პოზიციის გამო, ამ ჩანაფიქრსაც არ ეწერა განხორციელება.

ავტონომიის საკითხთან რომ რელიგიური ფაქტორი მჭიდროდაა დაკავშირებული, ჩანს ერთი ასეთი ფაქტიდანაც: ერთ-ერთი აქტიური მომხრე ავტონომიისა, თუკი სექტემბრის თვეში კატეგორიული წინააღმდეგი იყო მეჩეთების გახსნისა, როცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ა. წ. თებერვალში მან მოტყუებით შეკრიბა ხალხი და მეჩეთების გახსნას შეპირდა (დაწვრ. იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 2. 03. 90. „ზოგჯერ თქმა სჯობს...“). ასე რომ, ყველაფერი ნათელი უნდა იყოს, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ მოვლენას საგანგებო სესია მიუძღვნა ხულოს რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა და ნათელი გახადა ამ აქციის მომწყობთა ჭეშმარიტი სახე და ზრახვები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ აჭარის ავტონომია გარკვეული მიზნებითაა შექმნილი და დღეს მის გაუქმებას, თითქოსდა, წინ აღარაფერი არ უნდა ეღობებოდეს. ამ აზრს განამტკიცებს ისიც, რომ გასულ წელს აჭარაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, სხალთაში ამოქმედდა ეკლესია, რასაც მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის მონათვლა, სხალთის მონასტრის წინამძღვარი მამა იობი კი (საოცრად ღვთისნიერი პიროვნება) ქრისტიანობის ისტორიას აცნობს ხულოს რაიონის სკოლებში... აქ აღნიშნულისა და ალბათ კიდევ სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ბოლო ხანს აჭარის ავტონომიისადმი მიძღვნილ წერილებში გამოთქმულია აზრი, რომ ავტონომიის გასაუქმებლად საჭიროა რეფერენდუმის ჩატარება.

ჩვენი აზრით, როდესაც რეფერენდუმს ეხება საქმე, ჯერ საფუძვლიანად უნდა იქნას გარკვეული რეფერენდუმის პირობები და გარდა ამისა, გარანტია უნდა გვქონდეს გამარჯვებისა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მუშავდება პროექტი ავტონომიური რესპუბლიკების მომავალი სტატუსის შესახებ, რომელიც სამ შესაძლებელ ვარიანტს გულისხმობს: ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსების გათანაბრება; ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფა და მისი სტატუსის გათანაბრება მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსთან; ავტონომიური რესპუბლიკის პირდაპირ დაქვემდებარება ცენტრისადმი (ყველაზე სახიფათო, რის მიღებასაც შეეცდებიან).

რეფერენდუმის ნაჩქარევად ჩატარებისას ბევრ სიძნელეს გადავეყრებით: ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ აპარატის წინააღმდეგობას (მდგომარეობისა და პრივილეგიების დაკარგვის შიშის გამო); კორუმპირებულ ელემენტთა წინააღმდეგობას (ადგილობრივ მოსახლეობაში შელახული პრესტიჟის აღსადგენად ამ გზით ქულების დაგროვება. ეს პროცესი ფაქტობრივად უკვე დაწყებულია); მესამე ძალა (რომელსაც პრინციპი „დაყავი და იბატონე“, ჯერჯერობით არსებობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად ესახება); ავტონომიის სენით „დაავადებულთა“ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა (თუმცა ავტონომიის დაკარგვით ისინი არაფერს არ კარგავენ). პირადად მე, ეს უკანასკნელნი საკმაოდ სახიფათოდ მესახებიან, რადგან შეუძლიათ რეფერენდუმისათვის მოუმზადებელი ხალხის მართვა თავისი ნება-სურვილის მიხედვით. ამასთანავე, თუკი მათ ზურგს უკან ვიგულისხმებთ აქ აღნიშნულ სხვა ძალებსაც, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ სასწრაფოდ ჩატარებულ რეფერენდუმს სწრაფადვე წავაგებთ. და, თუკი საქართველოს დამოუკიდებლობა დიდხანს არ უწერია, მაშინ ეს იქნებოდა დიდი ლახვარის ჩაცემა ჩვენი ეროვნული მოძრაობისათვის.

მართალია ძველი სისტემა იშლება (თუმცა ბოლო დროის მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, საკითხავია იშლება თუ ახალ სახეს იღებს), მაგრამ რატომღაც გვავიწყდება, რომ მან თავდაცვის ჯერ კიდევ ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია. განა ამას არ მოწმობს მიღებული კანონი კავშირიდან რესპუბლიკის გასვლის შესახებ, სადაც იმდენი მზაკვრული მახეა დაგებული, რომ სინამდვილეში კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის შეუძლებლობას აკანონებს.

ზემო აღნიშნულის გარდა, რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე გვინდა შევჩერდეთ. სულ ახლახან საქართველოში ჩატარებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ყურადღება მიიპყრო დეპუტატობის ორი კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამამ. ის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც დასახელებული იყო აჭარის იმ მხარეში, სადაც ავტონომიის დაცვით შეიძლება ქულების დაგროვება, თავის წინასაარჩევნო პროგრამაში პრინციპულად მცდარად მიიჩნევდა ავტონომიების გაუქმების მოთხოვნას საქართველოში (ხედავთ, არა მხოლოდ აჭარის, არამედ საქართველოში არსებული ყველა ავტონომიის გაუქმებას), ის დეპუტატობის კანდიდატი კი, რომელიც დასახელებული იყო აჭარის იმ მხარეში, სადაც რელიგიურად რამდენიმე აქტიური სოფელია, თავის წინასაარჩევნო პროგრამაში აღნიშნავდა: „სრულიად ვუჭერ მხარს რელიგიის თავისუფლებას. თითოეული მოქალაქე უფლებამოსილია აღიარებდეს და ლოცულობდეს საკუთარი მრწამსის მიხედვით“. ერთი შეხედვით, ეს სიტყვები უწყინარია და მისი ავტორის ჰუმანურობაზე უნდა მეტყველებდეს. ამ სიტყვებს ყურადღებას არც კი მივაქცევდი, რელიგია ადამიანის მხოლოდ ხსნის ფუნქციას რომ ასრულებდეს. მაგრამ ბევრ შემთხვევაში რელიგია ხომ მძლავრი პოლიტიკური და იდეოლოგიური იარაღიცაა. გამომდინარე აქედან, როდესაც ეს აზრი გატარებულია წინასაარჩევნო პროგრამაში და ეს გათვალისწინებულია რელიგიისადმი არც თუ ისე გულგრილი მოსახლეობისათვის, აქ რელიგიისადმი შემწყნარებლობა უფრო სხვა მიზნებით უნდა იყოს ნაკარნახევი. მით უმეტეს, როცა ეს აზრი ეკუთვნის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკს, განყოფილების გამგეს იმ ორგანიზაციისა, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე რელიგიას „ხმალ ამოღებული“ ებრძოდა და საყოველთაო სიძულვილს უნერგავდა ახალგაზრდობას რელიგიისადმი. რა ვიფიქროთ, რელიგიისადმი კომკავშირი შემწყნარებელი გახდა თუ შექმნილ სიტუაციას სწრაფად აუღო ალღო კომკავშირის პასუხისმგებელმა მუშაკმა?

წინასაარჩევნო შეხვედრებზე, აჭარის ერთ-ერთ რაიონში თქმულა: რუსეთის მხრიდან 1921 წელს საქართველოს არავითარი ანექსია არ ყოფილაო (გავიხსენოთ რა შეუთვალა თავის ყმებს ლუარსაბ თათქარიძემ: „იმას, რომა, ყმები ჩამოგვერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია“. როგორც ვხედავთ, თათქარიძეობა უნივერსალური მოვლენაა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება). ეს ითქვა მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავის საგანგებო სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება და დააფიქსირა 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი. ხედავთ სადამდე მიდის საქმე და საჯაროობის ნიღაბს ამოფარებულნი როგორ ანტიეროვნულ დემაგოგიას ეწევიან. და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ აქ მოყვანილი ფაქტები შემთხვევითი არაა და მოწინააღმდეგე ძალები კიდევ გამონახავენ სხვა ხერხებს თავიანთი მიზნის მისაღწევად.

ახლა მკითხველს მინდა შევახსენო, ა. წ. მარტის თვეში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ (2. 03. 1990) და ჩემი უმცროსი მეგობრების ტარიელ ფუტკარაძისა და თამაზ ფუტკარაძის წერილები „ახალგაზრდა კომუნისტსა“ (17 მარტი) და „ახალგაზრდა ივერიელში“ (27 მარტი). ამ წერილებში სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა პოზიციებიდან განხილული იყო აჭარის ავტონომიასთან დაკავშირებული პრობლემები. მკითხველთა მეტი წილი, როგორც წესი, იწონებდა ამ წერილებში გატარებულ აზრებს, თუმცა მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მიიჩნევდა აჭარის ავტონომიის სტატუსზე საუბარს, ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ თუნდაც 1988 წლის შემოდგომაზე, ბათუმში თბილისიდან მიტინგის ჩასატარებლად ჩასულთა გახმაურებული ამბები და საქართველოს ტელევიზიის გადაცემები, სადაც ცნობილი ქართველი მეცნიერები, ხელოვანნი და საზოგადო მოღვაწენი ასევე არამართებულად მიიჩნევდნენ აჭარის ავტონომიასა და მუსლიმანობის შესახებ საუბარს. განა ეს ფაქტები არ მოწმობენ, რომ ავტონომიის სენი საკმაოდ მტკიცედაა გამჯდარი ქართველი კაცის ცნობიერებაში? აქედან გამომდინარე ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ რეფერენდუმამდე სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად არსებითია ქართველი კაცის განთავისუფლება ავტონომიის სენისაგან. ამისათვის კი საჭიროა:

1. საფუძვლიანად იქნას გამოკვლეული აჭარის ავტონომიის როგორც შექმნის, ისე დღეს მისი არსებობის იურიდიული მხარე, რაც შემდეგი მომენტების გარკვევას გულისხმობს:

ა) გარკვევას იმისა, თუ რატომ არ მონაწილეობდნენ უკვე გასაბჭოებული საქართველოს წარმომადგენლები 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებაში, სადაც საქართველოს უძველესი კუთხის — აჭარის სტატუსი წყდებოდა.

ბ) თავისთავად საინტერესოა, რატომ გახდა საჭირო, რუსეთ-თურქეთის შეთანხმების ამსახველი დოკუმენტში საქართველოსა და მისი სისხლხორცეული ნაწილის (აჭარის) შემდგომი დამოკიდებულების გამოხატვა ტერმინით — სიუზერენიტეტი (სიუზერენიტეტი — უზენაესი უფლება ვასალების მიმართ). ხომ არ იყო თავიდანვე ამაში რაღაც განზრახვა ჩადებული? ეს კითხვა სპეციალისტების პასუხს ელოდება.

გ) უნდა გაირკვეს, თუ რა პრეტენზიები ექნება თურქეთის მთავრობას საქართველოსადმი აჭარის ავტონომიასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე და რამდენად საფუძვლიანია ეს პრეტენზიები. აქ საქმეში ჩართული უნდა იქნას საერთაშორისო სამართლის ნორმები.

დ). დღეს მაინც უნდა გახდეს ცხადი, თუ რამდენად გამართლებულია იურიდიულად — საქართველოში ქართველებს ჰქონდეთ ცალკე ავტონომია. დავუშვათ ისიც, რომ ადრე მას რაღაცნაირი გამართლება ჰქონდა, მაგრამ რამდენად მართებულია დღეს 20-იანი წლების პრინციპებით მოქმედება. ყველა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ქართველი იურისტების უახლოესი ამოცანა უნდა იქნეს.

2. ცნობილი უნდა გახდეს თუ რა უჯდება საქართველოს აჭარის ავტონომიის მმართველი აპარატის შენახვა (სხვადასხვა წერილებში ესეც არის მინიშნული, მაგრამ ეს არაა საკმარისი. საჭიროა ვითარების ობიექტური და ღრმასაფუძვლიანი წარმოჩენა). რა თქმა უნდა, არც ისე იოლი იქნება ამ საკითხზე ზუსტი და სრულყოფილი ცნობების მიღება, მაგრამ ერთიანი ძალისხმევით ბოლოს და ბოლოს მიუღწეველი და გამოუმზეურებელი არაფერი დარჩება. აქ თავისი პირუთვნელი სიტყვა უნდა თქვან ქართველმა ეკონომისტებმა.

3. საჭიროა მოხდეს ყოველმხრივი შედარებითი ანალიზი აჭარისა და მეზობელი რეგიონების რაიონებს შორის (თუნდაც სამაგალითოდ ქობულეთისა და ოზურგეთის) და ამის საფუძველზე ნაჩვენები იქნას მართლა იძლევა თუ არა რაიმე პრივილეგიას ავტონომია და თუ იძლევა, კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს (კულტურა, მეცნიერება, სოციალური მდგომარეობა...). ამას იმის გამო აღვნიშნავთ, რომ ავტონომიის მომხრეები აჭარის რაიონების ჩამორჩენილობის დაძლევას (რაც შეიძლება სწორედ ავტონომიის არსებობის ბრალი იყოს) ავტონომიის შენარჩუნებით ცდილობენ (ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებენ!)

4. საფუძვლიანადაა გამოსარკვევი, თავდაპირველად რატომ უნდოდა საქართველოს მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს აჭარის დედაქალაქი ყოფილიყო ქედა, ხოლო ქალაქი ბათუმი არ შესულიყო აჭარის ავტონომიის შემადგენლობაში და იგი გამოცხადებულიყო დამოუკიდებელ რაიონად საკუთარი „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით“. ეს საკითხი დაუყოვნებლივ გარკვევას საჭიროებს, რადგანაც იგი ადგილობრივ მოსახლეობაში გარკვეულ ეჭვსა და შიშს იწვევს (ავტონომიის გაუქმებით, რაღაცას ხომ არ გვიმზადებენო, ფიქრობენ ისინი ზემოაღნიშნული გარემოების გამო) და; რაც მთავარია, ავტონომისტები ამ ფაქტით მარჯვე სპეკულაციას ეწევიან მოსახლეობაში. გაირკვეს ეს საკითხი და ნუ მოვერიდებით იმის თქმას, თუკი ვინმეს ეშლებოდა ნებით თუ უნებლიედ, ან კიდევ ამას სუბიექტური ან კუთხური მოსაზრებით აკეთებდა. ნუ შეგვეშინდება ამის თქმისა, რამდენადაც ეს ხომ არ ყოფილა სრულიად საქართვე-

ლის ნება და ქმედება. აქ სიტყვა ქართველ ისტორიკოსებს ეკუთვნით.

ნ. საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმის გარკვევას, ქმნის თუ არა ავტონომია დამატებით ბიუროკრატიულ ბარიერს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში. საჭირო იქნება იმის გარკვევაც თუ რა ზიანი მოაქვს ავტონომიას ხალხისათვის მორალურად, საქართველოს მთლიანობის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, სიტყვა ამ კუთხის შვილებს ეკუთვნით.

წერილში დაყენებული საკითხებისა თუ პრობლემების ობიექტურმა გამოკვლევამ ქართველი ხალხი უნდა გაარკვიოს საქმის რეალურ ვითარებასა და აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობაში. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს საწინააღმდეგო თვალსაზრისების გათვალისწინებით. ამ საკითხების განხილვაში აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა აჭარის ავტონომიის არსებობის როგორც მომხრეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმა. ვინც აჭარის ავტონომიის შენარჩუნებას იცავს, მაინც და მაინც საქართველოს მტრებად არ უნდა ჩაითვალონ. ხომ შეიძლება ბევრმა მათგანმა (თუ აბსოლუტურმა უმრავლესობამ არა) საქმის რეალური ვითარების გაცნობის შემდეგ პოზიციაც შეიცვალოს. სწორედ ამ დისკუსიებსა და საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შედარების საფუძველზე უნდა წარმოჩნდეს აჭარის ავტონომიის არსებობის მართებულობა-უმართებულობა. ეს კი საბოლოოდ ქართველ ხალხს გაანთავისუფლებს არასწორი წარმოდგენებისაგან (რა თქმა უნდა, იგულისხმებიან ისინი, ვისაც არასწორი წარმოდგენა აქვთ როგორც აჭარის ავტონომიაზე, ისე იქ მცხოვრებ ხალხზე). რაც შეეხება რეფერენდუმს, მას უნდა მივმართოთ მხოლოდ, როგორც ხალხის ნების დამადასტურებელს.

P. S. წერილის დაწერიდან რამდენიმე თვეზე მეტი გავიდა და თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, როცა სიტუაციები სწრაფად იცვლება, დროის ეს მონაკვეთი არც თუ ისე ცოტა უნდა იყოს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს წერილში დაყენებული ზოგიერთი პრობლემა უფრო აქტუალური გახდა, ზოგიც შეიძლება მოძველდა კიდეც. ამაში დამარწმუნა შეხვედრებმა, რომლებიც ზაფხულის თვეებში მქონდა აჭარაში. ამ შეხვედრებზე, რომლებიც ზოგჯერ სამ საათზე მეტ ხანსაც გრძელდებოდა, დიალოგის ძირითადი თემა იყო — საქართველოს ეროვნული მოძრაობის დღევანდელი მდგომარეობა, აჭარის ავტონომიისა და რელიგიური ორიენტაციის საკითხები.

შეხვედრებზე მსმენელები აღნიშნული საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ და გაბედულად გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს. ამ შეხვედრებისას ნათლად გამოიკვეთა ისიც, რომ გარკვეულ ძალებს საკმაოდ დაძაბულად უმუშავიათ მოსახლეობის დეზინფორმაციისათვის. სხვას რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილში მტკიცედ გამჯდარა აზრი, თითქოსდა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში თბილისი(!) დაიმონებს(!) აჭარას, აჭარლებს ძალით გააქრისტიანებენ, ადგილობრივ კადრებს აღარ დანიშნავენ თანამდებობებზე და ა. შ. პირადად ჩვენ რამდენიმეჯერ მოგვიხდა გამოსვლა იმ აუდიტორიაში, სადაც ცოტა ხნით ადრე სხვა ჯგუფს ჰქონდა შეხვედრა, რომლის წევრებიც სწორედ ამგვარ დემაგოგიურ მოსაზრებებს აცნობდნენ მსმენელებს. საზოგადოება „ცოდნის" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას (თავმჯდომარე — შოთა თურმანიძე) უარი უთქვამს ამ ჯგუფის რაიონებში მივლინებაზე. საგანგებოდ მოვიკითხე ინსტანციები, რომელთა ეგიდითაც შეიძლებოდა ეს ჯგუფი წასულიყო რაიონებში „სამოღვაწეოდ", მაგრამ ყველგან გაიკვირვეს ამ ჯგუფის საქმიანობაზე. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს ჯგუფი დადიოდა რაიონებში და მათ ხალხმრავალ აუდიტორიებსაც ახვედრებდნენ. ვფიქრობთ, დროა პირუთვნელად ითქვას ამ ჯგუფის „მოღვაწეობაზე" და ყველას და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი.

# მხოლოდ სამშობლოს წინაშე



გვიბრუნდებიან ემიგრანტები, მათი ტაბუდადებული სახელები, ამ ადამიანებთან ერთად გვიბრუნდება ჩვენი ისტორიის ის უცნობი ფურცლები, მხოლოდ მათ მეხსიერებასღა რომ შემორჩა, მაგრამ აქაც სიფრთხილე გვმართებს, ობიექტურობის გრძნობა არ უნდა დავკარგოთ, რათა ერთი უსამართლობა მეორეთი არ შეიცვალოს...

საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა დღევანდელობაც ჩვენი მუდმივი ინტერესის საგანი უნდა იყოს, მითუმეტეს, თუ ქართული საქმის კეთება სამშობლოდან შორს მყოფთაც, თავის უპირველეს მოვალეობად გაუხდიათ; საბედნიეროდ, ასეთები ბევრნი არიან. დღეს ერთ-ერთ მათგანს, **ლადო ბაბიშვილს** გაგაცნობთ.

— ბატონო ლადო, თქვენ საინტერესო ცხოვრების გზა განვლეთ. ალბათ, მკითხველს დააინტერესებს თქვენი მოკლე ბიოგრაფია.

— დავიბადე აბაშაში, დედულეთში. თერთმეტი დღისა ფოთში გადამიყვანეს და შემდეგ მთელი თვრამეტი წელი იქ ვიცხოვრე. ვსწავლობდი რკინიგზის საშუალო სკოლაში, მაგრამ ბოლო წელს სკოლიდანაც გამომაგდეს და კომკავშირიდანაც გამრიცხეს. მიზეზი? ერთი ქალიშვილისადმი ტრფობა არ მაპატიეს... როგორც იქნა, დავამთავრე ნაბადის საშუალო სკოლა. 20 ივნისს სიმწიფის ატესტატი მომცეს. მეორე დღეს კი ომი დაიწყო, ჯარში გამიწვიეს.

ორი თვე ბაქოში დავყავით, შემდეგ კი ერევანში, ქვეით ნაწილში გაგვამწესეს. 1942 წლის მაისში წაგვიყვანეს ფრონტზე, ვიბრძოდი ყაბარდო-ბალყარეთის ოლქში, ხარახურას მთებთან. ნოემბერში ტყვედ ჩავვარდი.

ჩვენ გვასწავლიდნენ, გვარწმუნებდნენ, რომ ყველა გერმანელი ტირანი, დესპოტი და არაადამიანი იყო; მერწმუნეთ, გაუსაძლის პირობებში მიხდებოდა ცხოვრება, მაგრამ კეთილი ადამიანები, კარგი მოპყრობა უფრო მეტი მახსოვს: თუმცა ამაზრზენი ეპიზოდებიც ბევრი ყოფილა: ხალხი შიმშილით იხოცებოდა, კაცი კაცის ხორცს ჭამდა. როგორ დავივიწყებ იმ უბრალო ადამიანებს, განსაკუთრებით კი ქალებს, რომლებიც უკანასკნელ ლუკმას სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად გვანაწილებდნენ ტყვეებს. მაგრამ კეთილი ადამიანები, კარგი მოპყრობა უფრო მეტი მახსოვს.

რადგან გერმანული ენა ვიცოდი, მუშათა რაზმში გადამიყვანეს. მოვიარე დანია, საფრანგეთი, ავსტრია. ომის დასასრულმა დანიაში მომისწრო. იქედან გერმანიაში, ტურინგიის ოლქში გადმგვიყვანეს, სადაც ამერიკელები იყვნენ. შემდეგ ეს ოლქი რატომღაც საბჭოთა კავშირს გადაეცა, მე კი ამერიკელებს გავყევი და მიუნხენში დავსახლდი.

1950 წელს პირველად ჩავედი ამერიკაში. ვცხოვრობდი ლონგვაჩში. ბევრი უსიამო სამუშაოს შესრულება მომიხდა, მაგრამ თანდათან ინგლისური შევისწავლე და პირობებიც გავიუმჯობესე. 25 წლისამ ლოს-ანჯელესში, კოლეჯში დავიწყე სწავლა. სპეციალობით დიზაინერი ვარ.

საქართველოში ცხოვრობდნენ ჩემი და, ბიძაშვილები და მამიდაშვილები. მათ 1960 წლამდე, სანამ საგასტროლოდ ჩამოსული სუხიშვილების ანსამბლის წევრებს პატარა ბარათი არ გამოვატანე, არაფერი იცოდნენ ჩემს შესახებ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად მთვლიდნენ...

რამდენჯერმე მთხოვეს „ამერიკის ხმის" ქართულ განყოფილებაში დამეწყო მუშაობა. 1971 წელს მივედი რედაქციაში, რომელსაც მაშინ მერაბ კვიტაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ 1988 წლამდე, პენსიაში გასვლამდე, ვიმუშავე.

ორმოცდაათი წლის შემდეგ პირველად ვარ საქართველოში. თავი სიზმარში მგონია, დროის შეგრძნება საერთოდ დავკარგე. ყოველი შეხვედრა ძველ ნაცნობ-მეგობრებთან, ნათესავებთან ძალზედ ამაღელვებელია.

— ბატონო ლადო, თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით „ამერიკის ხმაში" მუშაობის წლებზე.

— საინტერესო, ცოცხალი მუშაო იყო, სასარგებლო როგორც ჩვენთვის, ემიგრაციისათვის, ასევე აქ მყოფთათვის, ძირითადად ხელოვნებით ვიყავი დაინტერესებული. ვწერდი თეატრზე, კინოზე, მუსიკაზე, ვცდილობდი ყველა ჩამოსული ქართველი მენახა. დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს მაყვალა ქასრაშვილთან. პირველი ქართველი ქალი იყო, ვინც მეტროპოლიტენ ოპერაში იმღერა (პირველი ქართველი კი ივანიძე იყო). ამავე სცენაზე დიდ წარმატებებს მიაღწია პაატა ბურჭულაძემ.

მინდა გამოვყო რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი გამარჯვებები. თავად დავესწარი „მეფე ლირს" და მოწმე გავხდი რუსთაველელთა წარმატებისა.

ამერიკელი მაყურებელი აღაფრთოვანა ანსამბლ „რუსთავის" გამოსვლებმა.

ძალიან დიდია ინტერესი ქართველი რეჟისორების ფილმების მიმართ, ეს იმითაც აიხსნება, რომ სხვა საბჭოთა ფილმებისგან განსხვავებით, მათ გამბედაობა, იუმორი, სილაღე ახასიათებთ. ხოლო ნამდვილი სენსაცია თენგიზ აბულაძის „მონანიებამ" მოახდინა.

ძალიან რთული, დაძაბული პერიოდი იყო, ძნელად თუ ვინმე გაბედავდა და ინტერვიუზე დაგვეთანხმებოდა, ახლა დრო შეიცვალა... ეს დიდი ხნის ამბავია: ელდარ შენგელაია დათანხმდა „ამერიკის ხმის" რუსულ რედაქციას და მისცა ინტერვიუ. მაგრამ ბატონმა ელდარმა იმ დროისათვის მართლაც ვაჟკაცობა გამოიჩინა — კითხვებს ქართულად პასუხობდა.

ჩვენ ეთერში არ გადავცემდით იმ ინფორმაციას, რომელიც სამი სხვადასხვა წყაროდან არ გვქონდა მიღებული, შემოწმებული. ეს აუცილებელი პირობა იყო, რათა გაუგებრობა აგვეცილებინა თავიდან.

დღეს „ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციას არ ჰყავს საკმარისი კადრი. ქართველები ცოტანი ვართ უცხოეთში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. ისრაელში ჩასულ ქართველ ებრაელთა იმედი გვაქვს. ერთ აუცილებელ პირობას იქაური თანამშრომელი უნდა აკმაყოფილებდეს — ინგლისურიც უნდა იცოდეს და ქართულიც. იმედია, ეს პრობლემა გადაიჭრება, მაგრამ არა სამშობლოდან წამოსულ ახალ ემიგრანტთა ხარჯზე. არა მგონია, დღეს რომელიმე ქართველს საქართველოდან წასვლის სურვილი გაუჩნდეს. ქართული საქმე დღეს საქართველოში კეთდება მხოლოდ.

უკვე პენსიაზე ვარ, მაგრამ ახლაც ვთანამშრომლობ მათთან. კავშირი მაქვს საფრანგეთში გამომავალ ჟურნალ — „გუშაგთან". ბოლო დროს გავაშუქე „კეთილი ნების" თამაშების დროს ჩატარებული ერთგვარი „საქართველოს დღეებ[illegible]დინარეობა. (ხრა[illegible]ალის შემდეგ ქართვე[illegible]ჰიანა ჰილინსკიმ ჩაატა[illegible]უმი საქართველოს შეხახ[illegible]. ძწუხაროა, რომ მოწვეუ[illegible]არ ჩამოვიდნენ. ველოდით [illegible] მენაღარაშვილს, მაგრამ [illegible] ვლად ორი ექიმი ჩამოვიდ[illegible], რომელნიც პირადი ბიზნესით [illegible] იყვნენ დაინტერესებულნი, [illegible]დრე საქვეყნო საქმით. გული მეტკინა, ამის შესახებაც ვწერდი...

— იცნობენ თუ არა ამერიკაში საქართველოს?

— არ გვიცნობენ, იქ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ყველა მოვლენა რუსეთთანაა გაიგივებული. შტატებში მცხოვრები ემიგრანტები ვცდილობთ სინამდვილე წარმოვაჩინოთ, მაგრამ ამის მიღწევა ძალიან ძნელია. ცოტა იცნობს საქართველოს, თანაც ისინი, ვინც ჩვენს ქვეყანაშია ნამყოფი. ეს მცირე ნაწილი აღფრთოვანებულია საქართველოთი. ისინი სტუმრები არიან და იმდენი ტაქტი ჰყოფნით, რომ ცუდი არ დაინახონ. გამოჰყოფენ ჩვენს კეთილშობილ ბუნებას, სტუმართმოყვარეობას. მაგრამ მე სტუმარი არა ვარ და უფლება არა მაქვს გულის ტკივილით არ აღვნიშნო, რომ საქართველოში დიდი ხნის შემდეგ დაბრუნებულს თვალში მომხვდა მომსახურების დაბალი დონე, მოუწესრიგებლობა, ყოფა-ცხოვრების სხვა ნაკლოვანი მხარეები.

— ანსამბლმა „რუსთავმა" ამერიკიდან ჩამოიტანა ქართველ ემიგრანტთა არქივები, ორიოდე სიტყვით ამის შესახებაც.

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ქართველებს უნდა იცნობდნენ მსოფლიოში, მაგრამ საქართველომაც უნდა იცოდეს, რა ხდება ემიგრაციაში, რომელსაც ბევრს ლანძღავდნენ, ცილს სწამებდნენ, ისინი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ ქართული საქმისათვის, სამშობლოსთვის არასოდეს უღალატნიათ. ამ არქივების საქართველოში ჩამოტანაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

სასიხარულოა, რომ ბატონი ანზორ ერქომაიშვილი დაინტერესდა ამ საკითხით. როგორც შემეძლო, ორგანიზება გავუკეთე ყველაფერს, შევაგროვეთ საჭირო მასალა და საქართველოში გამოვაგზავნეთ.

პირადად მე, ბატონ ანზორს გადავეცი ჩემი ინტერვიუ უხუცეს ქართველ ემიგრანტთან პროფესორ ნაკაშიძესთან. გარდა ამისა, არქივებში ბევრი სხვა საინტერესო მასალაა.

— თანამედროვე ქართულ ლიტერატურას თუ იცნობთ?

— ვკითხულობ ყველაფერს, რაც კი ხელში ჩამივარდება. თანამედროვე მწერალთაგან ძალიან მომწონს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები. ვთარგმნე კიდეც მისი რამდენიმე მოთხრობა, სამი მათგანის დაბეჭდვა მოვ[illegible]რხე. გამოსაცემად მზად მაქვს „[illegible] ბაირაღები". იმედი მაქვს, ანმეს დავაინტერესებ ამ წიგნის გამოცემით. სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურას ამერიკაში არ იცნობენ.

თქვენი გაზეთი გვიან მოდის ჩვენამდე. მაგრამ შეძლებისდაგვარად ვცდილობ, საინტერესო პუბლიკაციები ვთარგმნო და გამოვაქვეყნო. საერთოდ, ამერიკაში სერიოზულ ქმნილებებს ცოტა ჰყავს მკითხველი, იქ დღეს ე. წ. „საპნის ოპერის" ჟანრის ქმნილებებია მოდაში. მაგრამ მჯერა, რომ ამერიკელი მკითხველი დაინტერესდება ქართული ლიტერატურით.

— ჩვენი ემიგრაციის, ან პირადად თქვენს აზრს ხომ ვერ მოგვახსენებდით დღეს საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე?

— არა მგონია, ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მე ზღვის ერთი წვეთი ვარ მხოლოდ. როგორც საქართველოში, ჩვენს ემიგრაციაშიც აზრთა მრავალფეროვნებაა მიმდინარე პროცესებზე. ძირითადად სოციალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს ემხრობიან.

მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი და იმ აზრს ვიზიარებ მხოლოდ, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოს იხსნის, შვებას მოუტანს. აქედან გამომდინარე, არ ვეთანხმები ბევრ რამეში ედუარდ გუდავას, იგი ერთგვარ ოპორტუნისტადაც კი მიმაჩნია. ჩემთვის მიუღებელია მისი პოლიტიკური შეხედულებები. უკვე ვახსენე 9 აპრილის შემდეგ ჩატარებული სიმპოზიუმი. ბატონი ედუარდ გუდავა იქაც გამოვიდა. მისი სიტყვა არ იყო საქართველოს საკეთილდღეოდ მიმართული. კვლავ ვიმეორებ, იქნებ მე ვცდები, მაგრამ მისი პოზიცია არ მიმაჩნია სწორად.

რაც შეეხება უკვე ჩატარებულ კონგრესის არჩევნებს, ჩემთვის გაუგებარია მისი ჩატარების მიზანი. ეს თუ მთავრობის არაოფიციალური, რეალურ ძალას მოკლებული ოპოზიციაა, რა საჭირო იყო ამგვარი არჩევნები. თავად პარტიებში, უნდა ჩატარებულიყო არჩევნები გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები ამ ორგანოში, ერთგვარ სათათბიროში. საერთოდ, რომელიმე ორგანო რომ აღიარონ (მითუმეტეს, დასავლეთმა) ამისათვის ოფიციალური სტატუსია საჭირო.

ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ კვლავ ვიმეორებ: კონგრესის არჩევნები ფინანსების, ენერგიის, დროის დაკარგვა იყო.

— როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი?

— საქართველოს მომავალი, ქართველ ხალხზეა დამოკიდებული. ვერაფერი გადაგვარჩენს თუ წესრიგს, სიმტკიცესა და ერთიანობას არ მივაღწიეთ.

წარსულის კრიტიკას თავი უნდა ვანებოთ, რაც მოხდა, ომარ ხაიამის თქმისა არ იყოს, წყალს გაჰყვა, მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საქართველო ცივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი გახდეს.

ავტორი, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ფრანგული ენის მასწავლებელი, სამამულო ომის მონაწილეა. გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. მოიარა ტყვეთა სხვადასხვა ბანაკი ჯერ პოლონეთში, შემდეგ საფრანგეთში, სადაც შეხვდა ომის დამთავრებას და სადაც გაატარა 21 წელიწადი. იგი საფრანგეთის პარტიზანული მოძრაობის მონაწილეა.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა მსხვერპლი გაიღეს ებრაელებმა მეორე მსოფლიო ომში, თუ რა ელოდათ მათ ყველა ქვეყანაში, სადაც კი გერმანელები შევიდოდნენ.

ვის არ სმენია იმ საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, ასიათასობით ებრაელს ენით გამოუთქმელი ტანჯვა-წამებით სიკვდილი რომ არგუნეს.

და აი, ასეთ საბედისწერო ჟამს, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ბეწვზე ეკიდა, პარიზის ქართულ კოლონიას არც ერთი ქართველი ებრაელი არ დაუკარგავს, გერმანელების მსხვერპლი ისინი არ გამხდარან და ომის დამთავრებას ყველანი უკლებლივ შეხვდნენ.

ნაწილობრივ ვიცოდი ეს დაუჯერებელი ამბავი და მიკვირდა, როგორ მოხდა სასწაული.

მითხრეს, ამ საქმეში დიდი წვლილი იოსებ ხანანაშვილს მიუძღვის, მის მიერ წარდგენილმა არგუმენტებმა გადაწყვიტა ებრაელ მოძმეთა ბედის საკითხიო.

ვეძებდი შემთხვევას, სადმე პირისპირ შევხვედროდი მას და დაწვრილებით მომესმინა ყველაფერი...

და აი ერთ კვირა დღეს ის-ის იყო მეტროში ჩასვლას ვაპირებდი, რომ იოსებმა მომკრა თვალი, შორიდან მანიშნა, არ ჩასვიდე, დამიცადეო:

— სად მიიჩქარით, ბატონო სერგო, ამ კვირა დღეს ასე გულდაგულ? — მკითხა და პასუხს არც დაელოდა. — თუ მიიღეთ საბუთები და თუ მუშაობთ სადმე?

უკვე ვმუშაობ და ყველაფერი წესრიგში მაქვს-მეთქი, მოვახსენე.

— მაშ ყველაფერი კარგად ყოფილა. თქვენ, ყოფილი ტყვეები, ამ მხრივ უფრო რეალისტები აღმოჩნდით, ყველა სადღაც მუშაობთ. — მერე ხელი მკლავზე ჩამჭიდა და ტკბილად მომმართა: — თქვენ ახლა მე წამომყვებით, სოფელში მივდივარ, რაღაც ორმოცი წუთის სავალზე, ვერსალთან ახლოს, ჩემს ოჯახს გაგაცნობთ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავთ, ვისაუბრებთ, უკეთ გავეცნობით ერთმანეთს, წამოხვალთ... წამოხვალთ... უარი არ მითხრათ, — დაურთო მან, როცა ყოყმანი შემატყო.

იოსები პატარა ტანის კაცი იყო, თავისი ასაკისათვის ძალზე ცოცხალი, მოძრავი. საკმარისი იყო ხმა ამოეღო, გამოგესაუბრებოდათ, ღიმილი მოჰფენოდა და მეტყველი თვალებით შემოეხედა, რომ მაშინვე სიმპათიას დაიმსახურებდა.

ისეთი დამაჯერებელი ლაპარაკი იცოდა, იმდენ ადამიანურ სითბოს გაგრძნობინებდათ, რომ რაღაც ძალა გემატებოდათ და გინდოდათ მის გვერდით დიდხანს დარჩენილიყავით. ამიტომ სიამოვნებით წავყევი, თან გულის სიღრმეში სულ მახსოვდა, რომ მეძლეოდა საუკეთესო შემთხვევა ჩემთვის საინტერესო საკითხზე მესაუბრა მასთან.

ეზოში შემოგვეგება იოსების შვილიშვილი ათი-თორმეტი წლის გოგონა, რომელსაც თურმე თვალი მუდამ ჭიშკრისკენ ეჭირა ბაბუამისის მოლოდინში.

იოსებმა ცოლს შორიდან ახარა, როზა, სტუმარი მოგიყვანეო და ოჯახი გამაცნო. შემდეგ გულმოდგინედ დამათვალიერებინა იქაურობა. მართალია, სახლი მაინც და მაინც თვალისმომჭრელი არ იყო, მაგრამ ეზო და ნარგავები ნამდვილად მოეწონებოდა მნახველს. ბოლოამაყით მომატარა ყოველი ხის ძირი, ბოსტანი, ყანა. თქვა, რომ ყველაფერს თვითონ უვლიდა და ამუშავებდა, როცა პარიზიდან ამოდიოდა კვირაში ერთხელ. ნელ-ნელა თითქმის მთელი ეზო მომატარა და თანდათან სადილის მომზადების ფაციფუცში მყოფი როზასკენ აგვიღეთ გეზი.

ქალბატონ როზას სადილი, თითქმის ყველაფერი თავიანთ ეზოში მოწეულით მოემზადებინა. სუფრაზე ნიგვზით და ქინძით შეკმაზული მჟინტი ლობიოს დანახვამ იოსებს ახალ თემაზე ლაპარაკის საბაბი მისცა:

— ჩემო სერგო, პარიზი ისეთი ქალაქია, რომელი ქვეყნის რესტორანი გინდა არ ნახო აქ, რა ჯურის საჭმელი არ იგემოს კაცმა, მაგრამ როზა რომ მჟინტ ლობიოს აკეთებს ნიგვზით და ქინძით, ასეთ რამეს პარიზის ვერც ერთ რესტორანში ვერ ნახავ.

ფრანგები საერთოდ არ ხმარობენ ქინძს. როდესაც ფრანგები ქართულ სუფრაზე მოხვდებოდნენ, ქინძიანი საჭმლის გასინჯვისას მოურიდებლად აიბზუკდნენ ხოლმე ცხვირს.

იოსებმა სარდაფიდან ღვინო ამოიტანა. სუფრაზე თამადობა თვითონვე ითავა და საინტერესო სადღეგრძელოებით, თან მოსწრებული ანეკდოტებით სუფრას მეტი ეშხი და ლაზათი შემატა.

სულ მოკლე ხანში ფრანგულმა ღვინომ [illegible]ისი ქნა. იოსებს სიწითლე შეეპარა, [illegible]ახმელმა კიდევ უფრო ალაგზნო [illegible]სედაც მეტყველი სულ [illegible]ვაგად იქცა.

დიდი პატივით [illegible]სვა სამშობლოს სადღეგრძელ[illegible]

— სამშობლო [illegible]ს ყველას, რომელი კუთხის შვ[illegible]ც არ უნდა იყოს იგი, მაგრამ უცხოეთში მყოფი ადამიანი მაინც განსაკუთრებით განიცდის მას. სიმდიდრის ფასს მაშინ შეიტყობენ, როცა შეიძენენ, სამშობლოსას კი მაშინ, როცა დაკარგავენო. სხვის მიწა-წყალზე შეხიზნულ კაცს მუდამ ახსოვს, რომ იგი თავისი ქვეყნის სარკეა. უცხოელები ამ სარკეში ხედავენ იმ ქვეყანას, რომლის შვილიც შენ ხარ. აქ რომ ემიგრანტმა საძრახისი საქმე ჩაიდინოს, ცუდი სახელი დაიმსახუროს, იმას კი არ იტყვიან, იოსებმა ან სერგომ შეირცხვინა თავიო, არამედ ქართველმაო. აქ ისეთი გრძნობა უნდა გვქონდეს, თითქოს თან წამოგვყვა ჩვენი სამშობლო, მხრებზე გვყავს იგი აკიდებული და წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ჩვენთაგანი თავისი ქვეყნის დესპანია. მუდამ უნდა ახსოვდეს ყველას, რომ საკუთარი მოქმედებით შეიძლება ასახელო შენი ქვეყანა და შეიძლება სახელიც გაუტეხო მას. აქ ერთხელ ერთ ქართველს, არ გეტყვი მის სახელს, საძრახისი საქმე შეემთხვა. დაიჭირეს, პოლიციაში მიიყვანეს და როცა ეროვნება ჰკითხეს, დამალა, არ თქვა, რომ ქართველი იყო. კაცი შეცდა, რაღაც უბედურებაში ჩაება თუ ჩაითრიეს, მაგრამ იმის ნამუსი მაინც შერჩა, თავისი ქვეყანა არ შეარცხვინა. ეროვნება არ გაამხილა. სამშობლო ბევრ რამეს გვავალებს, ჩემო კარგო, თუ სიკეთეს ვერ მოვუტანთ, ცუდს მაინც ნუ ვუზამთ.

იოსებმა ახლა პარიზის კოლონიაზე დაიწყო საუბარი.

— ემიგრაცია, რომლის ახალი წევრი, სერგო ბატონო, თქვენ გახდით და ჯერ კიდევ კარგად არ იცნობთ, ძალზე ჭრელია. აქ თეთრი და შავი, ვარდი და ჭინჭარი ერთადაა არეული. აქ იმდენი პარტიაა, რომ თქვენ, ახალმა კი არა, მე არ ვიცი, რამდენი დაჯგუფება გვაქვს. და არის კრებებზე გამაყრუებელი ყაყანი. ისე კი, რომ თქვას კაცმა, კინკლაობენ, მაგრამ მაინც არ შეუძლიათ ურთმანეთოდ გაძლება. სიყვარულის გრძნობა უფრო ძლიერია მათში, ლხინია თუ ჭირი, ქორწილი თუ ტირილი, მაინც ერთად ვართ...

ერთი სული მქონდა მეკითხა იოსებისთვის, თვითონ თუ ეკუთვნოდა რომელიმე პარტიას. თითქოს მიმიხვდაო, თავად თქვა:

— მეც ავყევი ერთხანს ამ პარტიულ უკუჭექიაობას, მაგრამ მალე მივხვდი, რომ წყლის ნაყვა იყო და თავი მივანებე. დარწმუნებული ვარ, ამ პარტიებს თქვენზე, ყოფილ ტყვეებზე თვალი უჭირავთ, უსათუოდ შეეცდებიან მიგიზიდონ, „გიპატრონონ“, როგორც იციან თქმა, თავიანთ პარტიაში ჩაგრიცხონ. მაგრამ არ შეცდეთ: პოლიტიკანობა თქვენი საქმე არაა. თქვენ აქ, ევროპაში, სხვა რამ უნდა შეიძინოთ. ევროპა ამჟამად პოლიტიკურად, მართალია, დიდ როლს აღარ თამაშობს, პოლიტიკურმა ცენტრმა ახლა სხვაგან გადაინაცვლა, მაგრამ კულტურის ცენტრად მაინც რჩება და დიდხანსაც დარჩება ასეთად. ცივილიზაცია შეიძლება მოკლე დროში მიიღოს ქვეყანამ, კულტურას კი საუკუნეები სჭირდება. გუშინდელი ველურები დღეს ცივილიზებული ხდებიან, მაგრამ კულტურისაგან ჯერ კიდევ შორს არიან. კულტურა ისაა, რაც დარჩება, როცა ყველაფერი დაგავიწყდებათ, თქვა ერთმა ჭკვიანმა ფრანგმა და რაკი თქვენ ბედმა თუ უბედობამ კულტურის ამ ცენტრში ამოგაყოფინათ თავი, უნდა ისარგებლოთ, ეზიაროთ მას. არ უნდა გაფლანგოთ დრო უაზროდ. დაკარგული შეიძლება ყველაფერი დაიბრუნოს ადამიანმა, დაკარგული სამშობლოც იხილოს იქნებ ერთ დღეს კაცმა, ამ იმედით სძლებს და სულდგმულობს ყველა ემიგრანტი უცხოეთში, მაგრამ დაკარგულ დროს, იცოდეთ, ვერასოდეს დაიბრუნებთ. ამიტომ ყველაფერი უნდა ილონოთ, რომ იგი გონივრულად გამოიყენოთ. ახალგაზრდებს თუ მოგეცათ შემთხვევა და სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა სადმე გამოჩნდა, უნდა გამოიყენოთ იგი, არ ქნათ ისე, როგორც ეს მოხდა ომის წინ, მდივნების მიერ დანიშნული სტიპენდიით რომ ვერ ისარგებლეს მაშინდელმა ახალგაზრდებმა და ხელიდან გაუშვეს მშვენიერი შემთხვევა.

აქ იოსებმა მოიგონა მდივნების ისტორია. ჯერ კიდევ მანამდეც მსმენოდა ამ ძმებზე. ბევრჯერ უამბიათ, თუ როგორ შეირთეს ულამაზესი და უმდიდრესი ქალები და ზღაპრული სიმდიდრის მფლობელნი გახდნენ.

როგორ მოახერხეს ემიგრანტმა უმაწვილებმა ასეთი „კარიერის“ გაკეთება, მაღალ წრეებში შეჭრა, გამდიდრება, მით უმეტეს, რომ ვიცით, რა სიძნელეები ელობება ყველა უცხოელს სხვის ქვეყანაში გზის გასაკაფავად.

უცხოეთში დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ რომელი სოციალური წრიდანაა წარმოშობით.

თვით ამ დემოკრატიულ საფრანგეთშიც, სადაც პირველად დაირწა რევოლუციის აკვანი და გაისმა ადამიანის უფლების ხმა, იშვიათად ქორწინდებიან სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები ერთმანეთში.

ძმებს მდივნებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ წარმოშობით იყვნენ მაღალი არისტოკრატული წრიდან. მოწმეების საშუალებით, როგორც ეს ჩვეულებრივ შესაძლებელია დასავლეთის ქვეყნებში, მათ მოიპოვეს ეს წოდება — თავადიშვილობა.

მადა ჭამაში მოდისო და მალე ისინი თავადიშვილები კი არა, უფლისწულები გახდნენ. აქ ენის და თარგმნის ნიუანსებმა ითამაშა გარკვეული როლი: ფრანგული სიტყვა „პრენს“ რუსულად და ქართულად ითარგმნება თავადიშვილად და უფლისწულადაც. მდივნებმა თარგმნის ეს უზუსტობა თუ ენის ნიუანსები მოხდენილად გამოიყენეს. ისინი, თითქოს მათდაუნებურად, უფლისწულებად, ე. ი. მეფის ჩამომავლებად იქცნენ.

ახლა ძმების წინაშე მაღალი არისტოკრატიული წრის კარი ფართოდ გაიღო, ისინი ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

უფროსმა ძმამ, ალექსიმ შეირთო მილიარდერის, ამერიკის დიდი მაღაზიების მფლობელის ასული — ბარბარა ჰუტონი, მეორე ძმამ კი — ცნობილი მსახიობი პოლა ნეგრო. გაზეთების ამონაჭრებში მახსოვს იყო ერთ-ერთი ინტერვიუ, სადაც ჟურნალისტი ეკითხება უფროს ძმას: თუ შეიძლება გაგვიმხილოთ თქვენი საიდუმლოება, არც ერთი არა ხართ განსაკუთრებული სილამაზისა, მაშ რითი ხიბლავთ ამ ულამაზეს და უმდიდრეს ასულებსო.

უფროსმა მდივანმა სრულიად უბრალოდ უპასუხა: მთელი საიდუმლოება ქალის გულის მოსაგებად იმაშია, იცოდეთ მისი გულის მოსმენაო.

სწორედ ამ უფროსმა ძმამ არ დაივიწყა პარიზში მყოფი თანამემამულეები და დანიშნა რამდენიმე სტიპენდია, მგონი 15.

სამწუხაროდ, კარგად დაწყებულ საქმეს კარგი ბოლო არ ეწერა. ატყდა თურმე შურიანობა სხვადასხვა დაჯგუფებას შორის და ამერიკიდან მდივნის ყოველ ჩამოსვლაზე იყო დასმენა, ამბების გაზვიადება. ერთხელაც გაბრაზებულმა მდივანმა ყველას მოუხსნა სტიპენდია და მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს სწავლის გაგრძელება...

აი, ეს ამბავი მოიგონა იოსებმა და თან დასძინა, თუ ვინიცობაა გამოჩნდეს კიდევ ვინმე ღვთისნიერი და დანიშნოს სტიპენდიები, უკეთ გამოიყენეთო.

უნდა ითქვას, რომ, დასავლეთის ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებულია საქველმოქმედო საზოგადოებები და ქველმოქმედება.

მდიდარი პირები, უმეტესად მრეწველები, ამას ეწევიან სხვადასხვა მოსაზრებით: ზოგი რეკლამისათვის, რათა თავის ნაწარმს სახელი გაუთქვას; ზოგი პატრიოტული მოსაზრებით, თავისი ქვეყნის ბედზე გული შესტკივა და სურს მის საკეთილდღეოდ ილვაწოს.

ჩვენს პატარა საქართველოსაც ჰყოლია წარსულში ქველმოქმედი მრეწველები, როგორც, მაგალითად, პირველი ქართული კონიაკის შემქმნელი, სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი, ხოშტარია და სხვები.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დღეს ევროპაში სტიპენდიებს მხოლოდ ქველმოქმედები ნიშნავდნენ. სახელმწიფოც უნიშნავს სტიპენდიას მხოლოდ იმათ, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან საგანგებო ნიჭით და მათგან სახახელო მეცნიერის დადგომას მოელიან.

ასეთი შემთხვევა პარიზის ქართულ სათვისტომოშიც იყო, როცა ზალდასტანიშვილების ოჯახიდან ერთ-ერთმა ძმამ, ოთარმა მათემატიკაში განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა; მას სტიპენდია დაუნიშნეს და ამერიკაშიც კი მიავლინეს. დღეს ისეთი ცნობილი მეცნიერი გამხდარა, რომ სახელოვანი ადამიანების წიგნში შეუტანიათ.

...თითქოს ბატონ იოსებს ენამ უყივლაო, სწორედ მომდევნო წელს, 1947 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, ქალბატონმა მარიამ ლოლობერიძემ დარეკა ქალბატონ თამარ ჯაველიძე-რუხაძის ოჯახში, სადაც ერთ დროს ვცხოვრობდით რამდენიმე ყოფილი ტყვე, მიმიხმო ტელეფონთან და მითხრა, საინტერესო საქმეზე გიბარებთო.

ქალბატონი მარიამი იყო პარიზის ქართული სათვისტომოს სული და გული. შეუძლებელი იყო საქველმოქმედო მიზნით კოლონიაში რაიმე ღონისძიება ჩატარებულიყო, რომ მონაწილეობა არ მიეღო, ეს იქნებოდა საღამოების მოწყობა, მოხუცთა სადმე დასასვენებლად გაგზავნაზე ზრუნვა თუ ვინმეს უბედური შემთხვევა... მარიამი იქ ერთი პირველთაგანი გაჩნდებოდა.

იგი იყო უცვლელი წევრი ქართველ ქალთა კომიტეტისა, რომელსაც ქალბატონი ეკა დადიანი თაოსნობდა.

არანაკლებ ყურადღებას იჩენდა მარიამი ჩვენზედაც, სანამ მოვეწყობოდით.

ომის დროსაც დადიოდა თურმე სხვა ქართველ ქალებთან ერთად პარიზის ტყვეთა საავადმყოფოებში, განზრახ ლაპარაკობდა ხმამაღლა მშობლიურ ენაზე, რომ ქართველი ტყვეები მოეძებნა და მერე, შეძლებისამებრ, დახმარებოდა...

— იცით, ჩემო, ძალიან საინტერესო ამბავი მაქვს თქვენთვის, სოვიეტიკებისათვის, — მითხრა მარიამმა მისვლისას (იგი ჩვენ, ყოფილ ტყვეებს, ემიგრანტებისაგან განსხვავებულად „სოვიეტიკებს“ გვეძახდა). — ამ დილით შემატყობინეს, რომ შესაძლოა დაინიშნოს [illegible] სტიპენდია, ექნებ ათიც, და მითხრეს, რაკი შენ უკეთ იცნობ ახალ ემიგრანტებს, შეარჩიე მომავალი სტუდენტებიო; პირველ რიგში, ჩემო, თქვენზე ვიფიქრე, ამიტომ დავრეკე თამართან, ვიცი, ხშირად ხართ იქ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ათასი კითხვა აღმიძრა: სად? რომელ უნივერსიტეტში და რა ფაკულტეტზე უნდა ესწავლათ ამ მომავალ ბედნიერ სტუდენტებს და რაიმე პირობას ხომ არ უყენებდნენ მათ სტიპენდიის დანიშვნით?! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთხელ მოვკარი ყური, კათოლიკური საზოგადოება დანიშნავს სტიპენდიას, თუ კათოლიკობას მიიღებ და თეოლოგიურ ფაკულტეტზე ისწავლიო.

ყველაზე უფრო მაინტერესებდა, მაინც ვინ იყო ეს მდიდარი კეთილი ადამიანი, ასეთ ყურადღებას რომ იჩენდა ჩვენს მიმართ, მეხსიერებაში თვალი გადავავლე ქართულ კოლონიას და ყოველ კუთხე-კუნჭულში დავძებნე მდიდარი თანამემამულენი. მაგრამ ამაოდ.

— ქალბატონო მარიამ, ვინაა ეს მდიდარი პიროვნება, ჩვენზე რომ ასე ზრუნავს, ქართველია?

— დიახ, ქართველია, და დიდი ქართველი.

— რას ნიშნავს დიდი ქართველი, ქალბატონო მარიამ?

— რას ნიშნავს და ტახტის მემკვიდრე გახლავთ. იქნებ გაგიგონიათ კიდეც რაიმე ირაკლი ბაგრატიონზე, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს. ჰყავს შვილები, რომელთა ქართულად აღსაზრდელად აქედან წაიყვანა მოძღვარი. იგი დაახლოებულია ესპანეთის სამეფო ტახტთან და ამის საშუალებით აზრებს რამდენიმე სტიპენდიის დანიშვნას მადრიდის უნივერსიტეტში სასწავლებლად. მოგიწევთ, ჩემო, ახლა ესპანურის შესწავლა თქვენ, რასაკვირველია, გერჩიათ სორბონის სტუდენტი გამხდარიყავით, მაგრამ მადრიდი არც ისე შორსაა და თუ არ დაგვივიწყებთ, ხანდახან არდადეგებზე ჩამოხვალთ...

ქალბატონ მარიამისაგან შინისაკენ მომავალს ათასნაირი ფიქრებით მქონდა თავი დამძიმებული, არ ვიცოდი, მიხაროდა თუ რაღაც სინანულად მედო გულში. პარიზის დატოვებაზე ფიქრი რაღაცნაირ სევდას იწვევდა. მართალია, დიდი ხანი არ იყო, რაც აქ ვცხოვრობდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბუთები მოგვცეს, მუშაობა დავიწყე და ბინაც ვიშოვე, ისე შევეწყვე ამ ჯადოსნურ ქალაქს და ქართულ სათვისტომოს, სადაც ქართული სული ასე ძლიერი იყო, უკვე მიჭირდა განშორებაზე ფიქრი.

ხშირად მომისმენია სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქართველებისაგან:

— თქვენთან ჩამოსვლით ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საქართველოში ვიყო; რა ბედნიერები ხართ, ხშირად ხვდებით ერთმანეთს, გაქვთ ეკლესია, საკუთარი სასაფლაო ლევილში, ენაც ასე კარგად შეგინახავთ, ჩვენ კი ვერ ავცდით ასიმილაციას, ვითქვიფებით უცხოელებში.

სიმართლე იყო ამ ნათქვამში, ამიტომ მიჭირდა პარიზის დატოვება, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს მეორედ ვკარგავდი სამშობლოს.

ბოლოს გონებრივმა განსჯამ სძლია გრძნობების ცდუნებას. მივედი იმ დასკვნამდე, რომ აქ სადავო და საორჭოფო არაფერი იყო, ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გამეშვა...

— ქალბატონო მარიამ, განათლების მოწმობას მოგვთხოვენ?

— ვკითხე ერთ საღამოს.

— უსათუოდ, ჩემო.

# 21 წელიწადი პარიზში

ნაწყვეტი მოგონებათა წიგნიდან

სერგო კოხრეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ხად გვაქვს, ქალბატონო მარიამ? მოწმობა კი არა, საკუთარი ტყავი ძლივს შევვრჩა გერმანელებთან. ვინ მოგვცემს მოწმობას?

— ჰიჰიკო ახათიანი. იგი გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა. მიიყვანთ ორ მოწმეს „ოფისში“ და იმათ დამოწმების საფუძველზე მიიღებთ საბუთს, თან, ჩემო, აქ საბუთებს, საერთოდ ქაღალდებს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც თქვენთან. მთავარია, უნარი და ცოდნა გამოამჟღავნო.

ჰიჰიკო ახათიანი იყო პარიზის ქართული კოლონიის ოფიციალური წარმომადგენელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელსაც „ოფისი“ ეწოდებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ სამინისტრომ უარი თქვა ფასიან შტატზე და ქართველთა „ოფისი“ სულ რომ არ გაუქმებულიყო კოლონიის წევრთა სიმცირის გამო, ან სხვა „ოფისს“ არ შევკედლებოდით, ალექსანდრე კინწურაშვილმა, გიორგი ყურულის სიძემ, ფრანგულ „ლეჟიონ ეტრანჟერში“ ნამსახურმა ოფიცერმა, პატრიოტული მოსაზრებით გამოთქვა სურვილი უხელფასოდ ემუშავა ახათიანის ადგილზე. ასე რომ, წარწერა „ოფის ჟეორჯიენ“ მაინც შერჩა ერთ-ერთ კაბინეტს სამინისტროში.

უცნაურია ადამიანის ბუნება, რამდენ ხანს ვმერყეობდი, წავსულიყავი თუ არა მადრიდში, როგორ მეჰირდა პარიზთან განშორება, მაგრამ რაკი ერთხელ გადავწყვიტე თანხმობა, ახლა მოთმინება არ მყოფნიდა და ვნერვიულობდი, ასე რომ ჰიანურდებოდა საქმე.

ერთ საღამოს დავურეკე ქალბატონ მარიამს.

— სწორედ თქვენი ნახვა მინდოდა, იქნებ გამოიაროთ?

დაუყოვნებლივ ვეწვიე.

— სწორედ გუშინ შემატყობინეს, ბაგრატიონს შემოუთვლია, ათ სტიპენდიას ვუნიშნავ საფრანგეთსა და გერმანიაში მცხოვრებ ახალგაზრდა ქართველებსო, — მითხრა ქალბატონმა მარიამმა. აქ იგი შეჩერდა, შემდეგ რაღაცნაირი უცნაური რბილი ტონით მკითხა: — ბატონო სერგო... თქვენ დედის ან მამის მხრიდან... საერთოდ წინაპრებიდან, ხომ არავინ გყოლიათ თავადიშვილის გვარის?

ჯერ დავიბენი, შევცბუნდი, მაგრამ ცოტა სულისმოთქმის და დაფიქრების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა.

— მაშ. მის ალმატებულებას სურს სტიპენდია დაუნიშნოს მხოლოდ თავადიშვილებს, დანარჩენები არ ვართ ამის ღირსი? — ვიკითხე ცოტა ნაწყენი ტონით, თუმცა ეს კეთილშობილი ქალი რა შუაში იყო.

— იცით, რა, ჩემო, ჯერ ერთი, რა მნიშვნელობა აქვს, საბუთებში რომელ გვარზე იქნებით. ცხადია, სასურველი იქნებოდა ნამდვილი გვარით წასულიყავით, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ბაგრატიონი ამას აკეთებს ესპანეთის მეფის დახმარებით და ალბათ სხვაგვარად არ შეეძლო, — შეეცადა მარიამი ჩემს დამშვიდებას. — მთავარია, ისარგებლო სტიპენდიით, მიიღოთ ცოდნა და მერე დაიბრუნეთ თქვენი გვარი, ვინ გიშლით? გამოიჩინეთ შორსმჭვრეტელობა, ნუ დაკარგავთ ამ ხელსაყრელ შემთხვევას; აქ უნდა იმსჯელოთ ცივი გონების გავლენით და არა გრძნობების აყოლით... დაფიქრდით კარგად ყველა, ნუ აჩქარდებით და კვირის ბოლომდე მომეცით პასუხი.

მეორე დღესვე გადავეცი მეგობრებს ქალბატონ მარიამის ნათქვამი. ხომ ვამბობდით, აქედან არაფერი გამოვა, თქვეს მათ ხელის ჩაქნევით. უარი თქვა ყველამ ყალბი თავადიშვილობის მიღების ხერხით სტუდენტობაზე.

ასე, რომ მადრიდში სასწავლებლად წასვლის ისტორიას საბოლოო წერტილი დაესვა. პარიზიდან არც ერთ ქართველს არ უსარგებლია ერეკლე ბაგრატიონის შუამდგომლობით ესპანეთის სამეფო კარის მიერ გამოყოფილი სტიპენდიით.

სტიპენდიებზე სიტყვა ძალზე გამიგრძელდა, ჩანს, მწარედ მქონდა ეს ძველი ამბავი ჩარჩენილი გულში...

დიდხანს შემოვრჩით ბატონ იოსების სუფრასაც.

— დროა სუფთა ჰაერზე გავიდეთ, — თქვა მან.

საერთოდ ფრანგებს არ უყვართ სუფრასთან დიდხანს ჯდომა. პარიზელი ქართველებიც, ჩანს ფრანგების გავლენით, არ რჩებიან ისე დიდხანს სუფრასთან, როგორც ჩვენში იციან.

ფრანგებს უყვართ მოლხენის შემდეგ გასეირნება, სიტუაციის შეცვლა, სადმე ყავახანაში, ბარში შესვლა, ან უბრალოდ ხეტიალი.

ეტყობა, იოსებს ადრიდანვე მიეღო ეს ჩვევა. მას განეზრახა ეჩვენებინა ჩემთვის თავისი სოფლის ერთადერთი ყავახანა, მერე ვწვეოდით ამავე სოფლის მეორე ქართულ ოჯახსაც, სადაც ცხოვრობდნენ მოხუცი ცოლ-ქმარი ბებურიშვილები.

— აბა, ჩვენ მივდივართ, მინდა სტუმარს სოფელი დავათვალიერებინო,—გამოაცხადა იოსებმა და წამოდგა, მკლავში ხელი ამომდო და ჰიშკრისაკენ გამაქანა.

ამ მზიან კვირა დღეს მრავლად ამოსულიყვნენ პარიზელები, გამოცოცხლებულიყო ეზოები, გაისმოდა ბავშვების ჟრიამული. იოსები თავაზიანად ესალმებოდა მეზობლებს.

ყავახანაში მისვლისას დიდი ამბით მიესალმა იგი ცოლ-ქმარ გოლდმანებს, ეტყობა, აქაც კარგად იცნობდნენ. გააცნო ჩემი თავი და თითო ჰიქა „აპერიტივი“ შეუკვეთა.

ცოტახნის შემდეგ გავემართეთ ბებურიშვილების სახლისკენ. აშკარად ჩანდა სხვაობა სოფლის ამ ორ ნაწილს შორის.

საფრანგეთის სოფლებში თვალშისაცემია გალავნებით შემორაგული ეზოები ვეებერთელა ჰიშკრებით, საიდანაც გარეშე პირი თვალს ადვილად ვერ შეაპარებს ფრანგი გლეხის სამფლობელოში.

ჩვენგან განსხვავებით, ფრანგის ოჯახი, სოფლად თუ ქალაქად, ძალიან კარჩაკეტილია. იშვიათია ფრანგმა სტუმარი მიიყვანოს შინ წინასწარ შეუტყობინებლად, როგორც ეს ხდება ჩვენში, თუ ეს რაღაც განსაკუთრებული შემთხვევით არაა გამოწვეული. ის კი არა, ათი საათის შემდეგ ტელეფონით დარეკვაც კი უტაქტობად ითვლება.

ქართულ ზნე-ჩვეულებაზე აღზრდილ კაცს ფრანგების და, საერთოდ, ევროპელების ზოგიერთი წესი ეგოიზმის გამოვლინებად მოეჩვენება. თვითონ ისინი კი ამას ინდივიდუალიზმს ეძახიან. ეს ცივილიზაციას მოაქვს და მისი ბრალიაო, გეტყვიან. ე. ი. განვითარების, პროგრესისა და განათლების შედეგად ადამიანი უფრო და უფრო თავის თავში ჩაკეტილი, ეგოისტი თუ ინდივიდუალისტი ხდება და თუ ვინმე განურჩევლად ყველას მიმართ სტუმართმოყვარეობას გამოიჩენს, ეს პრიმიტიულობის პირველი ნიშანიაო, აგიხსნიან.

ფრანგი რომ შემოგთავაზებთ: მოდი, კაფეში შევიდეთ, დავლიოთო, ეს ნიშნავს, რომ ის იხდის პირველი ჰიქების საფასურს, მაგრამ ამის შემდეგ მეორე ჩამოსხმა თქვენ, „დაპატიჟებულმა“ უნდა შეუკვეთოთ და მისი საფასური გადაიხადოთ.

მეზობლურ ურთიერთობაში ფრანგებს არ უყვართ ერთმანეთის შეწუხება. ისინი ეცდებიან არაფერი გთხოვონ, თქვენც უნდა თავი შეიკავოთ ასეთ განზრახვისაგან.

სიტყვებს „მასესხე“ და „მათხოვე“ იშვიათად ისმის ფრანგულ ენაში. ყოველ შემთხვევაში, ბევრად იშვიათად, ვიდრე ქართულში.

ყოველივე ამის გამო მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი თანამემამულეები ამ ხნის მანძილზე ფრანგებს შორის, როგორ ეგუებოდნენ თავიანთ მეზობლებს, ჰქონდათ სიძნელეები, გაუგებრობანი? თუ იყვნენ კმაყოფილნი?

აი, მივდიოდი ახლა მათ სანახავად, მაგრამ გადავწყვიტე ჯერ მესაუბრა ბატონ იოსებთან იმ საკითხზე, რომელიც ყველაზე უფრო მაინტერესებდა — კერძოდ, ქართველი ებრაელების გადარჩენაზე. აქამდე ვერ იქნა და ვერ მოხერხდა, ყოველთვის ვიღაცა თუ რაღაცა გვიშლიდა, ახლა კი, ამ მშვიდ, სოფლის უკაცრიელ შარაგზაზე, ყველაზე ხელსაყრელი დრო მქონდა სასაუბროდ.

— ბატონო იოსებ, რამდენი ხანია მინდა ერთი რამ გკითხოთ. ბევრჯერ გამიგონია კოლონიაში თანამემამულეებისაგან, რომ დიდი როლი გითამაშიათ, ოკუპაციის დროს, რომ თქვენი წყალობით არც ერთი ქართველი ებრაელი არ დაუჭერიათ პარიზში, ყველა უვნებლად გადარჩენილა.

იოსებმა უცბად ნაბიჯი შეანელა, მერე სულ გაჩერდა და დაკვირვებით შემომხედა, რამდენიმე წამს იყო ასე ხმაგაკმენდილი, თითქოს ფიქრობდა, ვუთხრა თუ არაო. მერე ხმადაბლა. ადგილიდან ფეხმოუცვლელად დაიწყო:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა პანიკა შეიქნა პარიზში, როცა გერმანელების მოახლოება იგრძნეს. ყველა შეიპყრო აუტანელმა შიშმა, მაგრამ ყველაზე მეტი საფრთხე, ცხადია, ებრაელებს ელოდათ. ვინც შეძლო და მოასწრო გაქცევა, მიატოვა ყველაფერი: სახლ-კარი, სავაჭრო თუ სამსახური და თავს უშველა, მაგრამ ყველამ ვერ ქნა ეს; უმეტესობა ადგილზე დარჩა შიშისაგან თავზარდაცემული, ბედს მინდობილი.

ღმერთმა არ გაგვწირა. ოკუპაციის დროს ჩვენი, ქართველების საქმე ებარა ერთ-ერთ გერმანელ ოფიცერს, გვარად კრისტიანს, სხვათაშორის, წარმოშობით ავსტრიელს, ინსბრუკიდან. უსათუოდ ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა. ქართველებმა შენიშნეს თურმე, რომ იგი არ იყო ისეთი ჯალათი, როგორც მისი პოსტი და სამხედრო მუნდირი მიანიშნებდა. შესაძლებლად დაინახეს მასთან გულახდილი საუბარი კოლონიის გასაჭირზე. თხოვეს თურმე პირდაპირ, დაგვეხმარეთ ჩვენი ქართველი ებრაელების გადარჩენაშიო. ამის საფუძველი უნდა მქონდესო, უთქვამს ვერმახტის წარმომადგენელს.

აი, მაშინ მომმართეს მე და მითხრეს: ორი უნივერსიტეტი რომ გაქვს დამთავრებული, აბა თუ შეგიძლია რაიმე არგუმენტების გამოქექვა, რომლის საფუძველზე ავიცდენთ მოსალოდნელ უბედურებასო.

ბატონმა იოსებმა შეადგინა თურმე თეზა, რომელშიაც იცავდა იმ მოსაზრებას, რომ ქართველი ებრაელები განსხვავდებიან ებრაელების საერთო ნაკადისაგან; რომ მათ წინაპრებს არ მიუღიათ მონაწილეობა და არ ადევთ ცოდვა იესო ქრისტეს ჯვარცმაში; სწორედ ამიტომ, მათ საქართველოში არასოდეს განუცდიათ დევნა-შევიწროება, რასაც საუკუნეების მანძილზე ადგილი ჰქონდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ბატონ იოსებს თავისი მოხსენება ჯერ ქართული სათვისტომოს წინაშე წაუკითხავს.

(დასასრული იქნება)

# ვალერიან რამიშვილი



ქართულმა მეცნიერებამ, რესპუბლიკის მასწავლებლობამ, ეროვნულმა სახალხო განათლებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს—გარდაიცვალა დედაენის უანგარო მოამაგე, ქართული ენის მეთოდიკის ფუძემდებელი, კლასიკური მეთოდიკური მემკვიდრეობის თავგამოდებული დამცველი და შემოქმედებითად განმავითარებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული მასწავლებელი, პროფესორი ვალერიან თომას ძე რამიშვილი.

ვალერიან რამიშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე, ხალასი ნიჭი და დაუშრეტელი ენერგია უძღვნა მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის უკვდავ საქმეს. სწავლააღზრდის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა ვ. რამიშვილის საკანდიდატო (1949) და სადოქტორო (1964) დისერტაციები, ლინგვისტური და მეთოდიკური ნაშრომები, შესანიშნავად შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოები.

ვ. რამიშვილმა პედაგოგიური მოღვაწეობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო 1925 წელს სოფ. შავსაყდარას (თეთრიწყაროს რ.) დაწყებით სკოლაში. მას შემდეგ მუხლჩაუხრელად იღვწოდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, სახალხო განათლების ორგანოებში, სამეცნიერო-მეთოდიკურ დაწესებულებებში. ის, როგორც დიდად ერუდირებული მეცნიერი, სანიმუშო ლექტორი და ზნეკეთილი აღმზრდელი, ნაყოფიერად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის პედაგოგიურსა და განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა საკვლევ ინსტიტუტებში. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე გარდაცვალებამდე ფართო მასშტაბის სამეცნიერო-პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას განაგრძობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მისი ინიციატივით 1961 წელს დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრა, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი თვითონ იყო გარდაცვალებამდე.

ვ. რამიშვილს 1961 წელს მიენიჭა სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, ხოლო 1977 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები. 1978 წელს იგი გახდა ი. გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი, 1978 წელს მიენიჭა განათლების სამინისტროს სახელმწიფო პრემია საუკეთესო ნაშრომებისათვის. იგი დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებითა და სიგელებით.

ვალერიან რამიშვილის პირველი სამეცნიერო ნაშრომი დაიბეჭდა 1938 წელს. დღემდე მას გამოქვეყნებული აქვს 360-ზე მეტი მონოგრაფია, სახელმძღვანელო, გამოკვლევა, სტატია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა ორმოცდაათზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო შრომა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, ქართულ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლებს წარმატებით ემსახურება მის მიერ ი. გოგებაშვილის დიდაქტიკური პრინციპების მიხედვით შედგენილი „დედაენა“, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მრავალი სახელმძღვანელო. ვ. რამიშვილის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა“ 1956 წელს გაიგზავნა ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო გამოფენაზე და, როგორც ეროვნულ ენაზე შედგენილ საუკეთესო ნაშრომს, დიდი მოწონება ხვდა.

ვ. რამიშვილი 25 წლის მანძილზე შესანიშნავად ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტროს დაწყებითი განათლების სასწავლო-მეთოდურ საბჭოს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 50 წლის მანძილზე იქმნებოდა ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის პროგრამები და მეთოდიკური რეკომენდაციები.

ვ. რამიშვილმა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის სრულიად უსასყიდლოდ შეადგინა „დედაენა“, რომელიც მთლიანად დაიბეჭდა გაზეთ „სამშობლოში“. პროფ. ვ. რამიშვილმა მრავალი მონოგრაფია, გამოკვლევა და სტატია უძღვნა ქართული პედაგოგიკის კლასიკოსს იაკობ გოგებაშვილს, გამოჩენილ ქართველ პედაგოგებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ამ ნაშრომებში გამჟღავნებულია უდიდესი სიყვარული და პატივისცემის გრძნობა ქართული მეცნიერული მემკვიდრეობისადმი; სათანადოდაა დაფასებული ჩვენი ღირსეული წინაპრების ღვაწლი. საყოველთაოდ ცნობილია ვ. რამიშვილის პრინციპული პოზიცია იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკური მემკვიდრეობის დასაცავად და მის გადასარჩენად ფალსიფიკატორთა ხელყოფისაგან.

ვალერიან რამიშვილი იყო დიდი პედაგოგი და უაღრესად პოპულარული მეცნიერი; იგი გულწრფელად უყვარდათ და დიდად აფასებდნენ ჩვენი რესპუბლიკის დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, მეთოდისტები, სტუდენტები, მოსწავლეები.

ვ. რამიშვილის მიერ შექმნილი მრავალი მეცნიერული გამოკვლევა, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები მუდამ დაამშვენებს ქართველი ერის სულიერ საგანძურს, ხოლო მათი ავტორის მაღალზნეობრივი პიროვნება საზოგადოების ხსოვნაში დიდხანს დარჩება მისაბაძ მაგალითად.

**საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგიური საზოგადოება.**

# დავეხმაროთ დმანისის სკოლას

ჩვენს მკითხველებს უთუოდ ემახსოვრებათ, ამ გაზაფხულს გამოვაქვეყნეთ განცხადება, რითაც დმანისის ქართული საშუალო სკოლისათვის ვითხოვდით წიგნადი შემოწირულობების გამოგზავნას. უნდა ითქვას, რომ მკითხველები, დაწესებულებები, ორგანიზაციები გულისხმიერად მოეკიდნენ ამ საქველმოქმედო საქმეს.

ექვსი თვის მანძილზე შეგროვდა გარკვეული რაოდენობის წიგნი, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან გამოგზავნეს.

ხუთშაბათს, 8 ნოემბერს რედაქციის წარმომადგენლები ვეწვიეთ დმანისის ქართულ საშუალო სკოლას და გადავეცით წიგნები. მასპინძლებმა დიდად გაიხარეს „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა მიერ მიძღვნილი ძვირფასი ნობათის მიღებით და დიდ მადლობასთან ერთად, სხვათა შორის თქვეს ამ სიხარულმა ჩვენი სკოლის ზოგიერთი გადაუჭრელი პრობლემაც კი დაგვავიწყაო (იმ წუთში, ცხადია არ უთქვამთ, მაგრამ შემდეგ შევიტყვეთ, რას გულისხმობდნენ გადაუჭრელ პრობლემებში — ეს გახლავთ კვალიფიციური კადრების დეფიციტი, არასაკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები და — აგრეთვე ისიც, რომ სკოლის დირექტორს დავით ბიწაძეს დმანისში ბინა არა აქვს).

მათი სიხარული, მართლაც იმდენად დიდი და გულწრფელი იყო, რომ არ შეგვიძლია თავს უფლება არ მივცეთ და კვლავ არ განვაცხადოთ — დავეხმაროთ დმანისის ქართული საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას!

მკითხველებს შევახსენებთ, წიგნები „ლიტერატურული საქართველოს“ მისამართზე გამოგზავნონ.

მწერლებს ვთხოვთ, თუკი ინებებენ თავიანთი წიგნების გამოგზავნას, ავტოგრაფიც ახლონ — ეს ძალზე გაახარებს დმანისელ მოსწავლეებს.

ამ დღეებში ქართველმა ხალხმა მშობლიურ მიწას მიაბარა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული შვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და უკანასკნელი შეფიცული

ალექსანდრე სულხანიშვილი.



# შალვა მაყაშვილი



წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული ქართველი კაცი, ცნობილი მხატვარი, ბატონი შალვა მაყაშვილი. კაცი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა საქართველოს მხატვართა ოჯახს. ბატონი შალვა გამოირჩეოდა სიდარბაისლით, თავმდაბლობით, მოკრძალებულობით და უთქმელობით, არა და, მისი არა ერთი მაღალმხატვრული ტილო ხომ სამშობლოს განუზომელი სიყვარულითაა გაჟღენთილი. ბატონ შალვას შემოქმედების თემა ხომ მუდამჟამს საქართველო იყო, ის საქართველო, რომლის დასაცავად თვრამეტი წლის ყმაწვილი იბრძოდა 1921 წლის უთანასწორო ომში ტაბახმელასთან, იქ, სადაც მისი უფროსი და, ქალბატონი მარო მაყაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა.

რა ბედნიერი გახლდათ, ალბათ, 1990 წლის 26 მაისს, როდესაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა ტაბახმელა-კოჯრის გასაყართან (სადაც საზოგადოება „თბილისელმა“ გახსნა 1921 წელს დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი), მუხლი მოიყარა სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა ცხედრების წინაშე; მას კი, ბატონ შალვას, როგორც ამ მარადსახსოვარი ბრძოლის მონაწილეს საგანგებო საჩუქარი — ვერცხლის ქამარ-ხანჯალი მიუძღვნა. დიახ, ბედნიერი იყო, რომ მოესწრო ამ დღეს, მოესწრო თავისუფლებისათვის მებრძოლ, აღორძინების გზაზე დამდგარ საქართველოს.

ჩემი თაობისათვის ბატონი შალვა მაყაშვილი დარჩება უაღრესი კეთილშობილებისა და მაღალი ზნეობის მისაბაძ ნიმუშად. ეს ძალზე უპრეტენზიო ქართველი კაცი, ახოვანი, გამორჩეულად ლაზათიანი გარეგნობის მქონე იყო სწორუპოვარი, მაგალითი ვაჟკაცური შემართებისა და მოქალაქეობრივი ღირსების.

ზურაბ ლეჟავა

# SOS!

ჩვენში ხდება საშინელი რამ: იკარგებიან ადამიანები! უგზოუკვლოდ ქრებიან ახალგაზრდები, მოხუცები, ბავშვები! თვე ან კვირა არ გავა, რომ საქართველოს პრესამ და ტელევიზიამ არ გვაუწყოს ახალი ფაქტები ადამიანის გაუჩინარებისა.

ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ ამ შემზარავი ცნობების შემდეგ პრესაში და ეთერში ისადგურებს სრული ჩიჩუმე... ვითომ არაფერი მომხდარა. საზოგადოებრიობას არავითარ დამატებით ცნობებს არ აწვდიან (ან იციან და არ გვიმხელენ, ანდა მათაც არ იციან იმაზე მეტი, რაც უკვე გვაცნობეს). ახლა თუ ისე, ჩვენ არ ვიცით იპოვეს თუ არა რომელიმე დაკარგული, და თუ იპოვეს, რა მდგომარეობაში ნახეს: დაუბრუნდა ის თავისიანებს ცოცხალი და უვნებელი, თუ დაშავებული ნახეს? ან იქნებ, საუბედუროდ, დაიღუპა? ჩვენ არ ვიცით, გახდა ესა თუ ის პიროვნება ბოროტმოქმედების მსხვერპლი თუ საკუთარ დაუდევრობას ან უბედურ შემთხვევას შეეწირა?.. არაფერი არ ვიცით.

მაგრამ, თუ საქმე გვაქვს ბოროტმოქმედებათა ჯაჭვთან — რაც, გული მიგრძნობს, ყველაზე მეტადაა შესაძლებელი ჩვენს დღევანდელ, აფორიაქებულ დროში — მაშინ უნდა ვიცოდეთ, გარკვეულია თუ არა ბოროტმოქმედებათა ამ ტალღის ბუნება, მოტივები, დაზრის თუ არა რაიმე საერთო ნიშანი იმ გარემოებებს შორის, რომლებშიც ხდებოდა. მოქალაქეთა უგზო-უკვლოდ გაქრობა? უნდა ვიცოდეთ, აეხადა თუ არა ფარდა ადამიანთა დაკარგვის საიდუმლოებით მოცულ რომელიმე ფაქტს?

ერთი სიტყვით, ჩნდება უამრავი კითხვა, რომელთა დატოვება უპასუხოდ დაუშვებელია, ვინაიდან ყველაფერში საჭიროა სიცხადე!.. გაურკვევლობა, ბუნდოვანება ბადებს ათასგვარ ჭორებს. უნერგავს ხალხს შიშისა და მიუსაფრობის გრძნობას, წარმოშობს პანიკას, რადგან ერთია საფრთხე აშკარა და სულ სხვაა საფრთხე ფარული, როცა მოქალაქეთა გაუჩინარების იდუმალებით მოცულ ატმოსფეროში საზოგადოება რჩება თავდაცვის ორიენტირების გარეშე... და პირიქით, გარკვეულობა და სიცხადე ბადებს რწმენას, რომ საზოგადოება დაცულია, რომ მის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, რომ ცდილობენ მოკვლენების მიზეზებისა და შედეგების გააზრებას და ზომების მიღებას, რათა თავიდან ავიცილოთ მომავალში შესაძლებელი რეციდივები.

ცხადია, წამოჭრილ კითხვებს ვერ უპასუხებ, თუ ფაქტი ახლახან მოხდა (საჭიროა გამოძიების ბოლომდე მიყვანა), მაგრამ საქმე იმაშია, რომ პირველი ცნობები მოქალაქეთა დაკარგვის შემთხვევებზე საქართველოს ტელევიზიით თუ პრესის საშუალებით, ჩვენმა საზოგადოებამ კარგა ხნის წინათ მიიღო. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ერთ ფაქტს მაინც არ აეხადა ფარდა? სწორედ ეს მაძლევს უფლებას მოვითხოვო პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებზე.

ჩვენს პრესას და ტელევიზიას კი მინდა მოვუწოდო ჯეროვნად შეაფასონ ის საგანგაშო მდგომარეობა, რაც მოქალაქეთა დაკარგვის შემთხვევების ასეთმა გახშირებამ გამოიწვია და ყოველი ღონე იხმარონ, რათა ნათელი მოეფინოს ამ სიბნელით მოცულ, საზარელ ფაქტებს! ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია დასჭერდე ფაქტის მხოლოდ გამოცხადებას და არ ატეხო განგაში... ეს ჩემთვის გაუგებარია. გაუგებარია ისიც, თუ როგორ შეიძლება 13 წლის ორი ანგელოზივით ბიჭუნას დაკარგვის სულის შემძვრელი ცნობა გადმოსცე იმ განცხადებათა რიგში, სადაც ლაპარაკია ტაქსში დატოვებულ ჩანთებზე, დაკარგულ ქოლგებზე და ათ კილოგრამ ყველზე, ვიღაცას სადღაც რომ დარჩენია. და ამ, ერთმანეთისაგან ცასა და მიწასავით განსხვავებულ დანაკარგებზე, ერთნაირი მონოტონურობით გამოაცხადო: თუ რაიმე იცით ამ ფაქტების გარშემო, შეგვატყობინეთ.

თქმა არ უნდა, ჩვენი პრესისა და ტელევიზიის მუშაკები დღეს ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. ეს აშკარაა და სწორედ ამიტომ მოვითხოვთ მათგან მეტ შემართებას. წინათ ვერ ვთხოვდით, ბორკილები ედოთ. დღეს — მოეთხოვებათ. ახე რომ, მათ კარგ საქმეებს კიდევ ერთი შეემატება, თუ ისინი, სტუდიებსა და რედაქციებში მიიწვევენ იმ ხალხს, ვისაც ევალება საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათთან ერთად შეეცდებიან გაარკვიონ და ჩვენც გაგვარკვიონ, თუ რა ხდება, რა ამბავია ჩვენს თავს, რატომ ქრებიან უგზოუკვლოდ ახალგაზრდები, მოხუცები, ბავშვები?!

ჯემალ ლოლუა

## რეპლიკა

# გამკითხავი ჯერჯერობით არ ჩანს

ყაზბეგის რაიონის სოფელ ახალციხის შესასვლელში, გზის განაპირას, ღორებისგან გადაჩიჩქნილსა და აკლებულ-ატიალებულ, მესერშემოუვლებ მომცრო მინდორზე, უკვე ორი წელია, გამვლელ-გამომვლელს თვალში ხვდება და უსათუოდ უამურ ფიქრებს აუშლის დღევანდელობისთვის ნიშანდობლივი განუკითხავი გულცივობისა თუ უმადურობის კიდევ ერთი მეტყველი გამოვლინება: ვიღაც „ღვთისნიერის“ სურვილითა თუ განკარგულებით კულტდაწესებულების რომელიღაც შენობიდან (სახელდობრ საიდან, ვერავინ გვითხრა) გამოუტანიათ და აქ, ამ „გამოსაჩენ“ ადგილზე განუმწესებიათ თავის დროზე ალბათ მზერის მიმტაცი, აწ კი უკვე მზისგან და ქარ-ავდრისგან ბედითად თავ-პირ ჩამოგვალული ვაჟა-ფშაველას ბიუსტი.

უყურებ და გულს გიკლავს ამ საანდრეზოდ სათქმელი „საშვილიშვილო“ საქმის მოთავეთა სულიერი სიბრმავე, სილატაკე, სიმწირე...

ვინ გასწირა და გაიმეტა ასე უღვთოდ ნათელმხილველი შემოქმედის უილბლო ხატება? და თუ გაიმეტეს, აქამდე ერთხელ რად ვერ მოიცალა კულტურის რაიონულმა განყოფილებამ საიმისოდ, რომ ამ საჩოთირო საქმისთვის მიეხედა და მოევლო?!

საკითხავია ისიც, რას ფიქრობენ თვით სოფლის მკვიდრნი, ამ ხნის განმავლობაში ნუთუ არავის მოუვიდა აზრად, შესაფერისი ადგილი შეერჩია ჩვენი ერის საამაყო პოეტის ბიუსტისთვის და მოეხსნა უხერხულობა, რასაც ამ სავალალო სურათის დანახვა იწვევს ადამიანში.

მგზავრი ხეობას არ აკლია, არც უცხო და არც შინაური. რას იფიქრებენ ჩვენი ავად მახსენებელნი, არ იტყვიან, კლასიკოსთა მეგლებისთვის ვერ მოუვლიათ და დღე და ღამ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე გაჰყვირიანო...

მართალი გითხრათ, ალარც გამკვირვებია რაიონის მესვეურთა დაუინტერესებლობა ყოვლად შეუფერებელ ალაგას მიტოვებული ბიუსტის ბედით. სოფლის კლუბი და ბიბლიოთეკა, იქვე, მიჯრით მდებარე მაღაზიის უგვანი შენობისთვის რომ შეუფარებიათ არც თუ ისე დიდი ხნის წინ, არანაკლებად მძიმე მდგომარეობაშია 6000-მდე დასახელების წიგნს სრული განადგურების საფრთხე ემუქრება: სახურავიდან ჩამონადენ თოვლის ნადნობსა და აქაურობისთვის ჩვეულ თავსხმა წვიმებს ისე მარჯვედ „მოუხატავს“ ციდა ოთახის ჭერი და კედლები, ხელმარჯვე მხატვარსაც რომ შეშურდება. თაგვებისგან დაღრღნილ-დახვრეტილ იატაკზე ნაბიჯს ვერ წადგამ უშიშრად; ხელის ცეცებით თუ არ გაიარე, შანსი გაქვს, ფეხიც მოიტეხო...

როგორც გვითხრეს, არც კლუბის ჯერაც უხმარი, ახალთახალი სკამები ინახება უკეთეს პირობებში. შიგნიდან მტრის თვალის გამხარებელი შენობის სახურავს თუ დროზე არ დაადგა საშველი, ეს ყველაფერი ერთიანად ჩალპება და წყალში გადასაყრელი გახდება.

მაღაზიისთვის განკუთვნილ ფარღალალა დარბაზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: წვიმა ჩქეფით ჩამოდის გამოცარიელებულ დახლებზე (მიღებულ სურსათს უამინდობის შიშით ორ დღეზე მეტხანს ვერ აჩერებენ მაღაზიაში!) და თანამშრომლები ვედროებით წყლის გარეთ გატანას ველარ აუდიან...

ვაჟა-ფშაველას ბიუსტის ერთი წლის წინანდელზე უარეს მდგომარეობაში ხილვით გულნატკენმა იქვე მდგომ დროულ ქალს უარი ვერ ვუთხარი და ბიბლიოთეკა-კლუბ-მაღაზიის ჭერქვეშაც შევიხედე...

არაფერს ვაჭარბებ. რაც ჩემი თვალით ვნახე და ყურით მოვისმინე, იმას მოგახსენებთ.

სოფელი ჩივის, მოითხოვს შენობის სახურავის დაუყოვნებლივ შეკეთებას. დაპირება, ჯერხნობით, დაპირებად რჩება. როდემდე? ყველაფერს ხომ თავისი ზღვარი აქვს!..

თვალ-ყური ვადევნოთ და ვნახოთ, როდის გამოუჩნდება გამკითხავი და ჭირისუფალი ახალციხის მცხოვრებთა სამართლიან გულისწყრომას.

ამირან არაბული



აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო აცხადებს კონკურსს ქართველი ხალხის გმირის სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლის პროექტზე, რომელიც ქ. ბათუმში დაიდგმება.

კონკურსზე დაწესებულია ფულადი პრემიები.

ერთი პირველი პრემია 5.000 (ხუთი ათასი) მანეთი,

ერთი მეორე პრემია 3.000 (სამი ათასი) მანეთი,

ერთი მესამე პრემია 2.000 (ორი ათასი) მანეთი.

პროექტების წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1991 წლის 30 აპრილი.

ჩვენი მისამართებია:

3-68-53 — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო,

3-37-56, 3-37-58 — აჭარის კულტურის სამინისტრო,

3-63-92 — მხატვართა კავშირი.

გაზეთი დაკაბადონდა 14 ნოემბერს.

რედაქტორთა საბჭო.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი უჩა შერაზადიშვილი.



რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-08-65. 95-36-68.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.